საერთო გაზეთი

№19 (700)
ოთხშაბათი
7 ივნისი,
2023წ.
ფასი 1.50 ლ.

ევროპის ბედი სასწორზე დევს: ან პრინცი გახდება, ან - მათხოვარი

ნაცებს, შმაცებს და შმაცნაცუნებს ტარაკუა დაესხათ

ჩამოაშორეთ ამერიკას დემოკრატია და მისგან არაფერი დარჩება

„საერთო გაზეთი“ N700

ირაკლი ღარიბაშვილი: ჩვენი სწორი პოლიტიკით მივაღწევთ ჩვენი ქვეყნის გამთლიანებას. ეს არის ჩვენი საერთო მიზანი, საერთო დიდი ოცნება და ეს უნდა იყოს ეროვნული მიზანი

„მე მინდა, დღეს რამდენიმე საკითხზე გავაკეთო კომენტარი და თქვენი ყურადღება მივიპყრო. პირველ რიგში, მე მინდა დღის მთავარი საკითხი გამოვიტანო განსახილველად. ეს არის ჩვენი, მე ვიტყოდი, საკმაოდ ამბიციური გადაწყვეტილება, მაგრამ ვფიქრობ, რომ გვაქვს დღეს ამის საშუალებაც, გამოცდილებაც და რაც მთავარია, მიზანი, რომ გავხდეთ რეალურად რეგიონში საავიაციო ჰაბი. ჩვენ არაერთხელ გვითქვამს, რომ ქვეყანას აქვს ამისი პოტენციალი. სწორედ ამ მიზნით ჩვენ დავიწყეთ მუშაობა,

რამდენიმე თვეა, აქტიურად მუშაობს ეკონომიკის სამინისტრო და, საერთოდ, მინდა, მოკლედ შევაფასო დღეს არსებული აეროპორტი, ალბათ, დამეთანხმებით, რომ არ არის დამაკმაყოფილებელი და ვერ პასუხობს იმ გამოწვევებს, ჩვენს ამბიციურ მიზნებს, რომლებზეც ახლა მინდა, რომ გესაუბროთ. რა თქმა უნდა, ჩვენ ვგეგმავთ და გვაქვს სურვილი, გრძელვადიან პროექტზე იყოს გათვლა, ეს არ უნდა იყოს მხოლოდ 5 ან 10 წლის განმავლობაში გათვლილი პროექტი და მე ამიტომ, აქედან გამომდინარე, მინდა, რომ შემდეგი გადაწყვეტილების თაობაზე მოგახსენოთ. ჩვენ დავამუშავეთ ორი ვარიანტი. ერთი იყო არსებული აეროპორტის განვითარება და გაფართოება, მაგრამ ამის თაობაზე უფრო კვალიფიციური სპეციალისტები ისაუბრებენ. ამ აეროპორტს აქვს თავისი მინუსები, შეზღუდვებიც და რეალურად, ვერ იძლევა დიდი განვითარების შესაძლებლობას. მით უმეტეს, ჩვენ თუ გვინდა, გავხდეთ რეალურად რეგიონში საავიაციო ჰაბი, ეს აეროპორტი და მისი ადგილმდებარეობა, ტერიტორია ვერ გვაძლევს ამის საშუალებას. აქედან გამომდინარე, ეკონომიკურ საბჭოზე დავსვით ეს საკითხი, ვიმსჯელეთ და მივედით იმ დასკვნამდე, რომ ჩვენ თუ გვინდა 20-30-50-წლიანი და თუნდაც 100-წლიანი პერსპექტივით ქვეყანაზე ვიზრუნოთ და ჩვენს მომავალ თაობებს დავუტოვოთ სათანადო ინფრასტრუქტურა და გამართული აეროპორტი, აუცილებელია ახალი ლოკაციის შერჩევა. ასეთი ლოკაცია, ასეთი ადგილი თბილისში არის, შეიძლება ითქვას, იდეალური ამ მიზნით, ვაზიანის ყოფილი აეროდრომი. ჩემი დავალებით, ბოლო რამდენიმე თვეა, ეკონომიკის სამინისტრო აქტიურად მუშაობს ამ მიმართულებით, ჩვენი სურვილი არის ახლა, რომ ამ პროექტის შესასწავლად ჩამოვიყვანოთ საუკეთესო პროექტანტები, მშენებლები, არქიტექტორები, ჯერ კარგად შევისწავლოთ ეს ადგილი და ამის შემდეგ მივიღოთ საბოლოო გადაწყვეტილება. საუბარი არის თანამედროვე, საერთაშორისო კლასის ახალი აეროპორტის მშენებლობაზე, რომელიც რეალურად შეიძლება გახდეს, როგორც მე აღვნიშნე დასაწყისში, ჰაბი, რაც არაერთხელ გვითქვამს. ეს უნდა იყოს ტრანზიტულ- ლოგისტიკური და თანამედროვე მგზავრზე გათვლილი საერთაშორისო კლასის აეროპორტი. ასევე ჩვენ საუბარი გვქონდა კარგო ტერმინალების მშენებლობაზე და ა.შ. მე აღარ გავაგრძელებ, ამის თაობაზე დეტალურად გვექნება ჩვენ საუბარი და ვფიქრობ, ეს არის ძალიან ამბიციური, მაგრამ საჭირო პროექტი ქვეყნისთვის, თორემ, რა თქმა უნდა, ის არსებული აეროპორტი, რაც გვაქვს, დღევანდელ მოთხოვნებს აკმაყოფილებს, მაგრამ ჩვენ თუ გვინდა, დავიგეგმოთ სწორედ, გრძელვადიან პროექტზე გვქონდეს საუბარი, გათვლა, ამიტომ საჭიროა უფრო ახალი, ამბიციური პროექტის განხორციელება. ჩვენ ბოლო წლების განმავლობაში ვაკვირდებით, რომ ქვეყანაში მგზავრთა ნაკადის თითქმის 25%-იანი მატება გვაქვს ყოველ წელს. რა თქმა უნდა, ეს ძალიან კარგია. საქართველოს აეროპორტებიდან ხორციელდება პირდაპირი ფრენები მსოფლიოს 58 ქალაქში და რეგულარული საჰაერო მიმოსვლა გვაქვს მსოფლიოს 31 ქვეყანასთან. ამიტომ, ჩვენ ახლა დავიწყებთ, როგორც მოგახსენეთ, შესწავლას, ჩამოვიყვანთ ,როგორც მსოფლიოში წამყვან საავიაციო- საკონსულტაციო კომპანიებს, ჩავრთავთ მათ, ჩავატარებთ ძალიან დეტალურ კვლევას და ამის შემდეგ მივიღებთ საბოლოო გადაწყვეტილებას. თბილისს და ქვეყანას უნდა ჰქონდეს ერთ-ერთი საუკეთესო აეროპორტი“, - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

„გადაწყდა, რომ 2024 წელს მსოფლიო ტურიზმის დღე აღინიშნება საქართველოში, რაც, რა თქმა უნდა, ძალიან მისასალმებელი გადაწყვეტილებაა, მინდა, ყველას მადლობა გადავუხადო, ვინც ამ პროცესში იყო ჩართული, მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის თავმჯდომარეს, ბატონ ზურაბ პოლოლიკაშვილს და ყველას, ვინც ჩართული იყო აი, ამ პროცესში, ეკონომიკის სამინისტროს და ყველას. ჩვენ ღირსეულად ვუმასპინძლებთ ძალიან ბევრი ქვეყნის დელეგაციას. შემთხვევითი არ არის და სიმბოლურია, რომ ტურიზმის დღის მთავარი თემა იქნება მშვიდობა და ტურიზმი და სიმბოლურია, რომ სწორედ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ქალაქი იქნა არჩეული ამ მნიშვნელოვანი ღონისძიების ჩასატარებლად. ამის თაობაზე მინდოდა მესაუბრა. ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც მე თავში განვაცხადე, ეს არის ახალი აეროპორტის მშენებლობა. ჩვენ ორი ოპცია გვაქვს, როგორც აღვნიშნე. ერთი, არსებულის გაფართოება, მაგრამ მეორე, ახლის აშენება, თავიდანვე სწორედ დაპროექტებული, სწორედ დაგეგმილი და გრძელვადიან პერსპექტივაზე გათვლილი. აი, ამ ორივე ვარიანტს დავამუშავებთ და შემდეგ, მოგვიანებით, გადაწყვეტილებას გაცნობებთ“, - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

„გახსოვთ, წინა კვირას ჩვენ დავაანონსეთ ძალიან მნიშვნელოვანი რეფორმა. ჩვენ ამის თაობაზე ბატონი ლევან დავითაშვილიც გესაუბრათ. ეს რეფორმა შეეხება საავტომობილო, სამგზავრო გადაყვანას ქვეყნის შიგნით. ეს სფერო არის მოსაწესრიგებელი. დამეთანხმებით, რომ ყველგან პრობლემებია, თუნდაც ავტოსადგურების მიმართულებით. ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს დღეს დედაქალაქში თუ ქალაქებში თუ რაიონებში არსებული ავტოსადგურები. ამას სჭირდება სპეციალური სტანდარტების შემოტანა. ჩვენ გადმოგვაქვს ევროპული სტანდარტები. ჩვენ, რა თქმა უნდა, მივცემთ გონივრულ ვადებს ამ ავტოსადგურების მფლობელებს. ასევე, გადამყვან კომპანიებს თუ ცალკეულ ინდივიდებს, ფიზიკურ პირებს. აუცილებელია, რომ ჩვენი ხალხის გადაყვანა, მგზავრობა იყოს კომფორტული და უსაფრთხო. აქ ეკოლოგიაზეც არის საუბარი. მაგალითისთვის გეტყვით, რომ, ხალხის გადაყვანა ხდება ე.წ. სამარშრუტო ტაქსებით, რომელიც ხშირ შემთხვევაში არის გადაკეთებული, რაც რა თქმა უნდა, არ არის უსაფრთხო და მეორეს მხრივ, ძალიან არაკომფორტულია. მე, პირველ რიგში, უსაფრთხოებაზე მინდა გავაკეთო აქცენტი. უსაფრთხოებაზე და შემდეგ კომფორტზე. ამიტომ ამ მიმართულებით ჩვენ დავიწყეთ უკვე მუშაობა. ეს ყველაფერი აღირიცხება, უნდა იყოს მოწესრიგებული, უნდა ჩანაცვლდეს, უნდა იყოს თანამედროვე სტანდარტების სამარშრუტო ტაქსები და ეს ყველაფერი ძალიან მალე უნდა მოწესრიგდეს, სულ რაღაც წელიწად-ნახევარში და წლის ბოლოდან დაიწყება ეს პროცესი“, - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

„კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პოზიტიური სიახლე მინდა ვაცნობო ჩვენს მოსახლეობას, განსაკუთრებით, რეგიონებში მცხოვრებ ჩვენს ხალხს. ჩვენ გადავწყვიტეთ 154 ახალი ავტობუსის შეძენა, რომელშიც ჩვენ გადავიხდით 53 მილიონ ლარს. ეს იქნება 8-მეტრიანი „ISUZU“-ს მარკის თანამედროვე, ევრო-5-ის სტანდარტის ავტობუსები, რომლების რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობას მოემსახურება. წლების განმავლობაში, მოგეხსენებათ, რომ არსებული შიდა საქალაქო გადაადგილება იყო დაკავშირებული პრობლემებთან და ამიტომ, ეს პროცესი მიმდინარეობს. ჩვენ კიდევ ვაპირებთ დამატებითი ავტობუსების შეძენას, რომ კიდევ უფრო მეტად კომფორტული იყოს გადაადგილება ჩვენი ხალხისთვის“, - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ევროპის ბედი სასწორზე დევს: ან პრინცი გახდება, ან - მათხოვარი

გვესაუბრება
პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი
რამაზ საყვარელიძე:

— ბატონო რამაზ, რამდენიმე დღის წინათ კიშინიოვში სამიტი გაიმართა, რომელიც ევროკავშირის არაწევრ ქვეყანაში პირველად ჩატარდა. იქ იმყოფებოდა პრემიერი ღარიბაშვილიც, რომელმაც მთავარი მესიჯი გააჟღერა: საქართველო კანდიდატის სტატუსის მისაღებად მზად არისო. მისივე თქმით, ზეპირსიტყვიერად, ევროპელმა კოლეგებმა მხარდაჭერა აღუთქვეს...

— მოდი, ასე ვთქვათ: მოლდოვაში სამიტის ჩატარება ერთგვარი მინიშნების მორიგი რაუნდია. პირველ რაუნდად შეიძლება ამ ქვეყნისთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭება მივიჩნიოთ. დიახ, ამით ითქვა, რომ ევროპას თავისი კალთა აქვს გადაფარებული როგორც უკრაინისთვის, ისე მოლდოვასთვის. რაც შეეხება კანდიდატის სტატუსისთვის საქართველოს მზადყოფნას, სატრანზიტო ხაზები რუსეთიდან კავკასიისკენ ინაცვლებს, რადგან იქ სანქციებია დაწესებული. შედეგად, იმედი ვიქონიოთ, რომ ევროპა ჩვენთვის ბევრად მეტს **გაიმეტებს**, ვიდრე აქამდე **გაუმეტებია**.

— არსებობს არგუმენტი, რატომაც შეიძლება სტატუსი არ მოგვცენ?

— გააჩნია, საჭადრაკო დაფაზე ფიგურები როგორ დალაგდება. საგულისხმოა, ჩინეთის, ამერიკის, ევროპისა და რუსეთის ერთმანეთთან დამოკიდებულებაც. თუკი დიდი მოთამაშეებისთვის რაიმე მიზეზით ამ ტრანზიტის ჩაშლა მომგებიანი აღმოჩნდება, პრობლემა ჩვენც შეგვექმნება. ეს კი სტატუსის არმონიჭებაში აისახება. თუმცა, ტრანზიტის ჩაშლა გამორიცხულია, რადგან ამ პროექტის სიცოცხლისუნარიანობით ისეთი ძლიერი სუბიექტები არიან დაინტერესებულნი, როგორებიცაა, ერთი მხრივ — ჩინეთი, მერე მხრივ — ევროკავშირი. ჩვენ ამ შემთხვევაში ისევ ხიდის როლს ვასრულებთ. კიდევ ერთი რისკის ფაქტორი შეიძლება გახდეს ზოგიერთი ევროპელის გონებაში მომწიფებული პოზიცია, რომ საქართველოში ხელისუფლება „ნაცმოძრაობით“ უნდა ჩანაცვლდეს. ამ კუთხით, შესაძლოა, სტატუსის მონიჭებაზე უარი გვითხრან.

— საქართველო თვის ბოლოს ევროკავშირის პოლიტიკურ გადაწყვეტილებას ელოდება. როგორ ფიქრობთ, დავალებას შესრულებულად ჩაგვითვლიან?

— ორი პუნქტის — დეოლიგარქიზაციისა და დეპოლარიზაციის საკითხი ღიად რჩება. ღარიბაშვილს უცხოელმა ჟურნალისტმა ჰკითხა: ვის მიიჩნევთ ოლიგარქადო. აღმოჩნდა, რომ პრემიერი კეზერაშვილზე საუბრობდა, წამყვანი კი — ივანიშვილზე. ევროპულ წრეებში ოლიგარქად ივანიშვილის წარმოჩენა უნდათ და ხელისუფლებას მიუთითებენ, ეს კანონშიც ასახოს. სამწუხაროდ, დასავლეთი სიცრუის სათვალეებით გვიყურებს, რომელიც მას ჩვენმა ოპოზიციამ გაუკეთა. ევროპას ეჭვიც კი არ უჩნდება, გადაამოწმოს, რამდენად სწორად ხედავს მოვლენებს. ეს, რა თქმა უნდა, სახიფათოა. რიგი ევროპარლამენტარი ნაცების სცენარს მიჰყვება. იმედია, ამ გაუგებრობაში ევროპული სტრატეგიული ღირებულებების შემქმნელები არ შედიან. უფრო დაბალი დონის შემსრულებლები გარკვეული სტერეოტიპებით ხელმძღვანელობენ. ნაცების დაწერილი სტერეოტიპებით არაფერი მსუბუქდება, პირიქით, პრობლემის მასშტაბები იზრდება. ამ სტერეოტიპებს თავის დროზე გერმანია აჰყვა და ამაში მთელი მსოფლიო ჩაითრია — გერმანელმა ერმა აზროვნებაზე, კრიტიკულ შეფასებაზე უარი თქვა და ჭურიდან ექოსავით ამოიძახა ის, რაც ჰიტლერმა ჩასძახა. თუკი გარკვეული პოლიტიკური ძალებისთვის ევროპაც ასეთი ჭური აღმოჩნდება, ეს სახიფათოა. ჰიტლერი სწორედ ამიტომ ვახსენე, გერმანელი ერის სტერეოტიპებზე ორიენტაციამ მსოფლიოს საფრთხე შეუქმნა. განსხვავება არის? არა, პირიქით, ევროპა უფრო დიდი ოჯახია, უფრო მეტ ქვეყანას მოიცავს და თუკი სტერეოტიპები უკვე ევროკავშირის ქვეყნებში გავრცელდა, მერე მათი გადარწმუნება პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება. შედეგად, საღ აზრზე ორიენტირებას საერთოდ ვეღარ მოახერხებენ. ამის ალბათობა არსებობს. პირადად მე ოპტიმისტურად ვარ განწყობილი, თუნდაც იმიტომ, რომ შოლცმა განაცხადა: ევროპა თბილისამდე უნდა მივიდესო, ანუ თითი საქართველოს დედაქალაქს დაადო. შოლცი გადაწყვეტილებების მიღების სტრატეგიული დონეა, ასევე, მაკრონიც და იტალიის პრემიერიც. ევროპის სტრატეგიული დონის პოლიტიკოსები პროცესებს ჯანსაღად უყურებენ. ქვედა რგოლებზე მყოფი ევროპარლამენტარები კი ისევ ჩვენი ოპოზიციისგან გამოწერილი სათვალეებით გვაკვირდებიან. ამდენად, ქვედა რგოლის ასეთი არარეალისტური აღქმა შეიძლება, სახიფათო იყოს.

— ბორელმა კიშინიოვის სამიტზე მოლდოვას მიმართ მხარდაჭერა გამოხატა, ჩვენ კი რეფორმების განხორციელებისკენ მოგვიწოდა. ასოცირების ტრიოში აღარ მოვიაზრებით?

— ასოცირების ტრიოში იმ პერიოდიდან აღარ მოვიაზრებით, როცა უკრაინას და მოლდოვას კანდიდატის სტატუსი მისცეს, ჩვენ კი — არა. ამის მიზეზად 12-პუნქტიანი დავალების შეუსრულებლობის დასახელება არასერიოზულად მეჩვენება. ანალოგიური პუნქტები ამ ორ ქვეყანასაც მისცეს შესასრულებლად, თუმცა ამ გარემოებას სტატუსის მიღებაში ხელი არ შეუშლია. რეალური მიზეზი მაკრონის სიტყვებში ამოვიკითხე: საქართველო ევროპისგან შორს არისო. ანუ, მიზეზი ევროპისგან მოწყვეტა, გეოპოლიტიკური ინტერესის სისუსტეა. სწორედ იმავე მიზეზით არ დათანხმდა ლუდოვიკო სულხანსაბა ორბელიანის შეთავაზებას. მას აღმოსავლეთთან თავის ანგარიში ჰქონდა გასასწორებელი. ასე რომ, ასეთ რთულ მსოფლიო მნიშვნელობის თამაშებში, საქართველომ შეიძლება ის დაკარგოს, რაც ეკუთვნის და აღმოჩნდეს, რომ მას უსამართლოდ მოექცნენ. სამართალს ვინ ჩივის — შესაძლოა, თავად დიდმა ქვეყნებმა სწორად ვერ განსაზღვრონ, თუ რა სჭირდებათ. პოლიტიკაში ხშირია დაუდევრობა, შეცდომა, ანუ მიცემული შანსის შეუფასებლობა, სწორად ვერ გამოყენება. აი, ამის მეშინია. უახლოეს ხანებში ამის მაგალითები ბევრია — 90-იან წლებში, როცა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი თავზე დაგვახურეს; როცა მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში მსგავსი კონფლიქტები იყო გაჩაღებული, დასავლეთი დუმდა. ის რუსეთს არ შეეკამათა და კონფლიქტის ზონები მის მფლობელობაში დატოვა. ეს შეცდომა რომ იყო, ახლა გამოჩნდა. ანალოგიურად, დასავლეთს არც 2008 წლის ომზე ჰქონია რეაქცია. შედეგად, რუსეთმა 2014 წელს უკრაინის ანექსია მოახდინა. აქ უკვე დასავლეთმა სიფხიზლე გამოიჩინა, მიხვდა, რომ პუტინი დემოკრატიის მამა არ იყო. მაგრამ სანამ ამას სათანადოდ გაიაზრებდა, პუტინი უკრაინაში შევარდა. რუსეთთან სასარგებლო ეკონომიკური კავშირები აქვთ აშშ-საც და ევროპასაც. ჩვენ თითს გვიქნევენ: რუსეთის მიმართ სანქციებს რატომ არ უერთდებითო, თავად კი მათ მიერვე დაწესებულ სანქციებს გვერდს მშვიდად უქცევენ. ეს ორმაგი სტანდარტია. დასავლეთი ყველაფერზე თვალებს ხუჭავდა. ახლა, ორივე თვალს არა, მაგრამ ერთს მაინც ხუჭავს. თუკი ტრანზიტის ხაზის ჩაშლა მოხერხდება, ეს რუსეთის ინტერესშია და მას გააძლიერებს, რაც ჩვენთვისაც პრობლემატურია და ევროპისთვისაც. მოგვიანებით იტყვიან: უი, შეგვეშალა, ასე არ უნდა მოვქცეულიყავითო და ამით დამთავრდება.

რუსეთ-უკრაინის ომს ისტორიული მნიშვნელობა აქვს, რამაც მთელი მსოფლიოს გადალაგებაში გადამწყვეტი როლი უნდა ითამაშოს. თუკი ევროპამ იგივე სტილი შეინარჩუნა, რაც 90-იან წლებში ჰქონდა — რუსეთი ევროპა არ არის, მოდი, ევროპელებმა ევროპულ ზონას მოვუაროთ, რუსეთს კი თავის პოსტსაბჭოთა სივრცე დავუტოვოთო, ეს სახიფათო ფორმულა იქნება. აშშ-საც იგივე კონცეფცია ჰქონდა — ამერიკამ თავის კონტინენტს უნდა მიხედოს, დანარჩენ მსოფლიოს კი ჯანდაბამდე გზა ჰქონიაო. ეს პრინციპი რუზველტმა დაარღვია და კოალიციაში ჩაერთო. სწორედ ამ ნაბიჯის შედეგია ის, რომ დღეს მსოფლიოს ღერძი ამერიკაა. ანალოგიურად, **თუ ევროპამ მხოლოდ ევროპული ინტერესებით და გეოგრაფიით იხელმძღვანელა, გავლენას დაკარგავს. დღეს მთელი მსოფლიო ევროპას აკვირდება, მისი ბედი სასწორზე დევს — რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად, ევროპა ან მათხოვრად იქცევა, ან მსოფლიო პოლიტიკაში ერთ-ერთ საკვანძო ადგილს დაიკავებს.** ევროკავშირი ან კონტინენტის ევროპული ნაწილის პრინცი გახდება, ან — მათხოვარი. დიახ, პრინცი იქნება ევროპა თუ მათხოვარი, ეს რუსეთ-უკრაინის ომზე და თავად ევროპის სტრატეგიაზეა დამოკიდებული.

ევროპამ თუ უკან დაიხია და რუსეთს სივრცეები ისევ დაუთმო, ამით ჩინეთის გაძლიერებას ხელს შეუშლის. ჩინეთის გაძლიერების მიზანი სწორედ ის არის, რომ მას ევროპა პარტნიორად ჰყავდეს. ჩინეთს ევროპის ბაზარი სჭირდება. ამიტომ მისი დაუძლურება არ აწყობს. თუ ევროპა ამ ტენდენციას არ აჰყვება, ბევრ რამეს წაგებს. შეიძლება, მან ასეთი „შუა სართულების“ პოლიტიკოსთა ახლომხედველობით: მოდი, ჩვენს ევროპას მოვუაროთ, სხვა არ გვაინტერესებს, გამორიცხული არ არის, სწორი ნაბიჯი ვერ გადადგას, ორმოებში ჩავარდეს და მერე ვიშვიშს უკვე აზრი აღარ ჰქონდეს. არსებობს შანსი, რომ ევროპის წამყვანი ქვეყნები: გერმანია, საფრანგეთი, იტალია სამომავლო პერსპექტივას გაანალიზებენ და ევროპულ პოლიტიკურ მანქანას მთლიანად შემდეგი მიმართულებით წაიყვანენ — ჩინეთთან ძლიერ ალიანსს შექმნიან, მით უფრო, რომ თავად ევროპასაც და ჩინეთსაც ამერიკული ძალის შიში აქვთ. ამერიკა ჩინეთს კონკურენტად აღიქვამს. იმედია, სამომავლო პერსპექტივის მასშტაბურ გაგრძელებას შოლცი, მაკრონი და სხვა ევროპული ქვეყნების ლიდერები დაინახავენ და იმ ინერციის შეცვლას, რაც აქამდე ჰქონდათ, მოახერხებენ. მორიდებულობის დრო უნდა დამთავრდეს და ევროპამ ორიენტაცია უფრო გაბედული ნაბიჯების გადადგმაზე აიღოს, რაც ამერიკასთან შეკამათებაშიც გამოვლინდა.

რაც შეეხება ამერიკას, მისი პოლიტიკის სერიოზული ფაზა იწყება. რატომ იყო ამერიკის მიმართ უკმაყოფილება? — იმიტომ, რომ მან ჩინეთის მხარდაჭერისთვის ევროპა გააკრიტიკა. ევროპელებმა შეახსენეს, რომ მათი სუვერენული უფლებაა, ურთიერთობა ყველასთან იქონიონ. გავიხსენოთ, ამერიკამ პომპეოს ვიზიტის დროს საქართველოს მიმართაც ანალოგიური კრიტიკული პოზიცია დაიკავა. და რა თქვა მაშინ პომპეომ? — ანაკლიის პორტის მშენებლობაში ჩინეთის ჩართვა არ გაბედოთ, ეს ამერიკული პოლიტიკისთვის დაუშვებელიაო. მაშინ ამ რეპლიკას ყურადღება არავინ მიაქცია, მაგრამ ერთი რამ ფაქტია: საქართველოში ჩინეთის გაძლიერება ამერიკის ინტერესში არ არის. დააკვირდით, ამერიკა თითს გვიქნევს: რუსეთისკენ ნუ მიდიხართო, სინამდვილეში, მას არ მოსწონს ჩვენი ჩინეთისკენ სვლა, რუსეთი მხოლოდ საბაბია. ამერიკის მხრიდან საქართველოს მიმართ ასეთი რაუნდები კიდევ არაერთი იქნება. ანალოგიურ რაუნდებს უკვე მოვესწარით დეგნანის ელჩობის პერიოდში, როცა იგი ქართულ პოლიტიკას ძალიან აკრიტიკებდა. მოვესწარით იმასაც, რომ მოსამართლეებს სანქციები დაუწესეს. ახლა კიდევ მორიგი სანქციებით გვემუქრებიან. ამერიკა კი გვაბრალებს: რუსეთისკენ მიდიხართო და ვითომ ამაზე ღიზიანდება, მაგრამ აბა, დავუკვირდეთ: **ამერიკისთვის ჩვენი რუსეთისკენ სვლაა მიუღებელი, თუ საქართველოში ევროპისა და ჩინეთის გავლენა?! იმიტომ, რომ აქ რუსეთის გავლენის ნიშნები არ არის, ევროპისა კი — თვალნათლივ ჩანს. იქნებ, იმ სატრანზიტო მიმართულებაზე აქვს ამერიკას ჩვენს მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება, რაშიც ჩინეთის ფაქტორიც იკვეთება?!** ანალოგიური დაძაბულობა ხომ ამერიკისა და საფრანგეთის, ამერიკისა და ევროკავშირის ურთიერთობაშიც იგივე მიზეზით გაჩნდა — ხომ არ უთმობს ევროპა ჩინეთს რაღაც ისეთს, რაც ამერიკისთვის მიუღებელია!

თამარ შველიძე
555 23 28 24

ჩამოაშორეთ ამერიკას დემოკრატია და მისგან არაფერი დარჩება

გვესაუბრება ანალიტიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იგორ კვესელავა:

— ბატონო იგორ, თურქეთში არჩევნები ერდოღანის გამარჯვებით დასრულდა. როგორ ფიქრობთ, ეს რამდენად უზრუნველყოფს სამხრეთ კავკასიაში მშვიდობასა და სტაბილურობას?

— ამ მიმართულებით ორი ასპექტი უნდა განვიხილოთ. პირველი — ერდოღანი დიდი ხანია, ხელისუფლების სათავეშია და იგი თურქეთის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ სახეს წარმოადგენს. ერდოღანის გეგმის მთავარი შემადგენელი ნაწილი „დიდი თურანის“ განხორციელებაა, რაც თურქეთის, ანუ ისლამის ქვეშ ნახევარი მსოფლიოს გაერთიანებას ითვალისწინებს. ამ გეგმაში სამხრეთ კავკასია, ჩრდილოეთ კავკასია და ევროპის ნაწილიც მოიაზრება. ეს შორეული ამოცანაა, თუმცა იდეა არსებობს. მიზანი ცნობილია, მაგრამ მისი სისრულეში მოყვანა ასე ადვილი არ არის. ასევე, სომხეთში არსებობს „დიდი სომხეთის“ თეორია. სომხები ოცნებობენ, ირანისა და აზერბაიჯანის ხარჯზე „დიდი სომხეთი“ შექმნან, მაგრამ არც ეს არის მარტივი. ასეთ შემთხვევაში ჩვენ სხვა სამყაროში აღმოვჩნდებით. ქართველებისთვის ეს ძალიან

მტკივნეული იქნება. დავუბრუნდეთ თურქეთს. ერდოღანი ეროვნული სახელმწიფოებრიობის გარანტი და პოლიტიკურ-ეკონომიკურ-სივრცობრივი თვალსაზრისით, თურქეთის გაძლიერების მებაირახტრეა. დღეს საკითხი ასე დგას — თურქეთი ევროპაა თუ აზია. მე თუ მკითხავთ, ორივეა. თუმცა, ის მაინც აზიური სახელმწიფოა, რომელსაც დიდი ფარული ინტერესები აქვს. თურქეთი ერდოღანის მოღვაწეობის პერიოდში ყველასგან დამოუკიდებელია, მათ შორის, რუსეთისგანაც. ყარაბაღთან დაკავშირებული საკითხის გადაწყვეტაში თურქეთმა განსაკუთრებული როლი ითამაშა. ამ კონფლიქტში რუსეთი მხარს სომხეთს უჭერდა, მაგრამ მან, თურქეთის ფაქტორიდან გამომდინარე, აზერბაიჯანის დაჩაგვრა ვერ გაბედა. სამხრეთ კავკასიაში თურქეთმაც, რუსეთმაც და აზერბაიჯანმაც მიიღეს ის, რაც სურდათ. გამონაკლისი მხოლოდ სომხეთია. რუსებს სომხეთში სამხედრო ბაზა აქვთ. აზერბაიჯანის გაძლიერება კი თურქეთის გაძლიერებას ნიშნავს. ასე რომ, ერდოღანის მიერ წარმოებული პოლიტიკა მნიშვნელოვანია. აქვე აღსანიშნავია, რომ ერდოღანი დასავლური ორიენტაციის პოლიტიკოსი არ არის. იგი არც დასავლური და არც რუსული, არამედ წმინდა თურქული ორიენტაციისაა. თურქმა ხალხმა მას მხარი დაუჭირა. არჩევნებში ერდოღანის მიერ წარმატების მიღწევა ამერიკის გამარჯვება არ არის. აზიაში და კავკასიურ სივრცეში ამერიკამ ვერ გაიმარჯვა. ერდოღანის კონკურენტი — ქემალ ქილიჩდაროღლუ კი ნამდვილად იყო დასავლური პროექტი, რომელიც ამერიკის გარკვეული წრეებიდან ფარულად ფინანსდებოდა. მისი გამარჯვების შემთხვევაში, თურქეთშიც და, შესაბამისად, საქართველოშიც, ამერიკის პოზიცია გაძლიერდებოდა. მაგრამ ასე არ და ვერც მოხდებოდა. მე არც მქონდა მოლოდინი, რომ თურქეთში ამერიკული მიმართულება გაიმარჯვებდა. ამერიკამ ვერ მოახერხა თავისი ინტერესების დაკმაყოფილება. რას მოუტანს საქართველოს ერდოღანის მმართველობაში დარჩენა? — პროცესები ჩვეულ რიტმში გაგრძელდება. ამ ეტაპზე საქართველო-ამერიკის ურთიერთობები გართულებულია, ამიტომ ამერიკისთვის თურქეთში მისი რჩეულის გამარჯვება მნიშვნელოვანი იყო. ხოლო ერდოღანი იმ გზას გააგრძელებს, რაც აქამდე ჰქონდა. თურქეთს თავისი დემოკრატია, პრინციპები და გზა აქვს.

ზოგადად, სიტყვა — დემოკრატია არ მომწონს. ის ვარიანტულია. ყველა ქვეყანას თავისი დემოკრატია აქვს. ვერ გავიზიარებ მოსაზრებას, თითქოს დემოკრატია მსოფლიოს გადამრჩენელია. როგორც დიქტატურა არ გახლავთ მსოფლიოს გადამრჩენელი, ისევეა დემოკრატიის შემთხვევაშიც. დემოკრატია დღეს აშშ-ისთვის გარკვეულ მოდელად იქცა. ხშირად გვესმის ამერიკულ დემოკრატიაზე საუბრები. ქართული დემოკრატიაც არსებობს, რომელიც განსხვავებულია. არ შეიძლება, მთლიანობაში დემოკრატია ერთი იყოს. ზოგადად, ქვეყანა, რომელიც ეკონომიკურად ძლიერია, მეტად დემოკრატიულიცაა. სტალინი ამბობდა: თუ გვინდა, ქვეყანა მეტად დემოკრატიული იყოს, ეკონომიკის მაღალი დონე უნდა გვქონდესო. მისივე თქმით, პოლიტიკური კულტურის მაღალი დონეც აუცილებელია. ჩვენ ვამბობთ, რომ დემოკრატიის გზისკენ მივდივართ. თუ ჩვენთვის დემოკრატია კომპასია გაშლილ ზღვაში, რომელმაც ნაპირთან უნდა მიგვიყვანოს, მაშინ ეს საინტერესო იქნება. თუმცა, დემოკრატიის სხვადასხვა ხასიათის გამო, ეს ადვილი არ არის. მაგალითად, ამერიკული დემოკრატია რუსეთისთვის მისაღები არ არის არც წარსულის, არც დღევანდელობისა და არც ხვალინდელი დღის გათვალისწინებით.

— ერდოღანი დაიმუქრა: ხუთ წელიწადში ამერიკას დავაჩოქებო. როგორ ფიქრობთ, ისტორიული პროცესის მომსწრენი ხომ არ ვხდებით — გადაგვარებული ლიბერალიზმი ისტორიის სარბიელიდან ნელ-ნელ მიდის?

— ძალიან ღრმა, ანალიტიკური კითხვაა. თურქეთმა ამერიკა რომ დააჩოქოს, ეს თავად მისთვისაც არ იქნება კარგი. მეორეც, თურქეთი ნატოს წევრი ქვეყანაა. გეთანხმებით იმაში, რომ ამერიკას თურქეთი უფრო სჭირდება, ვიდრე პირიქით. როგორც ზემოთ ვახსენე, ამერიკას ჰყავდა თავისი გამოკვეთილი ფიგურა — ქილიჩდაროღლუ, რომელსაც ერდოღანი უნდა შეეცვალა. ამერიკა ყველა მიმართულებით იბრძოდა, რათა ერდოღანი პოლიტიკიდან ჩამოეშორებინა. ამერიკელები ისეთი ადამიანების ჩამოშორებას ცდილობენ, რომლებიც უკვე მათი ძაღლისშვილები არ არიან. ერდოღანი ამერიკის ძაღლისშვილი არ არის. აგერ, ბაიდენი მეორე ვადით გაპრეზიდენტებას გეგმავს და რა უფლება აქვს აშშ-ს, თურქებს უკარნახოს, ვინ უნდა იყოს მათი პრეზიდენტი. ვფიქრობ, თურქეთი ამერიკასთან უფრო მკაცრ საუბარს დაიწყებს. რაც შეეხება იმას, თუ რა ელის გადაგვარებულ ლიბერალიზმს. ახლა, ნეოლიბერალიზმიც შეიქმნა. მაგალითად, ფუკუიამა ამერიკაში წავიდა, სადაც ყველაფერი დემოკრატიზმის თეორიაზეა აგებული, მათ შორის, გამარჯვებაც, დამარცხებაც, შეტევაც, ტერორიზმიც, გადატრიალებებიც დემოკრატიის სახელით ხდება. სტალინი კი ევროპის ქვეყნებში მშვიდობის, გამარჯვების გზით შედიოდა. აი, ასე მოხდა გასოციალისტება არა დემოკრატიის, არამედ მშვიდობის სახელით. მშვიდობის მედროშე საბჭოთა კავშირია, დემოკრატიისა კი — ამერიკა. ფაქტობრივად, ეს ერთი და იგივეა — ერთი დემოკრატიის სახელით იბრძვის, მეორე — მშვიდობის. მშვიდობის გზით შეიძლება, სხვა ქვეყნებში დიქტატურაც დაამყარო. უბრალოდ, ფორმებია სხვადასხვა. გადაგვარებული ლიბერალიზმი მთავრდება. არსებობს კანონზომიერება — დგება ჟამი, როცა რაღაც უნდა შეიცვალოს. სახეზეა ახალი ამერიკული ლიბერალიზმი, რომელიც აშშ-ს ბატონობისთვის, ეკონომიკის გაძლიერებისთვის აწყობს და არა მხოლოდ თავისთან, არამედ სხვა ქვეყნებშიც. სწორედ ამ დროშით, ნიღბით მიუყვებიან გზას. ჩამოაშორეთ ამერიკას დემოკრატია და რა დარჩება?! — არაფერი. ერდოღანიც თავის გზით მიდის. მისი კონკურენტი რომ მოსულიყო, ის ნამდვილად ამერიკის ხელდასხმული იქნებოდა. ერდოღანი არავის მიერ დასმული არ არის. ის თურქი ხალხის არჩეულია.

— ბატონო იგორ, ამერიკამ თურქეთში საწადელს ვერ მიაღწია. თუ მან თურქეთში არეულობის მოწყობა სცადა, ჩვენთანაც იგივეს ხომ არ შეეცდება, რათა საქართველოს მეშვეობით ჩრდილოეთ კავკასიაში პრობლემები გამოიწვიოს?

— ძალიან საინტერესო კითხვაა. „დიდი თურანის“ მიხედვით, ჩრდილოეთ კავკასიის დაპატრონება თურქებს სურთ. ლაპარაკია

უზარმაზარი მსოფლიო რელიგიური სახელმწიფოს შექმნაზე. აშშ-მ თურქეთში უკვე გააკეთა ის, რაც შეეძლო. ამერიკას ეკონომიკური თვალსაზრისით თავისი პრობლემები აქვს. უკრაინის ომმა ის ისევე, როგორც ევროპა, ვერ გააძლიერა, არამედ პირიქით. მაგალითად, გერმანიაში ახლობლები მყავს და ვიცი, რომ იქ ცხოვრება ძალიან გაძვირდა. საზოგადოება, პოლიტიკოსების ნაწილი ფიქრობდნენ, რომ ეკონომიკური სანქციების დაწესებით რუსეთს ბოლოს მოუღებდნენ. პარადოქსია, მაგრამ რუსეთს სანქციებმა მეტი მოგება მოუტანა. მეორე მხრივ, რუსეთმა თავად დაიწყო იმის წარმოება, რასაც აქამდე ევროპისგან და ამერიკისგან იღებდა, რამაც ეს სახელმწიფოები დააზარალა, პირველ რიგში, ევროპა. სანქციებმა კრიზისი გამოიწვია ევროპაშიც და ამერიკაშიც. ის, რაც ბაიდენმა ამ კუთხით გააკეთა, გაუთვლელი პოლიტიკის შედეგია. ზოგადად, რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების საკითხი ამერიკაში მომზადდა. ამერიკას ევროპასთან, უკრაინასთან დაკავშირებით თავისი ინტერესები ჰქონდა. მას უკრაინაში გაბატონება უნდოდა. დასამალი არაა, რომ ელცინის რუსეთი ამერიკაზე იყო მიბმული, რითაც ეს უკანასკნელი სარგებლობდა. სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, ეს რუსეთისთვის წამგებიანი იყო. პუტინის რუსეთი კი იმდენად ძლიერია, რომ მან უკრაინასთან ომი დაიწყო. ბოროტებას რაღაც საფუძველი ყოველთვის აქვს. ამერიკამ თავისი პოზიციის შესანარჩუნებლად დაიწყო ეს ყველაფერი. თქვენ გგონიათ, ამას მშვიდობის გზით აკეთებს?! არა, ეს ხდება დაპყრობის, ომების გზით. ამ ომით ამერიკამ ბევრი რამ მოიგო, თუნდაც ლენდ-ლიზის პროგრამა და სხვა. რაც კი საბჭოთა კავშირისდროინდელი ძველი იარაღი ჰქონდათ დაგროვილი, ყველაფერი მოიშორეს. რა შედეგი მოჰყვება ომს? რაზე ფიქრობს ზელენსკი. იგი მუდმივად გაიძახის: რუსეთი დამარცხდებაო. ბევრს ეგონა, რუსეთი ერთ, ექვს თვეში ან წელიწადში მაინც დამარცხდებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. ამერიკაში ომთან დაკავშირებით სენსაციური განცხადებებიც კეთდება: „ომი გაგრძელდება, ის კიდევ უფრო სიღრმეში შევა“. თუ ომი უკრაინის მარცხით დამთავრდა, ეს მისი კი არა, არამედ ამერიკის დამარცხება იქნება.

— საუბარში ახსენეთ, ჩვენ რუსეთ-უკრაინის ომზე ვართ ჩამოკიდებულიო. რა იგულისხმეთ?

— „საერთო გაზეთისთვის“ არაერთხელ მითქვამს, რომ ეს კონფლიქტი უკვე მესამე მსოფლიო ომში გადაიზარდა. აქ სამი ინტერესი იკვეთება. ერთი ამერიკის, რათა უკრაინაში გავლენები მოეპოვებინა, მისი რესურსები, ტერიტორია ხელთ ჩაეგდო; მეორე მხრივ, აქ შორს გათვლილი პოლიტიკა იკვეთება: ლაპარაკია იმაზე, რომ აშშ-ს ამით სურს, გერმანიას, საფრანგეთს და ა.შ. თავისი ძალა აჩვენოს. ამერიკას შეეძლო, სხვაგვარად მოქცეულიყო და მის მიერ „შექმნილი“ ზელენსკი დაემშვიდებინა. ამ ომზე წასვლა მხოლოდ ზელენსკის შეეძლო, რასაც სხვა არცერთი უკრაინელი მოღვაწე არ გააკეთებდა. ზელენსკი სწორედ ომის დაწყებისთვის სჭირდებოდათ. ეს ომი, პოლიტიკური თვალსაზრისით, თითის დაქნევაა იგივე გერმანიის თუ სხვა ევროპული ქვეყნებისთვის. თუ ამერიკა ევროპაში უკრაინაზე გავლენას მოიპოვებს, მაშინ გერმანიის, საფრანგეთის და სხვათა მიმართ დათმობებზე ნაკლებად წავა და ხმასაც უფრო აუწევს. ასე რომ, მთავარი ის არის, რომ აშშ-მ უკრაინის „დაპყრობა“ გადწყვიტა და ამისთვის მზადება დაიწყო. ასე რომ, ომი, უკრაინის საშუალებით, ამერიკამ დაიწყო. რუსეთს რომ ეცლია, ამერიკა უფრო კარგად მოემზადებოდა და შეიძლება, ყირიმის საკითხიც გადაწყვეტილიყო.

მიხარია, რომ „საერთო გაზეთი“ ეროვნული გაზეთია და სხვებისგან განსხვავებით, დიდ ადგილს უთმობს ანალიტიკას, საღ აზრს. ჩემი მეგობრის, ვახტანგ ხარჩილავას ანდერძი სრულდება — „საერთო გაზეთი“ სიმართლის გზას მიჰყვება.

თამარ შველიძე
555 23 28 24

ნეტავ, თუ მოვესწრები იმას, რომ საქართველოს ისეთი ხელისუფლება ჰყავდეს, რომელიც ჩვენი ქვეყნის პრობლემებზე იქნება ორიენტირებული და არა უცხო ქვეყნის ინტერესების გამტარებელი?

დღევანდელ საქართველოში კოჰაბიტაცია კოლაბორაციონიზმშია გადასული და ნაციონალების დაბრუნების საფრთხე საკმაოდ რეალურია, ფაქტობრივად, ისინი ხომ არც არსად წასულან?

ნეტავ, ოდესმე თუ მოგვეცემა საშუალება, პარლამენტი ჩვენით ავირჩიოთ და ორპარტიულ კოჰაბიტირებულ პარლამენტს არ ვანდოთ ჩვენი ქვეყნის ბედ-იღბალი...

არცერთ ხელისუფლებას, მათ შორის, ბატონი ივანიშვილის ხელისუფლებას, ბრმა ტაშისმკვრელები არ აკლია, რაც ცუდ სამსახურს უწევს. კი, ძალიან გამიხარდა ახალი ხელისუფლების მოსვლა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დამოუკიდებელი ანალიზის უნარი დავკარგო, ან იმ ადამიანებს არ მივუთითო, რომლებიც მანამდე თითქოს ობიექტურად უყურებდნენ სიტუაციას, ახლა კი ვარდისფერი სათვალე მოირგეს.

ვიდრე „ოცნების“ ყველაზე დიდი გულშემატკივრებიც კი არ გააკრიტიკებენ იმ პოზიციებს, რომლებიც დღეს „ოცნების“ მხრიდან არ სრულდება ისე, როგორც ეს საზოგადოების მოთხოვნაა;

ვიდრე ხალხს მისი მოთხოვნების აღმსრულებელი ხელისუფლება არ ეყოლება, ქვეყანას არაფერი ეშველება.

„ოცნება“ კი არა, საკუთარი ძმა რომ იყოს ხელისუფალი, მასაც უნდა მიუთითო, რომ გზას არ აცდეს!

თუ საზოგადოება იქნება ადეკვატური და სწორად გააანალიზებს წარსულ შეცდომებს, გაითვალისწინებს იმ გამოწვევებს, რომლთა წინაშეც დღეს რეალურად დგას საქართველო ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ, მაგრამ აუცილებლად დალაგდება...

ხომ გაგიგიათ, კარზე თუ არ დააკაკუნებ, არასდროს გაგეღებაო — მეზობელი რუსეთის წართმეულს ოკეანსგაღმელი ამერიკა ვერასოდეს დაგვიბრუნებს და საქართველოს მომავალს ისეთი ხელისუფლება სჭირდება, რომელიც ამ აქსიომას გაითვალისწინებს.

ჩვენს „პატრონებს“ არ სჭირდებათ გონიერი და თავმოყვარე ქართველი

2012 წლის 1-ელი ოქტომბერი საქართველოს ბოლო იმედი იყო. ქვეყნის მოსახლეობამ ხმა მისცა არა კონკრეტულად ბატონ ბიძინა ივანიშვილს, არამედ მისი სახით იმედს, რომ ამ ქვეყანაში რაღაც უკეთესობისკენ შეიცვლებოდა და ქართველ ერზე მოძალადე ხელისუფლება საკადრისად დაისჯებოდა.

გარკვეულწილად იმედები გამართლდა, მაგრამ მხოლოდ გარკვეულწილად. ადამიანების დამცირება, არაადამიანური მოპყრობა და წამება დამთავრდა, მაგრამ მწამებლები ჯერ კიდევ არ დასჯილან! იმ მწამებლური რეჟიმის შექმოქმედი მიშა სააკაშვილის „ვივამედში“ კოტრიალი, მისი კაპრიზები და პრივილეგირებული ყოფა დასჯა არ არის.

ძალიან მძიმე ასატანია ხალხისთვისთვის, რის გამოსწორებასაც საზოგადოება უპირველესად ითხოვს — არა დაუსრულებელ კოჰაბიტაციას დამნაშავე რეჟიმთან, არამედ სამართლიანობის აღდგენას! ამის გაკეთება 2012 წლიდან შეეძლო მოწადინებულ ხელისუფლებას და დღესაც შეუძლია, მაგრამ ასე არ იქცევა. ზოგადად კი ამბობენ, რომ ეს აშშ-ის მოთხოვნაა, მაგრამ რატომ დადის ჩვენი დღევანდელი ხელისუფლება წინამორბედი ხელისუფლების მსგავსად ამერიკელების ჭკუაზე, ამას არავინ გვეუბნება.

სააკაშვილის ხელისუფლება და თავად სააკაშვილი რეალურად იყვნენ აშშ-ის მიერ მოვლენილი და მათივე ინტერესების გამტარებლები საქართველოში და წარმატებით ასრულებდნენ კიდეც მათზე დაკისრებულ რუსეთის მუდმივი გამღიზიანებლისა და ფორპოსტის ფუნქციას. ისევე, როგორც სააკაშვილის რეჟიმი, ახალი ხელისუფლებაც სრულად არის დამოკიდებული აშშ-ზე, რადგან მათ მიერ ანთებული მწვანე შუქით უმტკივნეულოდ მოვიდა ხელისუფლებაში.

ამერიკული ინსტიტუტები, რომლებიც სოციოლოგიურ გამოკვლევებს ატარებენ საქართველოში, ვითომ ჩვენს დასაბრმავებლად აცხადებდნენ (ახლაც იგივეს სჩადიან) რაღაც ციფრებს, მაგრამ რეალურად რა განწყობაც იყო, შესანიშნავად იცოდნენ. რადგან ქვეყნის სტაბილურობის დარღვევა იმ დროს „არ აწყობდათ“, ამიტომაც ინებეს, რომ ხელისუფლება შეცვლილიყო, ცხადია, მათთვის მისაღები ფორმით. შესაბამისად, ახალ ხელისუფლებასა და პარლამენტში კვლავ პრო-ამერიკული ძალები მოხვდნენ, იგივე ალასანია, თუ „რესპუბლიკელები“. ვინ იტყვის, რომ „რესპუბლიკულ პარტიას“ 3%-ზე მეტი რეიტინგი ოდესმე მაინც ჰქონდა? რატომ გაკეთდა სწორედ ამ ძალაზე აქცენტი, გასაგებია — ეს იყო ჩვენი „პატრონის“ ნება. რა თქმა უნდა, კოჰაბიტაციაც აშშ-ის მიერაა თავსმოხვეული და „ოცნება“ „ბრძანებას“ ვერ გადაუხვევს.

დღეს მთელი მსოფლიო ლგბტ-ის უფლებებზე ზრუნავს, მათ შორის საქართველოშიც, მაგრამ არავინ ზრუნავს საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილის უფლებებზე. მოვიდა დრო, როცა ყველამ უნდა გააცნობიეროს, რომ აშშ-ს დღევანდელი ხელისუფლების უპირობო მართვა კვლავაც საქართველოს ინტერესების საზიანოდ სურს, განსაკუთრებით რუსეთთან მიმართებაში.

მიუხედავად ხალხის სურვილისა, დალაგდეს მეზობელ ქვეყანასთან ურთიერთობები, ამ მიმართულებით არანაირი წინსვლა არ შეინიშნება და მომავალშიც გამორიცხულია თუნდაც იმ არაკომპეტენტური და სრულიად მიუღებელი განცხადებების ფონზე, რასაც ზოგიერთი პირი რუსეთთან დაკავშირებით ახმიანებს.

„პატრონის“ მაძიებელი საქართველო

ყველა ნორმალურად მოაზროვნე ადამიანის სურვილი იყო, საგრძნობლად შემცირებულიყო „ამერიკელი პატრონის ინსტიტუტის“ გავლენა საქართველოს ხელისუფლებაზე, რადგან ამას არანაირი სიკეთე არ მოუტანია ქართველი ხალხისთვის, პირიქით, ოკეანისგაღმელი პატრონის წახალისებით მაქსიმალურად შეიზღუდა ადამიანის უფლებები. რა უნდა იფიქროს ადამიანმა? ის, რომ ეს აშშ-ის ინტერესებში შედიოდა, მათ არ სჭირდებათ საქართველოში გონიერი და თავმოყვარე საზოგადოება, მათ სააკაშვილის მსგავსი მარიონეტები სჭირდებათ, რომლებიც თავს საქართველოს პატრიოტობაზე დებენ, სინამდვილეში კი სხვა ქვეყნის ნების შემსრულებელი, უსულგულო ქართველთმოძულე რობოტები არიან.



სწორედ ამერიკის წახალისებითა და ხელშეწყობით მიმდინარეობდა 9 წლის განმავლობაში და გრძელდება დღესაც მართლმადიდებლური სარწმუნოებისა და ტრადიციების ნგრევა, ღირსების აყრა და უცხო ქვეყნის ტრადიციების იძულებითი დანერგვა. უბრალოდ, ქართველთა გენოციდი აღარ გამოსდით, ვერაფრით დაიყოლიეს არსებული ხელისუფლება ე.წ. მეორე ფრონტის გახსნაზე. აქედან დასკვნებია გამოსატანი. ამ ინფანტილურმა მსოფლმხედველობამ, რასაც მხოლოდ დასავლეთის იმედად ყოფნა ჰქვია, ნატო-ს ყიჟინამ და რუსეთის ინტერესების სრულმა იგნორირებამ უკვე კატასტროფული ხასიათი მიიღო, არადა, სწორედ ამის შედეგია ის სავალალო მდგომარობა, რომელშიც ჩვენი საბრალო ქვეყანა ჩავარდა.

დადგა საქართველოში ბიძინა ივანიშვილის მმართველობის ხანა, რომელიც სააკაშვილის დამნაშავე რეჟიმის გასამართლებას გვპირდებოდა, თუმცა ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ სრულიად საწინააღმდეგო რამ, კოჰაბიტაცია დაამკვიდრა, რითიც „ნაცმოს“ რეინკარნაციას მიეცა დასაბამი. მიმდინარეობს გამალებული მზადება, არჩევნების გაყალბებისა თუ სხვა ნებისმიერი სახის უმგვანობის ხარჯზე, მისიკვდილებული „ნაცმო“ ისევ თავზე წამოასვან საქართველოს და ისევ „პატრონის“ ზეწოლით.

უფალმა ასე ინება, რომ რუსეთი და საქართველო მეზობლები არიან, საქართველო კი რუსეთისთვის სტრატეგიულად უმნიშვნელოვანეს რეგიონშია. ამიტომ, იმთავითვე თავის მოტყუებაა, რომ საქართველო რუსეთისგან სრულიად დამოუკიდებელ პოლიტიკას გაატარებს და რუსეთს ამაზე რეაქცია არ ექნება. ევროპის წამყვანი ქვეყნები, აშშ, იაპონია, ჩინეთიც კი იძულებულნი არიან, გაითვალისწინონ რუსეთის ინტერესები და ჩვენ რისი იმედი გვაქვს?!

რატომ ერთხელ მაინც არ დასხდებიან ყველანი, ვინც ნატო-ს მხსნელად მიიჩნევს და რატომ არ აგვიხსნიან, რა გზით აპირებენ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნებას, თუ მართლაც მოხდა სასწაული და ნატო-ში მიგვიღეს? ამ დროს რუსეთმა უკვე ოფიციალურ დონეზე განაცხადა, რომ სასტიკად ეწინააღმდეგება ნატო-ში საქართველოს შესვლას.

სამაჩაბლოსთან დაკავშირებული სიტუაცია ხელოვნურად არის შექმნილი, რადგან მავთულხლართები იქ სააკაშვილის უკუღმართი პოლიტიკის შედეგად გაიბა 2009 წელს. ახლა კი, მავთულხლართების არსებობითა თუ ჯონჯოლის საკრეფად წასულ პირთა დატყვევებით, რუსეთი დროდადრო გვაფრთხილებს და გვეუბნება, რომ მისთვის ჩვენი ახალი ხელისუფლების პოლიტიკაც მიუღებელია, თუმცა რაღაც ძვრებს ხედავს. სწორედ ამიტომ, ნაბიჯს დგამს საქართველოსკენ და უვიზო მიმოსვლას აწესებს ფრენების აღდგენასთან ერთად. სანაცვლოდ რას ვაკეთებთ — აქციებს ვატარებინებთ და ტრანსპარანტებით ვაპროტესტებინებთ ვიღაცებს რაღაცებს, ნაცვლად იმისა, რომ **აშშ-ის მიერ თავსმოხვეულ პოლიტიკას ვაპროტესტებდეთ, რუსეთთან მისასვლელ გზებს ვეძებდეთ, იქნებ, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების იმედი ოდესმე რეალობად იქცეს.**

იმ შლეგს, „ვივამედში“ გაშხლართულ (პ)რეზიდენტს, შიშით ვინ ჩაეძიებოდა, 2008 წელს წამოწყებულ პროვოკაციულ ომზე რომ თქვა „რუსეთის სახე ვაჩვენეთო“, მაგრამ ამ (პ)რეზიდენტის რომ არც არავის ეშინია და არც არავინ აგდებს რამედ, ამას მაინც ჩაეძიოს ვინმე, რას ათამაშებ ერთ ადგილს, შე მრავალგზის ეჭვმიტანილოო.

სამწუხაროდ, საქართველო დღემდე აშშ-ის დაკრულზე ცეკვავს და მისგან მიღებულ დირექტივებს ასრულებს, აშშ-ის მიერ დაფინანსებული პოლიტიკური სპექტრისა და არასამთავრობო ორგანიზაციების უმეტესი ნაწილი კი ძირითადად უცხო ქვეყნების ინტერესების გამტარებლად და საკუთარი ქვეყნისა და ხალხის მტრებად გვევლინებიან.

ცალკე თემაა აშშ-ის მიერ სატყუარად შემოგდებული „მითიური ნატო“, რის იმედადაც, რუსეთთან ურთიერთობის მაქსიმალურად გაფუჭების ხარჯზე, საქართველოს უფსკრულისკენ მიაქანებენ, რასაც ყველა შემთხვევაში სუვერენიტეტის დაკარგვა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საბოლოო დაშლა მოჰყვება.

რუსეთი აქედან არსად მიდის და მისი გავლენა კავკასიაში ყოველთვის ბევრად მეტი იქნება, ვიდრე აშშ-ისა. ამას რომ არ აღიარებ, პოლიტიკოსი ხარ თუ პოლიტოლოგი, ეს ქართველი ხალხის მოტყუების მცდელობაა. ახლა ამ ყველაფერს ახალი სატყუარა, ევროკავშირიც დაერთო...

ნინო დაუშვილი

ნაცებს, შმაცებს და შმაცნაცუნებს ტარაკუა დაესხათ

„ნაცმო“ საკმაო ხანია, კალაპოტიდან ისე არის ამოვარდნილი, ხან აღმა მიდის დაქსაქსულად, ხან — დაღმა, მაგრამ იმას, რაც ბოლო ხანებში დაემართათ, მხოლოდ ერთი დიაგნოზი დაესმის:

— თავს ტარაკუა, გნებავთ, ტარაკუა დაესხათ!

რა დაემართათ „ნაცებსო?“ — უკვირს მავანს. ჯერ ის ვთქვათ, ვის დაემართა, შემდეგ — რა დაემართათ, ხოლო შემდეგ — რატომ დაემართათ და იქნებ, ვუწამლოთ კიდეც...

ვის დაემართა ტარაკუა?

წლების წინათ „გარდიანში“ გამოქვეყნდა ფაშიზმის დამახასიათებელი ათი პუნქტი:

„შექმენით შიდა და გარე მტრის შემაშინებელი სახე;

ააშენეთ გულაგის მსგავსი ციხეები აუტანელი პირობებით;

ხალხის შესაშინებლად შექმენით საკუთარი მოიერიშე ბრიგადები;

მოქალაქეებზე მოახდინეთ თვალთვალი;

მოსვენება არ მისცეთ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს;

მოაწყვეთ თვითნებური დაჭერები და გათავისუფლებები;

შეაშინეთ ინტელიგენცია, მოაზროვნე ადამიანები;

დააწესეთ კონტროლი მედიის ყველა საშუალებაზე, განსაკუთრებით — ტელევიზიაზე;

სხვაგვარად აზროვნება აქციეთ სამშობლოს ღალატის სინონიმად;

მთელ ძალაუფლებას საკუთარ ხელში მოუყარეთ თავი.

დასავლეთელი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ხელისუფლებას, რომელიც ამ პუნქტებს იცავს, ქვეყანა ფაშიზმისკენ მიჰყავს.“

მარტივია, რა იდეის გარშემოც იკვრება გუნდი, იმ იდეის გამტარებელი ხდება, მით უმეტეს, თუ გუნდს პოლიტიკური ამბიციები აქვს და თუ ხელისუფალების სათავეშიც მოექცა, ქვეყანა იმ იდეის ჭოჭყში მოექცევა. კომუნისტებს, იდეაში, კომუნიზმისკენ მიჰყავდათ ქვეყანა, ფაშისტებს — ფაშიზმისკენ... დემოკრატებს — დემოკრატიისკენ-მეთქი, ვერ ვიტყვი, რადგან მე, ერთი რიგითი ქართველი, გარდა პირადი სიმპათია-ანტიპათიისა, სხვებსაც ვუსმენ, ვაანალიზებ მათ ნათქვამს და საკუთარი აზრი შეუვალად მიყალიბდება. როდესაც ორი მოაზროვნე ქართველიდან ერთმა თქვა და ისტორიას დარჩა: „მე ყოველთვის მეგონა, რომ დემოკრატია ხალხის ძალაუფლებაა, მაგრამ მეგობარმა რუზველტმა ამიხსნა, რომ დემოკრატია ამერიკელი ხალხის ძალაუფლებას ნიშნავს,“ ხოლო მეორემ — „ყველაზე უკანასკნელი რუსი სუკ-ის ჯაშუში მირჩევნია ყველაზე დემოკრატ ამერიკელსო,“ დემოკრატიაზე ჩემეული წარმოდგენა შემექმნა, რასაც ჩემი ცხოვრების განვლილი წლებიც ამყარებს.

„გარდიანში“ გამოქვეყნებული ათი პუნქტიდან რომელს არ აკმაყოფილებდა საქართველოს ხელისუფლება 2012 წლამდე ცხრა წლის განმავლობაში — პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“?

და დაესხათ ტარაკუა ამ 10 პუნქტის უზადოდ შემსრულებლებს...

რა დაემართათ და რატომ. რა არის ტარაკუა?

ტარაკუა, ტარაკუა — შულოს ამოსახვევი ხელსაწყო. ქართულ მეტყველებაში მისი ბრუნვა-ტრიალის ფუნქციის მიხედვით არის დამკვიდრებული სინონიმური ფორმა „თავს ტარაკუა დაესხა“.

კი, იმდენად დაესხათ ტარაკუა, რომ სასაცილონიღა არიან, ოღონდ, რა თქმა უნდა, კვლავ მოფაშისტოებად დარჩნენ. ისეთი ტარაკუა სჭირთ, რომ მათ ტარაკუას მიდევნებულს, მეც ტარაკუა მესხმის და ისე ვწერ. ისე არიან აჭრილები და ერთმანეთზე მისეული, თორიას კასრის ვირთხები დარცხვენილიღა იმზირებიან.

მთლიანობაში ისევ ერთნი და ერთი სულისკვეთებისანი არიან, მაგრამ ტარაკუა ვნებთ, მათი მოქმედება შემდგომი მოქმედების ლოგიკურ გაგრძელებას არ ჰგავს, ხოლო ნათქვამს მიდევნებული მეორე ნათქვამი — ლოგიკურ ჯაჭვს.

ისეთი ტარაკუა დაესხათ, საერთო სახელიც კი ერცხვინებათ და ერთმანეთისგან გამიჯვნა სახელითღა დაიწყეს, ეგებ, ამ ფანდმა ოდნავ მაინც გაჭრასო.

თამარ ჩერგოლიშვილმა მოითხოვა: „ნება იბოძეთ და ბოზებს დაუძახეთ „ნაცები“! ცოტა პასუხისმგებლობით მოიქეცით. ოპოზიციის სახელი გვეკუთვნის პატიოსან ხალხსაც! დაიმახსოვრეთ: ყველა „ნაცია“, ვინც „ნაცების“ სიით გავიდა და არ გამიჯვნია! ყველა „ნაცია“, ვინც „ნაცებს“ ხმა მისცა. ნება იბოძეთ და ამ ხუთ ბოზსაც დაუძახეთ „ნაცი“. უნდა შეწყდეს ეს სამარცხვინო მძევლობა! ოპოზიცია ვარ მე! ის ბოზები არიან „ნაცები“. მორჩით რეპუტაციული ზიანის მიყენებას სხვა პარტიებისთვის!“

ნამდვილად სიმართლე თქვა ბატონმა ირაკლი კობახიძემ, მათი შეცვლა წარმოუდგენელია. ზრდასრული ადამიანი ვერ იცვლება, არათუ „ზრდასრული“ პარტია. ერთნაირები არიან, ერთნაირი პათოსი აქვთ.

„ერთადერთი, რაც შეგვიძლია გავაკეთოთ, არის ის, რომ ვიმოქმედოთ არა ისე, როგორც ამ მარგინალურ პოლიტიკურ პარტიას აწყობს, „ნაციონალურ მოძრაობას“ და მის ყველა განშტოებას ვგულისხმობ: ნაცებს, შმაცებს და შმაცუნებს, არამედ, უნდა ვიმოქმედოთ იმის მიხედვით, რა სჭირდება ქვეყანას,“ — როდესაც განაცხადა ირაკლი კობახიძემ, ოპოზიციონერმა დეპუტატებმა, გათიშული მიკროფონების მიუხედავად, დიდი აჟიოტაჟი ატეხეს რეპლიკების სახით. ნაცვლად იმისა, რომ რომელიმე მათგანი გამოსულიყო და ბატონი კობახიძის ბრალდება გაექარწყლებინა, ქუჩური „სიტყვაკაზმულობაღა“ მოიშველიეს. კონკრეტული ტარაკუადასხმული მთლად დაატარაკუა ირაკლიმ „ბებიაშენს მოგცემო“. ბებიების ჩამორიგების ამბავი უცნობია, მაგრამ, როგორც ჩანს, ყველა მათგანისთვის ჩამოურიგებია „ბებიები“ და ამიტომაც მოეძალათ ზედმეტად ტარაკუა.

„ძალიან უცნაურია, როდესაც „ნაციონალური მოძრაობის“ ამჟამინდელი მენეჯმენტი, ნაცვლად იმისა, რომ მიხეილ სააკაშვილს შველოდეს, ახლა, როცა ძალიან მძიმე, მთელი რიგი შეცდომების შემდეგ მათ აღმოაჩინეს საკუთარი თავი უმწეო მდგომარეობაში, უმძიმეს მდგომარეობაში მყოფ მიხეილ სააკაშვილს მოუწოდებენ, დაგვეხმარეო. ეს, ჩემი აზრით, მორალურადაც გაუმართლებელია, პოლიტიკურ თვალსაზრისს რომ დავანებოთ თავი,“ — გოდებს ნიკანორ მელია და აცხადებს, პარტიაში დავრჩები მანამ, სანამ არის ამ პარტიის გადარჩენის შანსიო.

წავუნართაულებ — ნეტავ, თუ იცის მელიამ, მაიმუნს როგორ იჭერენ?

ხეზე მიმაგრებულ გოგრას ამოჭრიან იმ ზომაზე, რომ წვრილი თათი ჩაეტიოს. გოგრაში ჩაყრიან ბრინჯს ან რაიმე ხილს ჩადებენ. მაიმუნი მივა, ჩაყოფს ხელს და აიღებს სასუსნავს, მაგრამ შეკრული მუჭით გოგრიდან ხელი ვეღარ ამოაქვს. შეუძლია, რომ გაშალოს მუშტი და თავისუფალი იქნება, მაგრამ სიხარბე სძალავს, მოპოვებულის დაკარგვა არ უნდა...

შედარებისთვის ვიტყვი, ოღონდ, მოვერიდები მათი ვინაობის დასახელებას, რადგან ის პიროვნებები არიან, რომლებმაც არ მოინდომეს მაიმუნობა, თანამდებობისა და არაერთი პრივილეგიის დაკარგვა ამჯობინეს „ნაცმოძრაობის“ სახედ ყოფნას და იმ ავკაცობების ჩადენას, რაც „გარდიანის“ 10-პუნქტიანი ჩამონათვალის განხორციელების შედეგად საქართველოში უნდა დატრიალებულიყო და მგლობა ამჯობინეს... მგელი რომ ხაფანგში გაებმება, ფეხს იღრღნის და თავისუფლდება...

არის ისეთი პროფესიები, რომელთაც სიტყვა „ყოფილი“ არ მიესადაგება, რადგან ისინი შინაგანი მოთხოვნილებიდან მომდინარეობს ან იდეიდან, ადამიანი კი ორი ნაწილია — ხილული და უხილავი სხეული. ასევეა პოლიტიკურ მიმდინარეობებშიც, ვთქვათ, უტოპისტი უტოპისტად გარდაიცვლება, ხოლო ფაშისტი — ფაშისტად, ის ვერც გაკეთილშობილდება და ვერც მოწყალების დად იქცევა...

ტარაკუადასხმულებს, რადგან ერთხელ უკვე ნაგემი აქვთ საკუთარი ხალხის ფაშისტური დიქტატურის ქვეშ მოქცევა, დაუოკებელი ლტოლვა აქვთ, კვლავ შეუზღუდავი კეთილდღეობა მოიპოვონ და სადისტური ეგო დაიკმაყოფილონ, ხალხი მეორე პლანზე გადასწიეს და პირდაპირ ბიძინა ივანიშვილს მიადგნენ. რა არ მოიმოქმედეს, საიდან არ მოუარეს, შეკვეთილი სიუჟეტებიდან დაწყებული, საბანკო სექტორში ჩარევით დამთავრებული, მაგრამ, რომ ვერაფერი დააკლეს სანქციებითა თუ „ბორია ოლიგარქის“ ყვირილით, უარესი ტარაკუა დაესხათ — წელიწადზე მეტი, ფაქტობრივად, ფინანსური სანქცია ჰქონდა დაწესებული ბატონ ბიძინას, ასეულობით მლნ დოლარი შვეიცარიის ბანკში გაუყინეს ყოველგვარი ახსნა-განმარტებისა და საფუძვლის გარეშე, მაგრამ ვერ გატეხეს. ახლა მათი ოცნების ახდენა პირდაპირ ბიძინა ივანიშვილის დაპატიმრებაზე გადის.

„ნაცმოს“ მთელ ამ 20-წლიან ფაშისტურ ბაკქანალიაში (9 წელი მყარი, დანარჩენი — შერყეული) მთავარი და საგულისხმო ის არის, რომ ამ მავნებელ გოგო-ბიჭებს დამცველად, წამქეზებლად და მხარში მდგომად გამუდმებით ჰყავდათ და ჰყავთ ცხვრის ქურქში გახვეული საქართველოს დაუძინებელი მეგობრები — ამიტომაც მივყვები ზემოთადნიშნული ორი ქართველის შეგონებას დემოკრატიასა და აშშ-ზე... მე რას მივყვები, რა მნიშვნელობა აქვს, აშშ-საც რომ ტარაკუა დაესხა, ეს არის საგულისხმო. საქართველოში აშშ-ის სახე მისი ელჩია, ელჩი რა ტარაკუადახმულიცაა, მის არაადეკვატურ ფრაზებში, დუმილსა და „არ ვიციში“ იკითხება.

არასერიოზული დავით ზურაბიშვილისგან გავიგეთ, თურმე არ გამორიცხავს, რომ ბიძინა ივანიშვილზე დასავლეთმა დაპატიმრების ორდერი გასცეს. ეს მისი გახმოვანებული ოცნებაა, ფანტაზიიდან გადმოჰყვა თუ შანტაჟის ახალი გამოვლინებაა, ვინ იცის და არც არავინ მიაქცევდა ყურადღებას, თვით ზურაბიშვილი რომ არ მოიაზრებოდეს უცხოეთის გავლენის აგენტად (ისე, რა წყევლაა, ორი ზურაბიშვილი და ორივე უცხო ქვეყნის აგენტი, თავის დროზე სწორედ სწორედ ივანიშვილისგან რომ გაცოცხლდნენ. (პ)რეზიდენტი ნაფტალინიანი სკივრიდან ამოიღო, დაფერთხა და პრეზიდენტად ჩამოგვაკიდებინა, მეორე ზურაბიშვილი კი სიცოცხლით არის დავალებული მისგან).

ძალიან საინტერესო იდიოტობაა მოცემულობად: პუტინს დაპატიმრების ორდერი იმიტომ „გამოუწერეს“, რომ ომი დაიწყო, ხოლო ივანიშვილს იმიტომ „გამოუწერენ“, რომ ომს არ იწყებს!

ხომ ვამბობ, ამათ, ყველას, ტარაკუა დაესხა!

ვინაიდან, აშშ და მისი აგენტურა საქართველოში პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთიანი სახეა, რა თქმა უნდა, ტარაკუა დაესხმებოდათ, რადგან ყურმოჭრილ მონებს რაც დაეკარგათ, ვთქვით, მათ მონათმფლობელს კი მონა-აგენტურის ამაოდ კვება და გადაყრილი მილიონები შერჩა ხელთ.

ამ გაერთიანებულ საკონტინენტთაშორისო პარტიის წევრებს ხომ წარმოდგენა არა აქვთ, რა არის სამშობლო. ერთ მხარეს უსამშობლო ამერიკელები, რომლებმაც სამშობლო აბორიგენ მოსახლეობას სისხლითა და მახვილით წაართვეს და მეორე მხარეს უსამშობლო ნაცები, სააკიანიდან დაწყებული, მეხრიბეკიანებით დამთავრებული — ეს არის მათი უპირველესი გამაერთიანებელი.

გამომდგარა ამხელა ქალი, სალომე სამადაშვილად გამოცხადებული და ჩვენს პოლიციაზე ამბობს: ფეხზე დგანან, მაგრამ გახრწნილი სხეულის მყრალი სუნი ასდითო. მაქსიმალურად ვცდილობ ყოველთვის, რომ წითელ ხაზებს არათუ გადავაბიჯო, არც კი მივუახლოვდე, მაგრამ ამ ქალმა სხვა გზა არ დამიტოვა: თვით მას რისი სუნი ასდის, საქართველოში, იატაკქვეშეთში დამზადებული სუჯუხისა, თუ სომხეთიდან შემოტანილი ბასტურმისა? ვეჭვობ, რომ იატაკქვეშეთში დამზადებულისა...

(გაგრძელება იქნება)

ნინო დაუშვილი

მდარე ნარმოების ტუტუცი თუქსუს გენიტალიევიჩი

„ტაშკენტიდან მოდის ქარავანი, აქლემზეა გადამჯდარი ქალი, მივედი და მომაწოდა პლანი, ახ მამაჯან, ეტყობა, რომ ნარკომანი არი... მივედი და მომაწოდა პლანი, შევაკეთე დობრი ტარიანი, მეც მოვწიე სხვებიც ვაკაიფე, ახ მამაჯან, ასეთია ნარკომანის ვალი...“ (ტექსტიდან ამონარიდი შესაბამისი ჰანგის ღიღინით უნდა წაიკითხოთ!)

ფოტოზე თქვენ ხედავთ მდარე წარმოების ტუტუც თუქსუს გენიტალიევიჩს. ეს არსება, ოდესაღაც „წარბებშეტრუსული გოჭი“ (მეტსახელის ნათლია რეზო ამაშუკელი), გაიზარდა და, რომ ველოდით, ჩვეულებრივი ღორი გახდებოდა, შევცდით. კი, ფულის ღორი ნამდვილად გახდა, მაგრამ სექსუალურად აღტკინებული უსახური კაიფარიკი ღორი, რომელიც ერთნაირად საზიზღარია როგორც ნორმალური ქართველისთვის, ისე — ოსისთვისაც.

საქართველოს ხელისუფლებავ, ჩვენ, ნორმალურმა ქართველმა და ოსმა ხალხმა რა დაგიშავეთ, რომ ეს ყოვლად სამარცხვინო არსება ორი ერის სირცხვილად დაგვასვით თავზე?

დიახ, თქვენი დანაშაულია, რომ ამ ამაზრზენ ადამიანებს გამოხატვის უზნეო და სრულ თავისუფლებას აძლევთ! ნუთუ ვერ ხვდებით, რომ მისი და მისნაირების გამოხდომებზე რეაქციის უქონლობით ჩვენს ღირსებას უმოწყალოდ თელავთ?

ამ კაცის ფორმამიღებულსა და მისნაირებს თქვენ გადაუსვით თავზე ხელი და თქვენ ააყვავეთ, როცა ულტიმატუმის ენის დაგელაპარაკათ და იდეალურად „შეგისრულათ“ კიდეც, სუფთა მოგება დადო თავის წილად, რასაც ახალდროების მამაოების სკოლაც მიაყოლა სამხედრო სამსახურისგან თავის ამრიდებელთა სახით.

მოგმართათ პარლამენტსა და მთავრობას და მოგთხოვათ, რომ ახალ წლამდე შეგეცვალათ ნარკოტიკებთან დაკავშირებით კანონი, რათა მარიხუანასა და მისგან დამზადებული პროდუქტების მოხმარება ქვეყანაში გამხდარიყო სრულად ლეგალიზებული. თუ ხელისუფლება ამას არ გააკეთებს, მაშინ 2016 წლის 31 დეკემბერს 23.59 წუთზე, პირდაპირ ეთერში, საჯაროდ, ნებისმიერ სრულწლოვან მოხალისესთან ერთად დავრგავთ მარიხუანასო; ჩვენ გვესმის, რომ ამითი დავარღვევთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს (მუხლი 265) რომელიც ითვალისწინებს 6-იდან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას. ჩვენ, ცხადია, არ ვართ შეშლილები, გვყავს ოჯახები, გვაქვს ბევრი სხვა მნიშვნელოვანი საქმეც, მაგრამ ჩვენთვის ეს პოლიტიკური აქტი, თავისუფლებისთვის პოლიტიკური ბრძოლის კონკრეტული გზა არისო, — განაცხადა მაშინ ამ უზნეო და საზიზღარმა კაცისებრმა, რომელიც, ამ განცხადების თქმის დროს სულაც არ ჰგავდა დაბოლილს.

ეს კაცისებრი, ამ ულტიმატუმის წამოყენების დროს, მხოლოდ „წარბებშეტრუსული გოჭი“ იყო, თქვენი ყურმიდებით, ისიც კი არ იკითხეთ თუნდაც მესამე პირში: სად ბრძანდებოდა ეს თუქსუსი, როდესაც მისი პარტიული ხელისუფლება ციხეებში აწამებდა სრულიად საქართველოს სწორედ პლანის მოყვანა-მოხმარება-შენახვა-გასაღების მუხლებით ისე, რომ არ ჰქონდა მნიშვნელობა, მართლა იყო პირი აღნიშნული დანაშაულების ჩამდენი თუ არ იყო? აწამებდა, ერთია და საპროცესოების გაფორმებით პარტიულ ყულაბას რომ ივსებდნენ, უდანაშაულო (ან დამნაშავე, მაგრამ ფულგადახდილი) ადამიანები კი სახლ-კარის გარეშე რჩებოდნენ ღია ცის ქვეშ?

სტალინის ხმა მაინც ჩაგერთოთ: „მნე ბოლშე ნრავიტსია პლან როკოსოვსკოგოო“, სტალინზე „აბოდებთ“ და ყველანი ერთმანეთს გადაასწრებდნენ რაკასოვსკის პლანის დასათრევად ცხრა მთას იქით, კოჰაბიტაციის საკანალიზაციო მილში შეყუჟულებთან ერთად...

დრაკონული, იდიოტური და მავნებლური კანონმდებლობაა, ასობით ათას ადამიანს რომ უმწარდება ცხოვრება პლანის მოუწევლობის (მოწევის) გამოოო, — ჩიოდა პატივცემული ჯაფარიძე. ბიჯოოო, არ დააბოლა მთელი ასი ათასობოთ კაცი მთავრობა-ხელისუფლებიანად?

ეს კაცისებრი ყოფილა თუ ყოფილა დიდი გურუ და პიროვნება!

პირთა ჯგუფმა ღიად განაცხადა, რომ განზრახ ჩაიდენდნენ სისხლის სამართლის დანაშაულს და შედეგი რა იყო — საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის აღმასრულებლებს საღათას ძილით ჩამოეძინათ თემიდას ნატიფი სხეულის კონკრეტულ მონაკვეთზე.

„გირჩის“ განცხადების კვალდაკვალ, ტელეკომპანია „თრიალეთის“ პირდაპირ ეთერში მარიხუანას დეკრიმინალიზაციაზე სასაუბროდ მიწვეულმა „რესპუბლიკური პარტიის“ წევრმა ლექსო ვალიურმა ნამდვილად მარიხუანა „ააფეთქა“ თუ სიგარეტი იყო და მარიხუანად გაასაღა, არ აქვს მნიშვნელობა. გადაცემის წამყვანი, კი, გაღიზიანდა და მარიხუანას რეკლამირებისგან თავშეკავებისკენ მოუწოდა (გადაცემაც სასწრაფოდ დაასრულა), მაგრამ ამ ქცევაზე სამართალდამცავების რეაგირების შესახებ არ გვსმენია. არანაირი კანონი არ მოქმედებს მათთვის, ვინც ე.წ. დასავლური ორიენტაციის პოლიტიკური პარტიების სახელს არიან ამოფარებული?

სირცხვილი თქვენ! სირცხვილი, სირცხვილი და სირცხვილი!

ანეკდოტიც კი გჯობთ, გულდამარებული კაცი გაიღიმებს მაინც...

— მამა, მიყიდე რა, „ირმის ყვავილიიი“...

— კარგი, რა, შვილო, რა დროს „ირმის ყვავილია“, როცა ჯერ „საოცრება ბალახის“ გამო მისჯილი წლები არ მომმითავრებია...

ახლა, როდესაც ტელევიზიით გავრცელდა დოკუმენტური მასალა, სადაც ეს კაიფარიკი თუქსუსი ახალგაზრდებთან ე.წ. ტრენინგებს ატარებს სახელმწიფო გადატრიალების მომზადების საფუძვლებში, განმარტება გვაახლა, რევოლუციაზე, ხელისუფლების ცვლილებაზე, უზურპატორის მოშორებაზე და ა.შ. საუბარი ჩვეულებრივი რამ არისო; ასეთ თემებზე სულ ვლაპარაკობთ და ვილაპარაკებთ, რაც გინდათ, ის ბოდვები შეკერონ ბიძინას მონებმაო; „აირაი“ რა შუაშია იმ იარაღთან, რაც კადრებში ჩანდაო; იარაღთან მოპყრობისა და უსაფრთხოების კურსი ხშირად არის ჩვენი ბანაკების პროგრამის ნაწილი და ამ კურსს უძღვებიან იარაღთან ურთიერთობის მრავალწლიანი გამოცდილების მქონე პროფესიონალები უსაფრთხოების ყველა წესის დაცვითო.

ამ კაცისებრს ის აღარ უთქვამს, რომ ამერიკელი ინსტრუქტორები უტარებენ ინსტრუქტაჟს „დაბოლილ“ (პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობით) მოზარდებს;

ეს ის ტუტუცი თუქსუსი არ არის, რომელიც ახალგაზრდების ჯარში გაწვევის სასტიკი წინააღმდეგია?

ეს ხომ ის ტუტუცი თუქსუსია, შარვალჩახდილი, უკანალის მიშვერით რომ აღიზიანებს რუს მესაზღვრე ჯარისკაცებს თავისნაირივე თუქსუსების არმიით და ამ აქტის შესრულების დროს მათი სიხარულის ჭყლოპინი კილომეტრების აქეთ და იქით ისმის? ეს მართლა ორი ერის შემარცხვენელი ტუტუცი თუქსუსი!

როცა საკუთარი უკანალით ომობენ, მაშ, ახალგაზრდებს რისთვის ასწავლის იარაღთან ურთიერთობას საიდუმლოდ, „ვაგნერის“ ტიპის დაჯგუფებას ქმნის საკუთარი ხალხის წინააღმდეგ და ხელისუფლების დასამხობად?

ახალი ლოზუნგი აქვს: „ჩახდა მტერთან და ტყვია საკუთარ ხალხს?“

ტალახის სროლა დაიწყო „რუსულმა ოცნებამ“, რაც ზუსტად ჯდება რუსული ხელისუფლების ანტიდასავლური პროპაგანდის ნარატივში, ვითომ დასავლეთი სისხლიან რევოლუციას აფინანსებს საქართველოშიო და განმარტებას ამთავრებს ასე: „&ლე უნდა იყო ეს რომ ჭამო!“

აკი ვთქვი, სექსუალურად აღტკინებულია-მეთქი!

რატომ უნდა დალაგდეს ადამიანის გონებაში სიტყვების ამგვარი წყობა-მეთქი და უცბადვე გამახსენდა: ეს ის საჯდომმიშვერის მოყვარე თუქსუსი არ არის, სახალხოდ რომ განაცხადა, „ვისი რა საქმეა! ვისაც მინდა, პირით იმას დავეკონები და სადაც მინდაო“?

მისი სიტყვებიდან ირკვევა მისივე „მსოფლმხედველობა“, რომლის მიხედვითაც მამაკაცის სასქესო ორგანოზე „დაკონება“ დიად და საშურ საქმედ მიაჩნია, მაგრამ იმავე ორგანოს ჭამა ყოვლად მიუღებელია — რა უნდა ელაპარაკო ამ ყოვლისმჭამელ გოთვერან ფულის ღორს?

ამბავი შემოაგდეს გახარიათვალთხარიას სტილში, — არ უყვარს ლიბერასტობა, ეს ტუტუცი თუქსუსი „ოცნებამ“ შემოაგდო, ამიტომ აძლევს გამოძიებას მტკიცებულებით მასალებს, რა მაგრად ნიღბავენო; დაღუპავს ამდენ ხალხს და ჰგონია, რეიტინგი აეწევაო?

„ჰაკიმ-ფაშას ტიტუშკები“ რომ ჰქონდათ აკვიატებული და ექსპერიმენტებს ატარებდნენ, მას შემდეგ ექსპერიმენტების ჩატარებაში არიან.

დამფრთხალი ორი გველი ქალი ნართაულ ფოტოზე და მათი რაზმი კი ის საბრალო ქალები არიან, პირადი ნანადირევი კაცუნების „მამაკაცური ღირსების“ უკურნებელ ავადმყოფურ მდგომარეობაში ყოფნის გამო, სხვა რომ აღარაფერი ენატრებათ და ყველგან მას დაეძებენ, სიტყვებშიც კი, და ამით აკმაყოფილებენ უსაქმოდ დარჩენილ, ამაოდ სათრევ, კაცის გენიტალიებს დანატრებულ ქალის ორგანოებს.

ადამიანს, შეიძლება, შუბლის ძარღვი გაუწყდეს, მაგრამ სულ მცირედი ნაკვალევი ხომ მაინც უნდა დარჩეს?...

მოგწონს თუ არ მოგწონს ბიძინა ივანიშვილი, ირაკლი ღარიბაშვილი და ზოგადად, „ოცნება“, ამაზე არ არის საუბარი, რა განუკითხაობაშიც ვართ საქართველოს მოქალაქეების უდიდესი უმრავლესობა, ისაა სათქმელი!

ყველა მისებრ ნაძირალამ იცის, რომ არაფერი დაემართებათ ისეთი, რაც წინამორბედი ხელისუფლების დროს დაემართებოდათ;

ყველამ, ვინც მათსავით ნაძირალა არ არის, ვიცით, რომ ამ ნაძირალებს ერთი რომ დავუყვიროთ და მათ შიშისგან საცვალი დაუსველდეთ, „5 ივლისის ბიჭების“ თანამოსაკნეებად გვაქცევენ სამ დღეში...

ამ ადამიანის გენიტალიების ძონძებს ნახევარ საათში გადავაქცევდით თეთრი მატლების საკვებად, მაგრამ ამათაც ეს უნდათ და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ნორმალური ადამიანები მუდმივი თმენის რეჟიმში იძულებით ვართ...

P.S. თქვენ კი, ჰეი, „ოცნებავ“!

ტუტუცმა თუქსუსმა ჯერ პლანი დაგითესათ, შემდეგ გასაბერი ეკლესია დაგიდგათ და რეესტრში გაატარეთ დეზერტირობა. შემდეგ, შეიარაღებაზე გადავიდა. ახლა კი, ამ ორი ადამიანის ამგვარი ხსენებით &ედ გაცხადებთ ყველას და როგორა ხართ, მოგიკითხეთ, ცოცხლები ხართ თუ გარდაიცვალეთ სისხლის სამართლის კოდექსთან ერთად და დაგადოთ კუდიანების დედოფალმა კელი დეგნანმა უსახელო დიდი შავი ქვა?

ზურაბ ოშხერელი

რატომ ეგონა 80 წლის სესილია ექიმს ორსულად და რა ჩაატანა საფლავში აკაკი შანიძემ ექვთიმე თაყაიშვილს

მიმიკა, გარეგნობა, ხალასი გურული იუმორი და მანერები ერთი შეხედვითაც მიგანიშნებთ, რომ მეოცე საუკუნის ბებიად წოდებული გენიალური ქართველი მსახიობის, სესილია თაყაიშვილის ახლო ნათესავია. შვილიშვილი არა, მაგრამ ძმისშვილი, ილიკო თაყაიშვილი ნამდვილად „დონტური“ გამოვიდა და ბოლო წუთამდე გვერდიდან არ მოშორებია მამიდას, რომელსაც ასე ძალიან ჰგავდა.

წმინდა ექვთიმე ღვთისკაცის შთამომავალი, ანსამბლ „სუხიშვილების“ პირველი თაობის მოცეკვავე ილიკო თაყაიშვილი 2015 წლის 7 სექტემბერს, 89 წლის ასაკში გარდაიცვალა. ინტერვიუ, რომელსაც გთავაზობთ, მის გარდაცვალებამდე ორი წლით ადრეა ჩაწერილი, როდესაც 87 წლის ექიმი, თბილისის ეგნატე ფიფიას სახელობის საავადმყოფოს ჯერ კიდევ მოქმედი ქირურგი იყო.

რა ჩაატანა საფლავში აკაკი შანიძემ ექვთიმე თაყაიშვილს, რატომ შეასხა ცხელი კერძი სესელიამ სახეში „ჩეკას„ აგენტებს, როგორი ურთიერთობა ჰქონდა ვასო გოძიაშვილთან დაშორების შემდეგ და რატომ ეგონა 80 წლის სესილია ექიმს ორსულად? — აღნიშნულ და სხვა საინტერესო თემებზე, „ცოლის მოყვანის დილიხორშიკი“, მარტოხელა ექიმი ილიკო თაყაიშვილი ჩვეული გურული იუმორით საუბრობს (საუბრის სტილი დაცულია).

- სესილია არამხოლოდ გენიალური მსახიობი, უდიდესი პიროვნება და ადამიანი იყო. კეთილი, გულისხმიერი, სამართლიანი, მოსიყვარულე და დიდი იუმორის გრძნობით გამორჩეული, ყველას უყვარდა.

სესილიას მამა და მამაჩემი ძმები იყვნენ. მე კი ისე ძალიან ვგავდი მის ძმას, აკაკის, რომ ერთმანეთისგან ვერ გაგვარჩევდით. ვგავარ

მამიდა სესილიასაც. ვინც ერთად გვხედავდა, ყველას მისი შვილი ვეგონე. დათუნა ისე არ ჰგავდა დედას, როგორც მე — მამიდაჩემს.

სული ჩემს ხელში დალია, მე და მისი სცენური შვილიშვილი, ზურიკელა, ექიმი-კარდიოლოგი სერგო ორჯონიკიძე ვადექით თავზე. დიაბეტი ჰქონდა და ბოლოს ისე დამძიმდა, სისტემაზე იყო შეერთებული. სერგოს მისი თავი ეჭირა, მე კი გულში მყავდა ჩახუტებული... მაისის თვეში გარდაიცვალა, 1984 წელს.

- შვილიშვილი თუ არა, ძმისშვილი მაინც ხომ ჰყავდა ექიმი. რჩევებს ხშირად გეკითხებოდათ?

- რომ დაახველებდა ან დაამცხიკებდა, მაშინვე მირეკავდა — ილიკო, მოეთრიე აქანა, რაცხა გლახათ ვარო. საერთოდ, ძალიან ენდობდა ექიმებს, ფრჩხილიც რომ ასტკიებოდა, ექიმთან გარბოდა, ზრუნავდა თავის ჯანმრთელობაზე და ნებისმიერ თეთრხალათიანს, სტუდენტი ან სანიტარიც რომ ყოფილიყო, ეკითხებოდა, რა მჭირს თუ იცი, ხო არ ვკვდებიო?!

ერთხელ დამირეკა და მითხრა, უნდა დავწვე ახლა მე თქვენთან საავადმყოფოში, ვერ ვარ კარგადო. კი, მამიდულა, შენი ჭირიმე, დაწექი და მოგხედავთ-მეთქი, ვუთხარი.

დატრიალდნენ ექიმები, საუკეთესო ოროთახიან პალატაში მოვათავსეთ და ჩავუტარეთ ყველანაირი გამოკვლევა. გინეკოლოგი გვყავდა ერთი, ვალიკო, უზომოდ კეთილშობილი და გულუბრყვილო ადამიანი. ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ სიტყვა „უსინდისო“ არ უკადრებია არავისთვის, უაღრესად პატიოსანი, სუფთა და მიმნდობი იყო. ჰოდა, ვალიკოს ვუთხარი, წამოდი ერთი, ნუ დამზარდები, გასინჯე მამიდაჩემი-მეთქი (80 წლამდე იყო უკვე მამიდა). რა სჭირსო, მკითხა. რა ვიცი, მგონი საშვილოსნოს გარე ორსულობა უნდა იყოს-მეთქი. ერთი კი შემომხედა გაკვირვებით, მაგრამ არაფერი უკითხავს, მაშინვე ჩაალაგა იარაღები და გამომყვა.

საწოლზე იყო წამოგორებული მამიდა და თავისი განუყრელი „პრიმა“ ქონდა პირში გაჩხერილი.

მამიდულა, ეს კაი ექიმია და გაგსინჯავს-მეთქი, ვუთხარი. გახსნა ვალიკომ „ჩამადანჩიკი“, წამოიცვა ხელთათმანები და მიუახლოვდა სესილიას.

მამიდა წევს და გაკვირვებული უყურებს. კი მარა, შენ რაის ექიმი ხარო? — ჰკითხა, როცა ხელთათმანიანი ხელებით მიუახლოვდა ექიმი და კაბის აწევა სთხოვა. გინეკოლოგი ვარო, უპასუხა ვალიკომ. მერე მე მაქანა აფერი არ მჭირს, გული მაწუხებს პაწა. რავა, ორსულად გგონივარ ამ ხნის ქალიო? — გადაირია მამიდა. ჩემი ძმისშვილი რომ აბდალაა ქე ვიცი, მარა შენ რამ გამოგაშტერა, ამხელა კაციო?.. მე კი ვალიკოს ძლივს გამოვასწარი პალატიდან (იცინის)...

- გარეგნობის გარდა, იუმორიც მისეული გქონიათ, კიდევ რა თვისებებით ჰგავხართ მამიდას? რას გაიხსენებდით მის შესახებ?

- მამიდაჩემივით „მყრალი“ არ ვარ (იცინის). ისე, მეც მასავით „პრიმას“ ვეწეოდი.

სესილია და პაპიროსი განუყრელი იყვნენ, თავს ვერაფრით ანებებდა. ერთხელ, მის სახლთან გავიარე, ვხედავ, დგას „ბალკონზე“, დაყრდნობია მოაჯირს, შემოუწყვია სახეზე ხელები და მიყურებს: მოი ბიჭო, აგერ! რო ეწევი მაგ პაპიროსს, მომეცი ერთი ცალიო, მითხრა. კოლოფი მივაწოდე. ამოიღო ერთი ღერი და გამომიწოდა. აგი ერთი ღერი გეყოფა შენ, გარეთ ხარ და კიდო იყიდი, ეს კი მე მქონდესო და კოლოფი თვითონ დაიტოვა.

მამიდა ბარნოვზე, მსახიობთა სახლში ცხოვრობდა და მარჯანიშვილის თეატრში ტროლეიბუსით დადიოდა. ტროლეიბუსი კი თეატრთან ახლოს არ ჩერდებოდა. ერთხელაც, ძალიან რომ დაზარებია ფეხით გავლა, ასეთი ხერხი მოუფიქრებია: თეატრს რომ მიუახლოვდნენ, ატეხა თურმე ყვირილი: გააჩერეთ, გააჩერეთ, გლახათ ვარ, დიაბეტი მაქ, კანფეტი არ გაქვთო? — გააჩერეს თურმე ტროლეიბუსი სასწრაფოდ. სესილიამ კი კარისკენ გადაინაცვლა, ჩაიყო ჯიბეში ხელი და თქვა, — უჰ, აგერ არ მქონია კანფეტი?! ქე ჩავალ ბარემ ახლა, ახლოს ვარ მაინცო, ჩაცუნცულდა და შევიდა თეატრში.

სახის მოვლა უყვარდა ძალიან, საზღვარგარეთ როცა მივდიოდი, მაბარებდა, ერთი „რეიხნერის“ გრიმი ჩამომიტანე, მეტი არაფერი მინდაო.

„რეიხნერის“ გრიმი უშველის მაგ მოღრეჯილ სახეს-მეთქი? — ვეხუმრებოდი ხოლმე. მოღრეჯილი რომაა, იმიზა მინდა, რომ გაასწოროს პატარაო, მპასუხობდა.

- ბატონო ილიკო, ვასო გოძიაშვილთან დაშორების შემდეგ სესილია აღარ გათხოვილა. ამბობენ, ბოლომდე ამ სიყვარულის ერთგული დარჩაო. რას გვეტყვით მათი ურთიერთობის შესახებ?

- ვინ ითხოვდა მაგას (იცინის)! სიყვარულის რა მოგახსენოთ, პატივს კი სცემდნენ ერთმანეთს. ბოლომდე ერთად იდგნენ სცენაზე და კარგი ურთიერთობა ჰქონდათ, მაგრამ ვასო ძალიან მძიმე ხასიათის კაცი იყო.

მასთან დაშორების შემდეგ სესილია ერთადერთ შვილზე, დათუნაზე გადაერთო მთლიანად. მეტი საფიქრალი და საზრუნავი აღარ ჰქონია. ის კი არა, კაცისკენ აღარც გაუხედავს. შვილს მარტო ზრდიდა. ვასო ამაყობდა, რომ ასეთი შვილი ჰყავდა, მაგრამ მის აღზრდაში არ მონაწილეობდა. დათუნაც ძალიან მორიდებული იყო მამასთან.

მე და დათუნა ერთი ასაკის ვიყავით, ერთად ვიზრდებოდით და ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი. ჩვენ, თაყაიშვილებს, განსაკუთრებული ურთიერთობები და სიყვარული გვაკავშირებს ერთმანეთთან, ოჯახის წევრებივით ვართ ყველანი. რომელი კუთხის თაყაიშვილიც უნდა იყოს, მაინც ჩვენია. ოზურგეთის რაიონიდან ვართ, ლიხაურიდან, ბაგრატიონთა შტო ვართ.

- ეს როგორ?

- ჩვენი სახლის გვერდზე ოზურგეთში ცხოვრობდა სკოლის დირექტორი, გვარად ბაგრატიონი. მისი ნიგვზის ხე ღობესთან ახლოს იდგა და შტო ჩვენს ეზოში გადმოდიოდა. ამიტომ ბაბუაჩემი ხშირად ხუმრობდა, ბაგრატიონთა შტო ვართო (იცინის).

- თაყაიშვილების გვარის კიდევ ერთ უდიდეს წარმომადგენელზე მინდა გკითხოთ, ექვთიმე თაყაიშვილზე, რომელიც 2002 წელს საქართველოს მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ წმინდანად შერაცხა და წმიდა ექვიმე ღვთისკაცი უწოდა. იცნობდით მას?

- ექვთიმეს მამა და მამაჩემის მამა ძმების შვილები იყვნენ. ექვთიმე ობლობაში გაიზარდა და არც შვილი დარჩენია. სამი თუ ოთხი წლისა იყო, დედა რომ გარდაეცვალა. ჩემი წინაპრები ხშირად იხსენებდნენ, რომ დედის დაკრძალვის დღეს სადღაც დაკარგულა ეს პატარა ბავშვი, სად აღარ ეძებეს თურმე და ვერსად იპოვეს. უცებ, თვალი მოჰკრეს, რომ სუდარა შეირხა, გადახადეს მიცვალებულს და ნახეს დედას ჩახუტებული პატარა ექვთიმე...

პირადად არ ვიცნობდი. ვინ მომცა მაგის საშუალება?! წლების შემდეგ, როცა ექვთიმე საფრანგეთიდან დაბრუნდა, მასთან მიახლოებასაც გვიკრძალავდნენ ნათესავებს „ჩეკას“ აგენტები. უნივერსიტეტში ლექციების წასაკითხად რომ მიდიოდა, თავად მიაცილებდნენ და მოაცილებდნენ. ვაშლოვანის ქუჩაზე ერთ პატარა ეზოში ცხოვრობდა, ტუალეტშიც ვერ შევიდოდა ისე, ისინი რომ არ გაჰყოლოდნენ.

ერთხელ სესილიამ მიაკითხა სახლში და ქვაბით ცხელი სადილი მიუტანა. ეზოში არ შეუშვეს, ვინა ხარ და ვისთან მიდიხარო, ჰკითხეს. ვინა ვარ, ვერ მცნობთ? — ბიძაჩემთან მივდივარო, უპასუხა მამიდამ. გცნობთ თუ არა, დავალება გვაქვს ასეთი, ვერაფრით შეგიშვებთო.

დიდხანს ითხოვდა მამიდა თურმე ექვთიმესთან შესვლას, მაგრამ ვერაფერი გააწყო და სესილია აბა, რის სესილია იყო, — მოხადა ქვაბს თავი და ეს ცხელი კერძი მცველებს სახეში შეასხა, — აჰა, მაშინ თქვენ ჭამეთ, გასკდა თქვენი მუცლებიო!..

ექვთიმე თაყაიშვილის ცხედარს 52 „ჩეკისტი“ მიაცილებდა სასაფლაომდე, ოჯახის წევრები და ახლობლები ახლოს არ გაგვაკარეს. მძღოლს, რომელსაც მიცვალებულის ნეშტი მიქონდა, აკაკი შანიძე დაელაპარაკა და სთხოვა, უნივერსიტეტთან რომ ჩავივლით, გააჩერე, ვითომ მანქანა გაგიფუჭდა და მიცვალებულთან გამომშვიდობების საშუალება მოგვეციო.

მძღოლმა მართლაც გააჩერა უნივერსიტეტთან, ახადა მანქანას „კაპოტი“, ვითომ გაუფუჭდა და რაღაცის კეთება დაიწყო. მაშინვე მიცვალებულთან მივცვივდით ყველანი. აკაკიმ ერთი-ორი გამოსამშვიდობებელი სიტყვა თქვა მის ცხედართან და მერე თავისივე ნაშრომი ჩუმად ჩაუდო სადგომში მიცვალებულს.

- გულსატკენი და წარმოუდგენელია, რომ ერისთვის ფასდაუდებელი ღვაწლის გამწევ ადამიანს კრიმინალივით ეპყრობოდნენ...

- სანამ ექვთიმე თაყაიშვილი საფრანგეთში მოღვაწეობდა, ჩვენ, მისი ოჯახის წევრებს, გარკვეული შეზღუდვები გვქონდა, თუ ქვეყნიდან გასვლას მოვინდომებდით.

22 წლის ვიყავი, როცა საფრანგეთში წასვლა მოვინდომე, მაგრამ ხელისუფლებამ უარი მითხრა ჩვენი ნათესაური კავშირის გამო, თითქოსდა, ტანკი უნდა გამოეტანებია ექვთიმეს საქართველოში ასაფეთქებლად.

ნონა ქარქაშაძე
ინტერვიუ ჩაწერილია
2013 წელს

ᲬᲜᲔᲕᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲜᲐᲞᲘᲠᲝᲖᲔ

სამსახურიდან გამოვდივარ დაღლილი და წნევიანი. წინა დღეს ისეთი მაღალი წნევა მქონდა, ჩვენი უგამოცდილესი ექიმი დავითიც კი შევაშინე და კარგა ხანს ვეგდე მოსაცდელ ოთახში „ტაფჩანზე“ გაშხლართული. ახლა კი, მომერიდა და წნევა ვეღარ გავაზომინე, თორემ ვატყობ, გვარიანად მაყანყალებს. ჰოდა, ასე ყანყალ-ყანყალით, დამღლელი დღისა და კვირის ბოლოს, გადავბანცალდი გადასასვლელზე, სანაპიროზე, სადაც ერთადერთმა მიკროავტობუსმა უნდა გამოიაროს, ჩემს სახლთან ახლოს მისვლის პერსპექტივით. ისიც, ჩვენმა მზრუნველმა მერმა, ორიოდე კვირის წინ დაგვინიშნა, მაგას ვენაცვალე მე, თორემ ამ ტერიტორიაზე „მარშრუტკას“ არ გოუჭაჭანებია აქამდე! ჰოდა, ქე ვდგავარ ეს წნევიანი და მხედველობაშელანძღული მარტოდმარტო და ბარე 10 წუთზე მეტია, ველოდები 458-ს... მტკვრის სანაპიროდან წამოსული ცივი სიო გვერდებში ატანს, პერიოდულად თვალს ვჭუტავ და ვაკვირდები, რომ მომავალი მანქანა არ გამომრჩეს და კიდევ ნახევარი საათი ლოდინი არ მომიწოს.

ამ დროს, გზის მოპირდაპირე მხრიდან მესმის მანქანის გაბმული სიგნალი. დაასიგნალებს - გაჩერდება, ისევ დაასიგნალებს - გაჩერდება... მივიხედ-მოვიხედე - ჩემს ირგვლივ არავინ არის! აშკარად მე მიქნევს ხელს და გადმოდი აქეთ მხარესო, მეძახის ვიღაც! - უი



დედა! ნეტა ვინაა ეს კაცი, ვერ ვხედავ კარგად! უიი, ჩვენი ზურიკოა ეს, მგონი, ჩვენი ზურა ექიმი, ამას წინათ დიდუბის მეტრომდე რომ გამიყოლა, ალბათ, ამიტომ მეძახის ახლა, მაგან ხომ არ იცის, რომ ჩვენ მერმა ტრანსპორტი დაგვინიშნა... აქედან ვერ გავაგებინებ ახლა მაგას, გადასვლაც არ მიღირს მეორე მხარეს, რომ იმ ერთადერთმა არ გამასწროს, ჰოდა რა ჯანდაბა ვქენა!.. ვცდილობ, ხელით ვანიშნო და ვუთხრა, რომ არა, ზურიკო ექიმო, არა, მე უკვე მყავს ტრანსპორტი, რომელიც სახლამდე მიმიყვაანს, არ შეწუხდეე!... სახეზე მადლიერების ღიმილს ვისახავ, ხელებს ვიქნევ, და ხმამაღლა ვეძახი, რომ წავიდეს, მაგრამ ჩემს ხმას ქუჩის ხმაური ახშობს და ვერაფერს ვახვედრებ ამ კეთილ ადამიანს... „ექიმი“ არ ნებდება, ენერგიულად იქნევს ხელებს და რაღაცას მანიშნებს... პირველად მიჩნდება სინანულის გრძნობა იმის გამო, რომ დღემდე ჟიგულს ფერარისგან ვერ ვასხვავებ და მანქანის ფერსაც კი ვერ ვიმახსოვრებ, თორემ ხომ მივხვდებოდი, ეს მანქანა ზურიკო ექიმის არის თუ არა!..

ბოლო-ბოლო, „ზურიკომაც“ არ დაიზარა, ჩახსნა შუშა და ფანჯრიდან, თავთან ერთად, მობილური ტელეფონიც გადმოყო, მანიშნებს, დამირეკეო და თითების პარჭვვით, სავარაუდოდ, თავის ნომერს მკარნახობს... ვაკვირდები და... თუ ჩემი ბეცი თვალები არ მატყუებს, ეს ვიღაც კაცი ზურა ექიმი სულაც არ არის და არც ერთ ჩემს ნაცნობს არ გავს!

- რა გინდა კაცო, შენ, ვიღაცა ხარ! ერთი გადმოსვლა არ მეზარებოდეს ახლა (შემეძლოს მაინც), ჩამოგაფშვნიდი მაგ შუშას თავზე. რას მიპარჭყავ ხელებს, შე შეჩვენებულო, და მანერვიულებ ამ წნევიან ქალს, ეს 458 სადღა ჯანდაბაშია კიდე ამდენ ხანს, გამეყინა გვერდები და დამაწყდა ნერვები!..

ამასობაში ჩემი „ნანატრიც“ გამოჩნდა. რის ვაი-ვაგლახით გავხსენი ლოდივით მძიმე და მოუხერხებელი კარი და ჩავეშვი სავარძელში... ფანჯრიდან უცნობ „მოჩალიჩეს“ გავხედე და დავინახე, როგორ ჩაიქნია ხელი, აწია შუშა და მანქანა ზანტად დაძრა საპირისპირო მიმართულებით...

ჰოდა, სანაპიროზე მარტო მდგომ ქალს თუ დაინახავთ ამიერიდან, იცოდეთ, რომ მერმა ახალი ტრანსპორტი დაგვინიშნაა... სწორედ იმ ტრანსპორტს ელოდება ის ქალი და კალთებს ნუ დააგლეჯთ, მაინცდამაინც! ისე, მეტ პროგრესს და ცივილიზაციას რომ აუღოთ ალღო, არ იქნებოდა ურიგო... წნევასაც არ შეგარგებენ ადამიანს!

ᲓᲣᲛᲘᲚᲘᲡ 15 ᲬᲣᲗᲘ

ორსაათიანი სტომატოლოგიური მანიპულაციის შემდეგ - პირში ბამბით, სახეზე ნიღბით, ფეხზე ბახილებით და გულის კუნჭულში - ოდესმე თვალისმომჭრელად გაღიმების იმედით, როგორც იქნა, ვტოვებ კლინიკას და უახლოესი გაჩერებისკენ მივდივარ... გზად შვილებს ვემესიჯები, რომლებმაც აქამდე 17-ჯერ მომიკითხეს: „დედა, რას შვრები? გული ხომ არ წაგივიდა? რატომ არ მპასუხობ, დეე? ხომ არ წამოვიდეთ?..“

„კარგად ვარ, სახლში მოვდივარ, მაგრამ არ დამირეკოთ, პირი ბამბით მაქვს სავსე და ვერ დაგელაპარაკებით...“

ვდგები გაჩერებაზე და ახლაღა ვამჩნევ, რომ ჯერ კიდევ ბახილები მაცვია. უხერხული მოძრაობით ვიძრობ პოლიეთილენის ფაჩუჩებს და ახლომდებარე ურნას ვეძებ... ურნას ვერ ვპოულობ, მაგრამ ჯანდაბას, აქვე სამი „ბუნკერი“ დგას გვერდიგვერდ და ერთ-ერთში ვაგდებ...

ერთადერთი ტრანსპორტი, რომელიც სახლამდე მიმიყვანს, წესით, 5 წუთში უნდა მოვიდეს, მაგრამ ეს ციფრი ტაბლოზე კარგა ხანს არ იცვლება. 15 წუთის შემდეგ, როგორც იქნა, ავდივარ სანატრელ 550-ში, ვდგები... ორივე ფეხზე და ცალი მხარით ფუმფულა სავარძელს ვეყრდნობი... გვერდით, სანდომიანი სახით ასაკოვანი ქალი მიდგას, ვატყობ, რაღაცის კითხვა უნდა, მაგრამ თვალს ვარიდებ... (რაღა მე უნდა მკითხოს, დალოცვილმა, გადაჭედილია მიკროავტობუსი ხალხით):

- ეს „მარშრუტკა“ იუსტიციასთან ხომ გაივლის? - მაინც მე ამირჩია ქალმა.

- მმმ... უ! - ვპასუხობ და, მეტი დამაჯერებლობის ნიშნად, თავსაც ვუქნევ... მიხარია, რომ „იოლად გამოვძვერი“, მაგრამ არა! ქალი გაჩუმებას არ აპირებს.

- აქედან რამდენ გაჩერებაშია იუსტიციის სახლი?

- აა ... ნნ! - არ ვიცი-მეთქი, მინდა ვუთხრა და ისეთი მოძრაობით ვიჩეჩავ მხარს, რომ გვერდით მდგომ მამაკაცს პირდაპირ ნიკაპში ვურტყამ...

- ხომ მეტყვით, როცა იუსტიციის სახლთან მივალთ? - არ ცხრება ქალი.

- უუ... უ! - შევყურებ მუდარით!

- კიდევ დიდხანს უნდა ვიაროთ იქამდე?

- ნნნ... -წწ!

„გაანებეთ ქალბატონო თავი, გაანებეეთ!.. - ხანგრძლივი დაკვირვების შემდეგ „გამომესარჩლა“ ჩვენ წინ მჯდომი მგზავრი, რომლის სავარძელსაც ვეყრდნობი, - მე გეტყვით, როცა უნდა ჩახვიდეთ.“

- მეტყვით? თქვენ გაიხარეთ! მეშინია, არ გამომეპაროს და...

აჰა, იუსტიციის სახლიც გამოჩნდა, ის-ისაა, მინდა მხარი გავკრა ქალბატონს და მივახვედრო, რომ ჩავიდეს, ისევ თვითონ მეკითხება:

- ესაა ხომ, იუსტიციის სახლი?

- უუუ... უ!

ქალი როგორც იქნა, ჩავიდა და შვებით ამოვისუნთქე, მაგრამ თუ როგორმე წინ არ გადავედი ახლა, მძღოლს ვერ გავაგებინებ, რომ ჩემს გაჩერებაზე გააჩეროს... კართან, პირველივე სავარძელში, 20 წლამდე გოგო ზის, „ემოს“ გარეგნობით: მუქი ფერის პომადა, შავი თმა, სათვალე და საყურე, ასეთივე ფერის მაისური, შავი „ელასტიკი“ და ბათინკი ამშვენებს... გადაჭედილ „მარშრუტკაში“ ფეხი-ფეხზე გადაუდევს და იმხელაზე გაუშვერია, რომ ორი ქალი ჩამომჯდარა ზედ, თავისუფლად. ვატყობ, ეს გოგოც ემზადება ჩასასვლელად, მიხარია...

და აი, „გაჩერებაზე გააჩერეთ“ - ამოიკნავლა „ემომ“, მაგრამ ეს ისეთი სინაზით წარმოთქვა, რომ მის ფეხზე ჩამომსხდარმა ქალებმაც ვერ გაიგონეს. თან დაინახა, მეც გადავდივარ და იფიქრა, რომ ბარემ მის სათქმელსაც ეს დეიდა გაახმოვანებდა რიხიანად!..

დეედაა, რაღა ვქენა ახლა, არც ამჯერად გამიმართლა... გასცდა გაჩერებას „მარშრუტკა„. „ემომ„ ჩამოყარა ქალები ფეხიდან და კართან დადგა, მაგრამ ხმას არ იღებს... როგორც იქნა, გადავძვერი, მივუახლოვდი მძღოლს, მხარზე დავეჯაჯგურე, საყვედურით სავსე მზერა ვსტყორცნე, თავს ძალა დავატანე და პირბადის ქვემოდან ამოვიღნავლე:

- ააჩ... რრრ!

- მერე ხმა არ უნდა ამოიღო, შე ქალო? ხომ არ დამესიზმრებოდა!..

„ემოც“ ჩემთან ერთად ჩამოკუსკუსდა...

ასეთი იყო ჩემი „დუმილის 15 წუთი“ სტომატოლოგიური კლინიკიდან სახლამდე.

ᲝᲚᲦᲐ ᲪᲥᲘᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲣᲨᲜᲝᲓ ᲐᲦᲤᲠᲗᲝᲕᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ

წლების წინ, როცა ინტერნეტი ჯერ კიდევ ახალი ხილი იყო და ფეისბუქზეც სულ რაღაც 30-მდე „ფრენდი„ გვყავდა, მხოლოდ ისეთები, რომლებსაც რეალურად ვიცნობდით, ერთი ძველი ნაცნობი პოეტი და ჟურნალისტი ბიჭის პროფილი ვნახე და გახარებულმა „დავიმატე“:

- შენი ლექსი ვნახე ინტერნეტში, ბრაავო, მაგარი იყო, დიდად ვისიამოვნე! - ვწერ ეგრევე, რადგან წინა დღეებში შემხვდა სადღაც მისი ლექსი, წავიკითხე, აღვფრთოვანდი და მინდა, ჩემი განწყობა ავტორს გავუზიარო... ისე კი, დიდად არ ვმეგობრობ ამ ბიჭთან, კარგადაც არ ვიცნობ. ვიცნობ მხოლოდ კეთილი მოკითხვითა და მისალმებით, როგორც კოლეგა-ჟურნალისტს...

პასუხს მწერს მყისიერად, იმავე წამს:

- რაააა, არ გამაგიჟო, სად ნახე?!

... ცოტა კი მიკვირს, მაგრამ სახეზე სასიამოვნო ღიმილს ვინარჩუნებ და მეტი კონკრეტულობისთვის საიტის სახელწოდებას ვუთითებ...

- შეუძლებელია, შენ მაგას ვერ ნახავდი, შანსი არაა!..

- კი მაგრამ... რა გაგიკვირდა, შენი ნებართვის გარეშე ატვირთა ვინმემ?! - ცოტა დავიბენი და სახეზე ღიმილიც შემაცივდა.

- მაგის ნებართვას როგორ მივცემდი, ნუ გადამრიე, ვინ დადო, სად დევს, მაჩვენე!..

- რომელი ერთი გაჩვენო, ყველა ლიტერატურულ საიტზე დევს, თან ერთი კი არა, რამდენიმე. რას წარმოვიდგენდი თუ არ იცოდი... და რამე დაშავდა ამით?!

- რას ქვია, დაშავდა! უარესი რა უნდა მომხდარიყო, შენ ნორმალურად მიგაჩნია ეგ ამბავი?! - სულ ამოვარდა ტანსაცმლიდან ჩვენი პოეტი....

ერიჰა�ა, გაჩერდი რა, გაჩუმდი, როცა წესიერად არც კი იცნობ ადამიანს, მომინდომა გოგომ განცდების გაზიარება!.. არაა, ასეთი არაადეკვატური ნამდვილად არ მეგონა ეს ბიჭი. ნეტა, ხომ კარგად არის, ხომ არ „გარეკა„!... ვაი, ვაი, ვაი, - აბა რა რეაქციაა ეს ვითომ?! არადა, კარგად წერს, ოხერი...

მოკლედ, გარჩევა და „დისკუსია“ იქამდე გაგრძელდა, სანამ დაბლოკვის ღილაკის ძებნა არ დავიწყე და არ დავიფიცე, რომ მსგავს სისულელეს აღარ ჩავიდენდი...

- ოჯახი მაქვს, ცოლ-შვილი მყავს, ადამიანი ვარ, ბოლოს და ბოლოს, ასე ვინ მომექცა?!- მომდის „საკონტროლო“ მესიჯი. არა და არ ცხრება პოეტი.

ეს უკვე მეტისმეტია:

- ცოლ-შვილი რა შუაშია, ნუ გადამრიე, ცოლი გიკრძალავს ლექსის წერას? კარგი, ბოდიში, შევცდი, არ მეგონა თუ ასეთი რეაქცია გექნებოდა, თორემ როგორ გავბედავდი და მოგწერდი!- უკვე ძალიან ვბრაზობ, უფრო საკუთარ თავზე...

- კაარგი, კარგი, არ გამიბრაზდე... მადლობელი ვარ, ყველაფერი გასაგებია, პირველივე სიტყვიდან გავიგე, რასაც მწერდი, მაგრამ ... ადი აბა ახლა „მაუსით“ მაღლა და ნახე რა მომწერე...

ეს როგორ ვერ მოვიფიქრე აქამდე... ელვის სისწრაფით ავქანდი პირველ აბზაცზე და ვკითხულობ:

„შენი სექსი ვნახე ინტერნეტში, ბრაავო, მაგარი იყო, დიდად ვისიამოვნე“!..

ეს იყო და ეს... ასე თავისმომჭრელად დასრულდა მთელი ჩემი კეთილაღფრთოვანება... ამის შემდეგ მაინც ფრთხილად აღფრთოვანებას ვანიჭებ უპირატესობას!

რა საჭიროა განათლება, როცა ცოდნა თავში აქვთ...

გაგრძელება.
დასაწყისი „ს.გ“ N9

ხელისუფლებას რომ მითითება ჰქონდა, ქვეყნისთვის სასიცოცხლო ინტერესები არ უნდა გქონდეთ, პურს ჩვენ გასესხებთ, სანახაობა თქვენ მოაწყვეთო, ამიტომაც აღმოვჩნდით ისეთ მდგომარეობაში, როგორშიც ვართ — სრული უწიგნურობა, რასაც უამრავი ტვინგასალაყებელი, არცთუ იშვიათად, უხამსი გასართობი შოუები ერთვის.

აი, ასე გამიზნულად გვაქციეს მათხოვარ ქვეყნად განვითარებადი ქვეყნის სტატუსით, შემდეგ კი, როცა სესხებისა და გრანტების მოცემა დაგვიწყეს და მითითებებიც მოაყოლეს, ეს ფული ქვეყნის ასაღორძინებლად კი არა, ისე უნდა დახარჯოთ, როგორც ჩვენ გიბრძანებთო, უნდა დაემორჩილო, ვერაფერს გააწყობ, თავს ზევით ძალა არ არის.

ასე საკარნახოდ ჩამოდიოდნენ და ჩამოდიან დღემდე გადამთიელი ექსპერტები და რეკომენდატორები, რომელთა კარნახითაც საქართველოში ეკონომიკა, სოფლის მეურნეობა, განათლება, მეცნიერება და კულტურა მოისპო.

ახლა ერთგვარად შეიცვალა სიტუაცია და ტრადიციულად აღშფოთებულები არიან ჩვენი უცხოელი „დამრიგებლები“, მთლად დამჯერე ხელისუფლება არ აღმოჩნდა „ქართული ოცნება“. პირადად მე მხოლოდ მაშინ დავიჯერებ „ქართული ოცნების“ სახელმწიფოებრივად კეთილ ნებას, როცა გაუნათლებლობის სისტემას განათლების სისტემა ყველა პარამეტრით შეცვლის.

მშვენიერი „საზომი“ ჩამოაყალიბა ბატონმა დემურ გიორხელიძემ და სოციალურ ქსელში განათავსა. ახლა თავად განსაზღვროს ყველამ, სწავლობენ თუ ილუზიას უქმნიან, რომ ასწავლიან:

„იმისათვის, რომ ახალგაზრდამ რაიმე სერიოზული საგანი შეისწავლოს, რამდენიმე შეუცვლელი და აუცილებელი რამ არის საჭირო, კერძოდ:

(ა) აუდიტორიული მეცადინეობების რეგულარული ციკლი (ეს აუცილებელი პირობაა!);

(ბ) ლექციები და სემინარები და ცოცხალ ლექტორთან რეგულარული ურთიერთობა,

რომელსაც სულ ცოტა, 10-ჯერადი მარაგი მაინც აქვს იმ სპეციალობაში, რასაც ასწავლის! ანუ თავად არის სპეციალისტი და, თანაც, მაღალი დონისა (მარაგში ვგულისხმობ პროფესორის ცოდნას იმასთან შედარებით, რასაც ასწავლის! ესეც აუცილებელი პირობაა!

რადგან პროფესორი საგანს მაღალი დისტანციიდან უნდა უყურებდეს, იცოდეს გაცილებით მეტი და ინტერპრეტაციისა და ანალიზის ძალზე ღრმა და საფუძვლიანი განხორციელება შეეძლოს);

(გ) ლექციებისა და პრაქტიკული მეცადინეობის მაღალი დონის სახელმძღვანელოები და სასწავლო დამხმარე მეთოდური სახელმძღვანელოები;

(დ) აუცილებელია, სტუდენტი ასრულებდეს მრავალ დავალებას (ამოცანებისა და სავარჯიშოების სახით) და წერით სამუშაოს, რომლის ჩაბარებისას პროფესორთან უშუალო დიალოგით გამოვლინდება, აითვისა თუ არა ახალგაზრდამ მასალა. ტარდებოდეს მრავალი კოლოქვიუმი – თუ ეს ყველაფერი არის, მაშინ ცოდნის დაუფლების მსურველ ახალგაზრდას ყველაფერი ნორმალურად ექნება – მისი ძალისხმევა დაჯილდოვდება იმით, რასაც კონკრეტული საგნის ცოდნა ჰქვია, რაც მრავალი შემდეგი დანაშენის საფუძველია. ყველა ამ მიზნის გათვალისწინებით უნდა იგებოდეს ახალგაზრდის სასწავლო პროგრამა.

რაც დავწერე – უნივერსალურია!

ალტერნატივა არასდროს ექნება სერიოზული სპეციალობების დაუფლებისას“.

აშენებული დაანგრიეს, მიწასთან გაასწორეს და მას შემდეგ ყველა ხელისუფალი სახელმწიფოს აშენებს. აშენებას ცოდნა უნდა, ცოდნას კი — სწავლა-განათლება. ფურცელზე დაწერილი ცოდნა-განათლება ყველა დროში ყველა ხელისუფლებას ჰქონდა, მაგრამ რეალურად მე-7 კლასის დონეზეც არ იყვნენ.

ახლა, თუ არ ჩავთვლით იმ დარჩენილ „ფურცელგანათლებულებს“, ნამდვილად უკეთესი მდგომარეობაა, მაგრამ ვიმეორებ: სანამ „ოცნება“ გაუნათლებლობის სისტემას განათლების სისტემად არ დააბრუნებს, ვერავინ დამარწმუნებს, რომ სასიკეთოდ იღვწიან. მიზეზი მარტივია, თუ ნიადაგი არ ვარგა, წალკოტი ვერ გაშენდება!

„კადრები წყვეტენ ყველაფერს!“ — 1935 წლის 4 მაისს თქვა სტალინმა სამხედრო აკადემიის კურსდამთავრებულთა გამოსაშვებ ღონისძიებაზე. ამ ფრაზაში მხოლოდ ერთი სიტყვა იყო ჩანაცვლებული ძველ ლოზუნგში „ტექნიკა წყვეტს ყველაფერს!“ გაქვს ტექნიკა, მაგრამ უნდა გყავდეს კადრები, რომელსაც ამ ტექნიკის ასამუშავებლად სრულყოფილი ცოდნა და განათლება ექნება. სტალინმა ატომური ენერგიის ინსტიტუტის დირექტორს, აკადემიკოს კურჩატოვს პერსონალური ხელფასი 20 000 მანეთი დაუნიშნა, პროფესორებს კი 500, როცა საკავშირო მინისტრების ხელფასები 300 მანეთი იყო. სწორედ ამიტომ, ტექნიკური საგნების ნიჭის მქონე ახალგაზრდობა ფიზიკა-ტექნიკისკენ გადაიხარა და რამდენიმე წელში არა მხოლოდ ატომური ბომბი შექმნეს, წყალბადის მძლავრი ბომბის დამზადებაც შეძლეს. სწორედ ფიზიკა-მათემატიკური და სამხედრო-ტექნიკური მეცნიერებების განვითარების შედეგად შეძლო საბჭოთა კავშირმა პირველი ხელოვნური თანამგზავრის შექმნა და პირველი კოსმონავტის ორბიტაზე გაშვება.

დღესაც ასე ხდება: „ფურცელგანათლებულები“ სხედან პარლამენტში და გაუთავებლად ასარსალებენ დატრენინგებულ ენას, საქმის გამკეთებელი კი არავინაა, ვინც იყო, ისინი „ჩარეცხეს“...

საინტერესოა, მთავრობის წევრებს, პარლამენტარებს, ის მიზერული ხელფასი რომ ჰქონდეთ, რაც, ვთქვათ, მასწავლებლებს აქვთ; არავითარი პრივილეგია არ ჰქონდეთ; არ იცავდეთ იმუნიტეტი და ა.შ.; არ ჰქონდეთ „ცხოვრების სიამენი“, განსაკუთრებული პრივილეგიები სიკვდილამდე; არ მოიხსენიებდნენ პოლიტიკოსებად; ვერც ტელეეკრანებიდან ცნობადობით დაიკვეხნიდნენ, მაინც „ქვეყნის აღმშენებლობის“ სურვილით დაიწვებოდნენ? ძალიან მაინტერესებს, სად ამთავრებენ „პოლიტიკოსობის სკოლას“ მაჭუტაძეები, ბუაძეები, წითლიძეები თუ სხვა, რა განათლების მქონე გოგო-ბიჭები არიან, ვინ თქვა მათი პოლიტიკოსობა, სად მიიღეს განათლება, როცა ქვეყანა გაუნათლებლობის პიკზეა?

შენებას ცოდნა უნდა, ცოდნას — განათლების მიღება. განვითარებადი ქვეყნის სტატუსს უნდა შევწიროთ ქვეყანა?

ასე იყო ჩემს დროს და ასეა ახლაც ყველა ნორმალურ ქვეყანაში: მასწავლებელი ამოწმებს მოსწავლის ცოდნას და აფასებს. განათლების სამინისტრო კი ამოწმებს, რამდენად სწორად შეაფასა მასწავლევბელმა მოსწავლის ცოდნა. თუ აღმოჩნდა, რომ მასწავლებლის შეფასება არ ემთხვევა კომისიის შეფასებას, მასწავლებელს კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე აგზავნიან, რასაც მკაცრი გამოცდა მოსდევს. ამიტომ, მასწავლებელი ცდილობს, მაქსიმალურად სწორად შეაფასოს მოსწავლის ცოდნა. ჩვენთან ატესტატის მნიშვნელობაც კი გააუფასურეს, რომელი ცოდნის შემოწმებაზეა საუბარი!..

„მეცნიერები პოლიტიკოსების წინააღმდეგ!“ ამ სათაურით გამოქვეყნდა წლების წინათ ინფორმაცია ინტერნეტში, საიდანაც გავიგეთ, რომ აშშ-ის მეცნიერებმა ხელი მოაწერეს საპროტესტო განცხადებას მეცნიერებაში პოლიტიკის ჩარევის საწინააღმდეგოდ. ისინი აპროტესტებდნენ იმას, რომ მათ მიერ სამეცნიერო კვლევებში მიღებული მეცნიერული მონაცემების შედეგები პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენებოდა. საპროტესტო განცხადებას ხელს აწერდა 10 000-მდე მეცნიერი, მათ შორის ნობელის პრემიის 54 ლაურეატი.

სამწუხაროდ, ჩვენთან პირიქით მოხდა, პოლიტიკოსები გამოვიდნენ მეცნიერების წინააღმდეგ სწორედ ამერიკელების კარნახით. ამერიკულმა ორგანიზაცია ღთI-მ

მოგვახვია თავს გაუნათლებლობის ის რეფორმა, რომლის გატარების შედეგად დაიხურა უნივერსიტეტები (სახელი შერჩათ მხოლოდ) და სკოლები (სკოლებს სახელიც აღარ შერჩათ, „საჯაროდ“ იქცნენ).

თუ ასე გაგრძელდა, ალბათ, ოდესმე დადგება ის დროც, რომ საქართველოდან უცხოეთში გადახვეწილი ქართველები (თუ მენტალურ ქართველებად დარჩნენ) ძალიან მოინდომებენ და საქართველოში (თუ დახვდათ) წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოებებს, მეტყველების კურსებს, გიმნაზიების მსგავს სასწავლებლებს გახსნიან და საუკუნის ბოლოს, იქნებ, პირველ უნივერსიტეტსაც ვეღირსოთ...

უმძიმესი მდგომარეობაა განათლების მხრივ და არც არავის ეტყობა, რომ ამაზე წუხდეს...

ამერიკელ მეცნიერებზე ვამბობდი — თურმე მკვლევარებს, რომლებიც სამთავრობო სტრუქტურების დაქვემდებარებაში მუშაობდნენ, არაერთგზის სთხოვდნენ, რომ მონაცემები შეეცვალათ ამა თუ იმ პოლიტიკური ინიციატივის შესაბამისად („დავით გარეჯის საქმე“ გამახსენდა უცბად...). გამოაქვეყნეს მაგალითები, თუ როგორ გადის ცენზურას გარკვეულ პრობლემებთან დაკავშირებული მეცნიერულად დადასტურებული ფაქტები (მაგალითად, კლიმატის შეცვლა, სქესობრივი აღზრდა და ა. შ.).

მეცნიერებმა განაცხადეს, რომ მეცნიერებაში პოლიტიკური ჩარევა განსაკუთრებით გაძლიერდა ჯორჯ ბუშის მმართველობის პერიოდში. მაგალითად, ბუშის ადმინისტრაციამ გარემოს დაცვის სააგენტოს მოსთხოვა, რომ არ გამოექვეყნებინა გლობალური დათბობის შესახებ მათ მოხსენებაში მოყვანილი მონაცემები. სააგენტოს წარმომადგენლები იძულებული გახდნენ, არაფერი ეთქვათ იმ ანგარიშის შესახებ, რომლიდანაც ნათელი ხდებოდა, რომ ამერიკის ადმინისტრაციის გეგმა სხვა პროექტებთან შედარებით ატმოსფეროს დაბინძურების წინააღმდეგ ნაკლებად ეფექტიანი იყო.

ბრავო ამერიკას! იმდროინდელი ჩვენი განათლების მინისტრები უნდა გვეთხოვებინა მათთვის, ლომაია, შაშკინი ან სხვა ნებისმიერი და იმ ათი ათასივე მეცნიერს რომ კარს გამოუკეტავდნენ და ნობელის ლაურეატებსაც ზედ მიაყოლებდნენ, მერე დაედოთ სამეცნიერო კვლევების შედეგები...

პიტერ გლაიკმა თქვა: „ძალიან ძნელია, გავატაროთ კარგი საზოგადოებრივი პოლიტიკა კარგი მეცნიერების გარეშე და კიდევ უფრო ძნელია კარგი საზოგადოებრივი პოლიტიკის გატარება ცუდი მეცნიერებითო“ და ეს ნამდვილად ასეა!

კარგი, წინამორბედმა ხელისუფლებამ უდიდესი დანაშაული ჩაიდინა ქვეყნისა და ერის წინაშე, განათლების სისტემა რომ გაანადგურა, მაგრამ ორი მომენტი ჩანს გამოკვეთილად. პირველი — გაუნათლებლობის რეფორმა მოეწონათ გასანათლებელ ახალგაზრდებს და მეორე — 11 წელი გავიდა, რაც ხელისუფლება შეიცვალა და არავითარი ინტერესი არ გამოუჩენია განათლების არცერთ მინისტრს, რომ ძირეულად შეეცვალა სისტემა.

განათლების რეფორმაზე ანეკდოტი გამახსენდა: მოშეს ჰკითხეს, რეფორმები როგორ მოგწონსო? მოშემ უპასუხა: დაგენაცვლე, რა უნდა მომეწონოს? ჩემს დიდ წინაპარს ბორდელი ჰქონდა. როცა საქმე ცუდად მისდიოდა, საწოლებს კი არ დაარიხინებდა, მეძავებს ცვლიდაო. ასეა ჩვენი განათლების მინისტრების ცვლის ამბავიც, ვფიქრობ, სანამ „ბოლონიის პროცესს“ არ ჩაეხსნება საქართველო, მანამდე ვიქნებით გაუნათლებლობის მორევში...

განათლების მინისტრი ვინ იქნება, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს ასეთ მოცემულობაში, „ბოლონიის პროცესი“ და, აქედან გამომდინარე, უვარგისი, ანტიეროვნული და ანტიკონსტიტუციური კანონი, არანაირი განათლების მომცემი არ არის. ნებისმიერი ე.წ. რეფორმა, მოშესი არ იყოს, მხოლოდ საწოლების რიხინი იქნება!

ნინო დაუშვილი

2019 წელს, „გზა ცივილიზებული სახელმწიფოსკენ“ მეცნიერთა გუნდის საგანგებო შეკრება შედგა. შეკრების თემა გახლდათ ის, რომ ქვეყანა გადასარჩენია ფსევდოლიბერალიზმის, ქუჩის პოლიტიკისა და ფსევდოეროვნულებისაგან! საერთოდ იმ სიყალბისგან, რომელშიც პოლიტიკოსები და ე.წ. „ბელადები“ გვაცხოვრებენ. არ ავყვეთ ამ კლოუნადას და ვიფიქროთ ქვეყნის განვითარების პროგრამებზე!

ჩვენ ადამიანებად დარჩენისთვის ვიბრძვით

გვესაუბრება სასამართლო სამედიცინო ექსპერტი, ანალიტიკოსი
მაია ნიკოლეიშვილი:

— ქალბატონო მაია, ღარიბაშვილის უნგრეთში გამოსვლა, სადაც მთავარი თემა — ღმერთი, სამშობლო და ოჯახი იყო, ევროპამ დაგმო...

— სამაგიეროდ, რუსეთმა საქართველოსთან სავიზო რეჟიმი გააუქმა. დასავლეთი, ამერიკა ასე თუ წუხან, თავადაც მოგვცენ უვიზო რეჟიმი და პირდაპირი ფრენებიც დაგვინიშნონ. თავდაუბანელი ევროპელები გამოდიან და თითს გვიქნევენ. ასეთი ევროპელების გვერდით ადგილი ნამდვილად არ გვინდა. ისინი ყველაფერ ნორმალურს ებრძვიან და ადამიანური საწყისის განულებაზე მუშაობენ, რასაც აბსოლუტურად შეგნებულად აკეთებენ. წარმოიდგინეთ, კაცი ამბობს: მე თავს ინვალიდ ქალად ვგრძნობო და ეტლში ზის. ეს ფსიქოლოგიური პრობლემაა და მკურნალობა სჭირდება. მათ არაფერი აინტერესებთ, არც ოჯახი, არც სამშობლო, არც გენდერი, გაიძახიან: დედაც და მამაც კაცები უნდა იყვნენო. სარწმუნოება ევროპაში პირველმა ფროიდმა შეარყია. სწორედ მაშინ მივიღეთ ნამდვილი სექსუალური რევოლუცია — ჰიპების მოძრაობა. ფროიდს თავისი კომპლექსები ჰქონდა. იგი ებრაელად დაიბადა შუაგულ ევროპაში. ებრაელი ტროტუარზე რომ მოდიოდა, თუ ევროპელს შეხვდებოდა, გზიდან უნდა გადასულიყო და თვალებში არ უნდა შეეხედა. ეს არც ისე დიდი ხნის წინათ, ფაშიზმამდე იყო. ფროიდმა ახალი რელიგია — ფსიქოანალიზი, ანუ რელიგიის გარეშე ცხოვრება შექმნა. დღეს ძირითადი კომპლექსები, რითაც ბავშვობის ტრავმები იმართება, ფროიდის ფსიქოანალიზით შეგვიძლია ავხსნათ — ოიდიპოსის, ელექტრას კომპლექსი და ა.შ. მაგრამ ბავშვს დედაც კაცი რომ ჰყავს და მამაც, ეს ნიშნავს, რომ ფროიდიც მოკვდა და მისი ფსიქოანალიზიც. ხომ უნდა დავფიქრდეთ, რა მოჰყვება ამ ყველაფერს? ვინ იტვირთავს ფსიქოლოგის როლს — მოძღვარი, ფსიქოლოგი, ფსიქოანალიტიკოსი თუ სხვა, რა მნიშვნელობა აქვს. თავდაპირველად ქურუმი იყო, მერე მოძღვარი, ბუდისტი ბერები, სენსეი და ა.შ. ფრიოდმა კი გადატრიალება მოახდინა. შედეგად, ადამიანების გარკვეული ნაწილი, ვისაც ეკლესიასთან პრობლემა ჰქონდა, ახალ სარწმუნოებას მიემხრო. მით უფრო, რომ ამ გარემოებას დიდი ცეცხლი შეუნთო ნიცშემ, რომელმაც თქვა: ღმერთი მოკვდაო. ღმერთი მოკვდა და ფსიქოანალიზიც შემოვიდა. ახალი ეპოქა დაიწყო. მაგრამ დღეს სხვა უკიდურესობა მივიღეთ, გვეუბნებიან: დედა ქალი არ არის, მამა —კაცი არ არის, არამედ გეყოლებათ ნომერი პირველი და ნომერი მეორე მშობელიო. ხომ წარმოგიდგენიათ, რა ახალი კომპლექსები წამოვა?! მათ ავტოაგრესიები, დანაშაულიც მოჰყვება. წარმოდეგნაც კი არ გვაქვს, რა ფსიქოლოგიურ ჯუნგლებში შევდივართ. ელემენტარულად, ოჯახში, სადაც დედ-მამას შორის კონფლიქტური სიტუაციაა, ბავშვი ტრავმირებული იზრდება. შესაძლოა, მერე ასეთი დაჩაგრული ბავშვი, მოძალადე გახდეს. ასე ხშირად ხდება, რაც ჩვენ წინა ხელისუფლების მაგალითზეც ვიხილეთ — დაჩმორებული, დაჩაგრული ბავშვები მოძალადე ხელისუფალნი გახდნენ. სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმი სწორედ ძალადობაზე იყო აგებული. ამას ფსიქოლოგიაში თავისი ახსნა აქვს. მაგრამ წარმოიდგინეთ, მიშას ორივე მშობელი კაცი რომ ყოფილიყო და მისთვის საავადმყოფოში სუპები დედას —კაცს მიჰქონდეს. თევზაძისა და ბერძენიშვილის ნათქვამი გამართლდებოდა და მართლა კანიბალიზმს მივიღებდით. სხვათა შორის, ფროიდამდე და ნიცშემდე დოსტოევსკიმ თავის ნაწარმოებებში ყველა კომპლექსი გახსნა. იგი შეუდარებელია. ახლა ლაშა ბუღაძე დაწერს და გახსნის იმ კომპლექსებს, რაც კაცისა და კაცის, ან ქალისა და ქალის გაზრდილ შვილს ექნება?! ამ საკითხზე დისკუსია არსად მომისმენია, არადა, ფსიქოლოგები განგაშს უნდა ტეხდნენ. ეს სერიოზული პრობლემაა, რის წინაშეც კაცობრიობა მალე დადგება. უამრავი რამ არის გასათვალსწინებელი. სიყრმის შვილი სულ სხვაა და ასაკში გაჩენილი — სხვა. ბავშვებს იმის გადატანაც კი უჭირთ, როცა სკოლაში ჭაღარა მშობელი აკითხავთ. მათთვის ეს მტკივნეული ტრავმაა. წარმოიდგინეთ, რა ტრავმა განუვითარდება, როცა ამხანაგს სკოლაში დედ-მამა მიაკითხავს, მას კი ორი კაცი, ან ორი ქალი მშობელი! ვინ და როგორ მოახერხებს, რომ ეს ბავშვმა უმტკივნეულოდ აღიქვას. ამას ვერავინ შეძლებს. მაშინ დედმამიანი ბავშვები უნდა გაანადგურო, მოსპო, აღარ უნდა არსებობდენ. თორემ ათ ბავშვს თუ ნორმალურმა მშობლებმა მოაკითხა და თუნდაც ერთს — კაცებმა, მას უკვე კითხვის ნიშნები დაებადება. ან თუნდაც, გარდატეხის ასაკში, ბავშვს დედა — კაცი რომ ეყოლება, რა პრობლემები წამოვა, ხვდებით?! თავს იჩენს მკვლელობები, აგრესია და ა.შ.

საინტერესო კიდევ იცით რა არის? — ადამიანური საწყისის განულებას ლიბერალიზმი დაერქვა, ხოლო ნორმალურობას — კონსერვატიზმი. ეს კონსერვატიზმი კი არა, ჩვეულებრივი ნორმალურობაა. ამას რატომღაც კონსერვატიულ ღირებულებებს არქმევენ, სინამდვილეში, ეს ადამიანის ყოფიერების ანბანური ჭეშმარიტებაა, რაც ნებისმიერი მიმდინარეობის მიღმაა.

— წეღან ლიბერალიზმი ახსენეთ. ფსევდოლიბერალებმა განაცხადეს: ილია ლიბერალი იყო, ჩვენც ლიბერალები ვართ და თქვენ ვინღა ხართო?

— მათ დიდი გზის გავლა მოუწევთ, ოდესმე ილია ჭავჭავაძემდე რომ მივიდნენ. მათ საკუთარი პოლიტიკური აზრი არ გააჩნიათ, დამკვეთებისგან დაგეშილი, პროფესიული მავნებლები, დესტრუქციის მოწყობისკენ მიმართული ადამიანები არიან, რომელთაც სამშობლო არ გააჩნიათ. ამ უსამშობლოებისთვის ეს შეგრძნება აბსოლუტურად უცხოა. ისინი ვერასდროს გაიგებენ, რას ნიშნავს: არ გავცვლი სალსა კლდეებსა, სხვა ქვეყნის სამოთხეზედა. დღეს ცივილიზაციათა ომი ნორმალურობასა და არანორმალურობას შორის მიდის. ამ შემთხვევაშიც, პროცესები ძალიან საინტერესოდ განვითარდება. თავის დროზე ნიცშემ ღმერთი, ზე-ადამიანი მოკლა, ფროიდმა, ფაქტობრივად, ეკლესიას მრევლი წაართვა, დღეს რა იქნება? — ამაზე პასუხი არ მაქვს.

— მას მერე, რაც ღარიბაშვილმა ოჯახზე, სამშობლოზე, დედისა და მამის მნიშვნელობაზე უნგრეთში ისაუბრა, ამ ლიბერალებმა განაცხადეს, რომ თავად ილიას, ვაჟას და ქაქუცას მხარეს დგანან, ჩვენ კი ქართველობაზე, ეროვნულობაზე საუბრის უფლება თურმე არ გვაქვს...

— არცერთი მათგანი არც ქაქუცას პიროვნებას იცნობს, არც ილიას და არც ვაჟას. კონსტანტინე გამსახურდიამ თქვა: თუ გინდა, ადამიანი გაამწარო, ის დააბრალე, რასაც მთელი ცხოვრება ებრძვისო. რასაც დიდი კონსტანტინე ამბობდა, ყველაფერი დალასის დოქტრინაში წერია. მარო მაყაშვილის პორტრეტს კი იპრინტავენ მაისურზე, მაგრამ განა რამე სმენიათ ამ გმირის შესახებ?! მათ, უბრალოდ, ეს სჭირდებათ. ეს მხოლოდ მიმიკრიაა. იგივე ვაჟას, ილიას ზურგს ამოფარება, უბრალოდ, მიმიკრიაა, რათა ადვილად შეძვრნენ იქ, სადაც ფეისკონტროლია დაწესებული და მათ თავიანთი რეალური ხედვებით არ მიიღებენ. გადარჩენის გამო იღებენ კუნძის, ფოთლის ფერს. ეს არის მათი აკაკიც, ვაჟაც, ილიაც, შოთაც და გალაკტიონიც. მაგრამ როცა მიხვდება, რომ ფოთოლზე დამსგავსებით უკვე გადარჩა, მერე დადგება და ერეკლე მეფეს გაგილანძღავს, მის შთამომავლებს კი იდიოტებს უწოდებს. ასევე, გვეტყვის: თქვენ კანიბალები იყავით, მე — არა, მე კოსმოსიდან ვარ მოსულიო. თუ ქართველები კანიბალები არიან, ე.ი. ისიც კანიბალების შთამომავალია, მაგრამ არა! — თავად საკუთარ თავს ასე არ მიიჩნევს. ის გადარჩა, მიმიკრია გამოიყენა, მერე ადგა და გაგილანძღა ილია, ვაჟა, შოთა. დაიბრალე ნებისმიერი რამ, ოღონდ გადარჩე, აი ეს არის. იმ მომენტში გაძვრება სამშვიდობოს, შემოგიბრუნდება და სიწმინდეებს, ყველაფერს დაგიმარხავს, გაგინადგურებს. უბედურება ისაა, რომ მათი ადეპტები ვერც კი ხვდებიან, ესენი რას ლაპარაკობენ. ბევრი მანიპულაციის მსხვერპლი, ზომბირებულია, გაიძახიან: ომი გინდა, დედა დედაა, მამა მამაა და ამაზე ღლიცინებენ. დედა ქალია და მამა კაცია — ესაა ნორმალურობა. ამ თემაზე რომ გაიცინებს ადამიანი, მას უკვე რეალობის შეგრძნება დაკარგული აქვს. ის შეიძლება თვითონ პროპაგანდისტია, მაგრამ თავადვეა ამისი მსხვერპლი. თავის წვენში იხარშება, მასთან ლოგიკური საუბარი შეუძლებელია, რადგან იგი ზომბირებულია და მორჩა. ჟურნალისტების უმეტესობამ თვითზომბირება მოახდინა. უბედურებაც ესაა — სხვას არწმუნებდნენ და თავად დაიჯერეს. ახლა რაზეც ვისაუბრეთ, ეს ახალი ფსიქოლოგიაა, რაც ყველაზე საინტერესოა.

დასკვნის სახით ვიკითხოთ: საით მიდის ევროპა? ევროპაში იმართება ბაზრობა, სადაც გეი-წყვილებს შეუძლიათ, ბავშვი აიყვანონ. ბავშვს არჩევანი არ აქვს, ისე ხვდება ორ კაცთან. მერე რა ხდება? გეი-წყვილის აღზრდილი ბიჭი როგორ წარმოგიდგენიათ! როცა ბავშვი დედ-მამის სქესობრივ კავშირს შეესწრება, მან ეს შეიძლება ძალადობად აღიქვას და როცა მშობლებად ორ გეი-კაცს უყურებს, მისი ფსიქო-სექსუალური განვითარების ეტაპები როგორი იქნება, ვინმემ იცის?! ამაზე კითხვაც არ ისმის. ეს საკითხი მიჩუმათებულია. ეს დისკუსი ჩვენთვის ხელმისაწვდომი არ არის. ველოსიპედს ვიგონებთ და კითხვა არ გვიჩნდება. ჰიპოთეტურად ვამბობ: შეიძლება ჩინეთის დიდი კედლის მსგავსი გაივლოს ნორმალურ ცივილიზაციასა და ზომბებს შორის. ალბათ, რეზერვაციის ტიპის დასახლებებში სულ სხვა ადამიანები იქნებიან, რომლებიც აქეთ არ უნდა მოხვდნენ. მოდი, ბოლომდე ვიყოთ აქეთ — ადამიანურობისკენ. დღეს ხომ ამისთვის ვიბრძვით. რეალურად, ბრძოლა რუსეთ-უკრაინას შორის კი არ მიდის, არამედ ჩვენ ადამიანებად დარჩენისთვის ვიბრძვით. ხელისუფლება დღეს ჩვენთან ერთად და ჩვენთვის იბრძვის. დიახ, ერთად ვიბრძვით, რათა ადამიანებად დავრჩეთ. სამწუხაროდ, 21-ე საუკუნეში, ეს საბრძოლველი გაგვიხდა. საინტერესო ეპოქაში ვცხოვრობთ.

თამარ შველიძე
555 23 28 24

მსოფლიოში გლობალური ცვლილებებია მოსალოდნელი

გვესაუბრება უფლებადამცველი გრიგოლ გაგნიძე

— ბატონო გრიგოლ, რუსეთის მხარემ საქართველოში საჰაერო მიმოსვლა აღადგინა, გააუქმა სავიზო რეჟიმი. თუმცა ზოგიერთი ოპოზიციონერი პოლიტიკოსი, რომლებსაც მხარი აუბა საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა, საგანგაშოდ მიიჩნევს რუსეთის ამ გადაწყვეტილებებს. თქვენ როგორ შეაფასებთ შექმნილ სიტუაციას, საქართველოს მოქალაქეებისთვის სასიკეთოა თუ მართლაც საგანგაშო?

— თავისთავად, სასიკეთოდ აისახება არამარტო ჩვენი მოქალაქეების ყოფაზე, არამედ სტუმრებზეც. გამარტივებული და გაუქმებული სავიზო რეჟიმი, პირდაპირი საჰაერო მიმოსვლა გაუიოლებს მგზავრობას საქართველოს მოქალაქეებს. სტატისტიკური მონაცემებით, მილიონამდე ქართველი ცხოვრობს და მუშაობს რუსეთში, მათ სამშობლოში ნათესავები, მეგობრები ჰყავთ. გაუქმებული ფრენების გამო მათ უჭირდათ ერთმანეთთან სტუმრობა, ხშირად ახლობელი ადამიანების დაკრძალვაზეც ვერ მიდიოდნენ, ბებია-ბაბუებს შვილიშვილები ენატრებათ. ახლა, სავიზო რეჟიმის გაუქმებით, ფრენების აღდგენით გამარტივდება მიმოსვლა. თუმცა, ვისაც წასვლა უნდოდა, ახერხებდნენ თურქეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის გავლით, ასევე, სახმელეთო გზით, მაგრამ ძვირფას დროს კარგავდნენ. აბა, წარმოიდგინეთ, რომ ტრანზიტული მარშრუტით რუსეთში ჩასვლას ან ჩამოსვლას 30 საათს ანდომებდნენ. ახლა მგზავრობა შესამჩნევად გაიაფდება, ქართველი ფერმერები შეძლებენ, უპრობლემოდ გაიტანონ თავიანთი პროდუქცია რუსეთის ბაზარზე, გაიუმჯობესონ ეკონომიკური მდგომარეობა. გაიზრდება ჩვენს ქვეყანაში შემომსვლელი ტურისტების რაოდენობაც, რაც აგრეთვე დამატებითი ფინანსური შემოსავალი იქნება საქართველოსთვის.

რაც შეეხება ოპოზიციისა და საქართველოს პრეზიდენტის განცხადებებს, „ჭიქაში ატეხილი ქარიშხალი“ იყო. მართალია, ევროკავშირთან გვაქვს უვიზო რეჟიმი, მაგრამ რატომ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციას არ სთხოვენ, გაუმარტივონ საქართველოს მოქალაქეებს აშშ-ში ჩასვლა, ან სამუშაო, დროებითი ვიზები მაინც დაგვიწესონ. საქართველოს მოქალაქეებს აშშ-ში სამუშაოდ წასვლა შემოვლითი გზებით უწევთ, ძირითადად, მექსიკის გავლით, მათი მცდელობა ხშირად წარუმატებლად მთავრდება. აშშ-მ რომ გააუქმოს საქართველოსთან სავიზო რეჟიმი, ეს გარემოება ევროკავშირში გაწევრიანებას გაგვიმარტივებს. სამწუხარო ფაქტია, ხშირად ოპოზიცია ქართველი საზოგადოების საწინააღმდეგო განცხადებებს აკეთებს როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე, საერთაშორისო დონეზე. საბოლოო ჯამში, ფრენების აღდგენის წინააღმდეგ ატეხილი აჟიოტაჟი სისულელე იყო.

— საქართველოს პრეზიდენტმა ბოლო პერიოდში ფრენების აღდგენის საწინააღმდეგო განცხადებების გარდა, რბილად რომ ვთქვათ, სხვა მკვეთრი განცხადებებიც გააკეთა...

— სალომე ზურაბიშვილი ის პრეზიდენტია, რომელსაც პირადი წყენა პოლიტიკაში გადააქვს. მე არ მიმაჩნია იგი ქართველად, ფაქტობრივად, ფრანგია. ქართულად კი არა, ფრანგულად აზროვნებს. წლების წინათ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს საჯაროდ აქებდა, დღეს კი ლანძღავს. იგი და მისი მსგავსი პოლიტიკოსები სამმაგი, ოთხმაგი სტანდარტებით აზროვნებენ და მოქმედებენ, ამიტომაც აქვთ შესაბამისი რეიტინგი და ავტორიტეტი მოსახლეობაში. პრეზიდენტის უშუალო მოვალეობა საგარეო ურთიერთობების დარეგულირებაა, მაგრამ არ მახსენდება მის მიერ ქვეყნისთვის გაკეთებული სასიკეთო საქმე. აშშ-ში ყოფნისას მაღალი დონის არაერთ ჩინოვნიკს შეხვდა, მაგრამ სავიზო რეჟიმის გაუქმებაზე ერთი სიტყვაც არ უთქვამს. როგორც გითხარით, პირადული საკითხები პოლიტიკაში გადააქვს, რაც ქვეყნისთვის დამაზიანებელია.

— საქართველოს მეზობელ თურქეთში ახლახან დასრულდა საპრეზიდენტო არჩევნები. როგორ შეაფასებთ იქაურ მოვლენებს? დასავლეთის ქვეყნების მხრიდან იგრძნობოდა თურქეთის არჩევნებში ჩარევის მცდელობა...

— თურქეთი, მოგეხსენებათ, ტერიტორიულად ერთ-ერთი დიდი ქვეყანაა, რაც მთავარია, ნატოს წევრია. ქვეყანას ჰყავს დიდი არმია, აქვს თანამედროვე სამხედრო შეიარაღება. მიუხედავად ამისა, პრეზიდენტმა რეჯეფ ტაიფ ერდოღანმა არაერთხელ გააკეთა ოფიციალური განცხადება, რომ რუსეთ-უკრაინის ომში არ ჩაერევა. იგი დამოუკიდებელ, ქვეყნისთვის სასიკეთო პოლიტიკას ატარებს. აშშ-მ და დასავლეთ ევროპის ქვეყნების მეთაურებმა ვერაფერი მოუხერხეს, ვერ ჩაითრიეს თავიანთ პოლიტიკურ თამაშში. ამიტომაც მოსწონთ თურქეთში ერდოღანი, რადგან დამოუკიდებელ, კონსერვატიულ პოლიტიკას ატარებს. ასე რომ არ ყოფილიყო, არჩევნებში ვერ გაიმარჯვებდა. აბა, საქართველოს, პატარა ქვეყანას რისი იმედით უნდა გაეხსნა მეორე ფრონტი რუსეთისთვის? საერთოდაც, საქართველო ისეთ გეოპოლიტიკურ სივრცეშია, ყველა მეზობელთან კარგი, საქმიანი ურთიერთობა უნდა ჰქონდეს. ნებისმიერი ომის პირობებში ჩვენს ქვეყანას უამრავი მტერი გამოუჩნდება ხოლმე. დღეს საქართველოში მშვიდობაა, რაც მოქმედი ხელისუფლების, კერძოდ, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის დამსახურებაა. ერთ-ერთ საერთაშორისო ფორუმზე უცხოელმა ჟურნალისტმა ღარიბაშვილს კითხვა დაუსვა: „როდის დასრულდება საქართველოში ორპოლუსიანობა?“ — პრემიერმა ჩვეული პირდაპირობით უპასუხა: „ევროკავშირში გაგვაწევრიანონ და დასრულდება!“ მშვიდობა და სტაბილურობა ნებისმიერი ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა.

— ბატონო გრიგოლ, რუსეთთან ფრენების აღდგენის შემდეგ სოცქსელებში ცალკეული მომხმარებლები წერდნენ, კარგი იქნება, თუ სარკინიგზო მოძრაობაც განახლდებაო. თქვენ რას იტყვით ამის შესახებ?

— საქართველოს გარდა, რკინიგზის გახსნით რუსეთი და სომხეთი არიან დაინტერესებულები, ასევე, ირანიც. პირდაპირ გეტყვით, რკინიგზის აღდგენას აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნება მოჰყვება. თუმცა, ოპოზიცია და სკეპტიკოსები რუსეთს არასაიმედო პარტნიორად მიიჩნევენ. საერთოდაც, თუ რუსეთისთვის მნიშვნელოვანია, საქართველო სამხრეთ კავკასიაში სტაბილური, საიმედო ქვეყანა გახდეს, თანაბარ პარტნიორად უნდა მიგვიღოს და ზევიდან არ გვიყურაოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სამხრეთ კავკასიაში მუდამ არასტაბილური ვითარება იქნება. საქართველო ყოველთვის იბრძოდა დამოუკიდებლობისთვის. თავისუფლებისთვის ბრძოლა ქართველი ხალხის გენეტიკურ კოდშია. საქართველო რეალურად დამოუკიდებელი იქნება, თუ რომელიმე დიდი ქვეყნის — რუსეთის, აშშ-ის, ჩინეთის გუბერნია აღარ იქნება. ილია მართალმა ბრძანა „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდესო“.

— როგორ ფიქრობთ, ხომ არ არის მოსალოდნელი საქართველოში დესტაბილიზაციის მცდელობა?

— მოგეხსენებათ, გაისად საქართველოში საპარლამენტო არჩევნებია. არის საშიშროება, პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა, რომელმაც არაპროგნოზირებადი პოლიტიკოსის სახელი დაიმკვიდრა, წინასაარჩევნოდ შეიწყალოს სააკაშვილი. ამით დაშლილი ნაცპარტია კვლავ გაერთიანდება. ეს უცხოეთიდან იქნება ნაკარნახევი, რათა საქართველოში დესტაბილიზაცია მოხდეს. საერთოდაც, აგრესიული ლიბერალური პოლიტიკის ფონზე მსოფლიოში კონსერვატიზმი აქტიურდება. გაისად აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნებია. რადიკალური ლიბერალიზმის, რუსეთ-უკრაინის ომის არშეწყვეტის სურვილის ფონზე, კონსერვატიზმი იკრებს ძალებს. აქედან გამომდინარე, მომდევნო ორ წელში მსოფლიოში გლობალური ცვლილებებია მოსალოდნელი, რისთვისაც ჩვენი ხელისუფლებაც მზად უნდა იყოს.

გია ბურდული
551 71 27 07

მშვიდობა და სტაბილურობა ქვეყნის განვითარების მთავარი წინაპირობაა

კახა კალაძე: მეამაყება, რომ ყველანაირად მომზადებული ხვდება ჩვენი ქვეყანა ევროპის ჩემპიონატს

„ქვეყანა მზად არის საქართველოში უეფას 21 წლამდელთა ნაკრებების ევროპის ჩემპიონატის ჩასატარებლად. ძალიან მნიშვნელოვანია ინფრასტრუქტურა ასეთი ტურნირებისთვის და მეამაყება, რომ ყველანაირად მომზადებული ხვდება ჩვენი ქვეყანა აღნიშნულ ტურნირს. სტადიონი სრულად არის განახლებული და რეაბილიტირებული უეფას სტანდარტებით. ყველაფერი, რაც იყო მოთხოვნილი, გაკეთებულია. მინდა, მადლობა გა-

დავუხადო პრემიერ-მინისტრს და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრს. ძალიან მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდა არა მხოლოდ თბილისში, არამედ იმ რეგიონებშიც, სადაც აღნიშნული ტურნირი გაიმართება. ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ ასეთ მასშტაბურ ტურნირს მასპინძლობს ჩვენი ქვეყანა და ეს იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ უკეთ გავაცნოთ საქართველო მსოფლიოს, ევროპას, ვაჩვენოთ ჩვენი სტუმარმასპინძლობა, ჩვენი კულტურა, უგემრიელესი სამზარეულო, ულამაზესი დედაქალაქი და რეგიონები. ეს არის ძალიან კარგი შესაძლებლობა, რომელიც უნდა იყოს გამოყენებული“, - განაცხადა კახა კალაძემ.

პროექტის ფარგლებში მოეწყო გაგრილების, გათბობის, წყალმომარაგების, წყალარინების, უსაფრთხოების, გახმოვანების სისტემები; გამოიყო სხვადასხვა სივრცეები; დამონტაჟდა ახალი სკამები, ელექტრონული ტურნიკეტები და ლედ სარეკლამო კედლები და ა.შ.

სტადიონი საქართველოში უეფას 21 წლამდელთა ნაკრებების ევროპის ჩემპიონატის ჩასატარებლად რეაბილიტირდა. სარეაბილიტაციო და სამშენებლო სამუშაოები UEFA-ს ჩართულობითა და მონიტორინგით მიმდინარეობდა.

ევროპის ჩემპიონატის ჩასატარებლად, საქართველოში ჯამში, 10 სტადიონი განახლდა.

საქართველო მზადაა მსოფლიო ეკონომიკურ რუკაზე მტკიცე ადგილი დაიმკვიდროს

გვესაუბრება ეკონომისტი სოსო არჩვაძე:

— ბატონო სოსო, პრემიერი წინა კვირას კატარში ეკონომიკურ ფორუმზე იმყოფებოდა. რა მნიშვნელობა აქვს ამ ვიზიტს ჩვენი ქვეყნისთვის ეკონომიკური კუთხით?

— მთავარი ის არის, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები მრავალვექტორულია და ის ყველა მიმართულებით — აღმოსავლეთით, სამხრეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით ვითარდება. ჩვენ ამოვდივართ არა კონიუნქტურიდან, არამედ სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან და ყოველი ნაბიჯი საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივებზე გათვლით იდგმება. გადაწყვეტილება კონიუნქტურის საფუძველზე არ მიიღება, ეს გააზრებული, სახელმწიფოებრივ ინტერესებთან შესაბამისობაში განხორციელებული ქმედებაა. მით უმეტეს, რომ აღმოსავლეთის ბაზარი, ეკონომიკა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დინამიკურად განვითარებადია. ამიტომ კატარში ეკონომიკურ ფორუმზე ჩვენი ქვეყნის უმაღლესი დონის დელეგაციით წარმოჩენა, ადასტურებს, რომ საქართველო მზად არის, აქტიური ეკონომიკური ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობა განახორციელოს და ამით მსოფლიო ეკონომიკურ რუკაზე ადგილი უფრო მტკიცედ დაიმკვიდროს. ჩვენი მონაწილეობა კატარის ფორუმზე ნიშნავს არამარტო ცნობადობის გაზრდას, არამედ, პერსპექტივაში ეს არის მეტი პროექტის რეალიზაცია, მეტი უცხოური ინვესტიცია, რაც, შეასაბამისად, ნიშნავს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას და, ბუნებრივია, მეტ სამუშაო ადგილს. ჩვენი დელეგაციის, პრემიერის ვიზიტი კატარის ეკონომიკურ ფორუმზე სწორედ ამ პრიზმაში უნდა განვიხილოთ.

— ღარიბაშვილმა კატარში ისაუბრა იმაზეც, რომ რუსეთთან ვაჭრობის გარეშე ჩვენი ეკონომიკა დაინგრევა. რა ვითარება გვაქვს ამ კუთხით?

— როცა ასეთი დიდი, საკმაოდ აგრესიული, ამბიციური მეზობელი გყავს, განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო, რათა მისგან უარყოფითი რეაქცია არ წამოვიდეს. ჩვენი ინტერესების დაცვას მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ. საერთაშორისო ასპარეზზე საქართველო პოლიტიკურ განცხადებებს, რეზოლუციებს მხარს უჭერს, მაგრამ ეკონომიკური კავშირების, ურთიერთობის მხრივ, ჩვენ რამდენიმე ისეთი პროდუქტით ვართ რუსეთზე დამოკიდებული, რომელთა მყისიერი შეცვლა შეუძლებელია, ეს უზარმაზარ ხარჯებს გამოიწვევს. პირველ რიგში, ასეთი პროდუქტია მარცვლეული და ფქვილი. ჩვენ იმპორტირებული საქონლის დიდი ნაწილი რუსეთის ფედერაციიდან შემოგვაქვს. რა თქმა უნდა, მისი ჩანაცვლება კანადური ხორბლით და ფქვილითაც შეიძლება, მაგრამ ეს ჩვენი პროდუქციის საბოლოო ფასის თითქმის გაორმაგებას გამოიწვევს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პური არამარტო ეკონომიკური, არამედ სოციალური პროდუქტია. ის ქვეყანაში სტაბილურობის ერთ-ერთი გარანტია. როგორ უნდა აუხსნა მოსახლეობას, რომ პურის ფასი გაორმაგდა, რადგან რუსეთიდან იაფი პროდუქციის შემოტანაზე შეგნებულად უარი თქვი და ორიენტაცია სხვა ქვეყნებზე აიღე. მაშინ მოსახლეობამ ბიუჯეტის ხარჯზე

გარკვეული კომპენსაცია უნდა მიიღოს. მაგრამ ბიუჯეტი ხომ ისევ ადამიანების და ბიზნესის შენატანებით ყალიბდება. რა გამოდის? — ერთეული სამომხმარებლო პროდუქტი უფრო ძვირი დაგვიჯდება. ვფიქრობ, ამ მიმართულებით რუსეთზე დამოკიდებულების შემცირება თანდათან უნდა მოხდეს და ასეც არის. საბჭოთა პერიოდის მიწურულს, 80-იანი წლების ბოლოს რუსეთზე საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის 57% მოდიოდა. 2000-იანი წლების დასაწყისში — საქართველოს ეკონომიკაში რუსეთის წილი 30% იყო, ამჟამად კი — 13%-ია.

— ანუ, საუბრები იმაზე, თითქოს რუსეთზე დამოკიდებულება 80%-ით გაიზარდა, გადაჭარბებულია?

— დიახ, ასეა. რუსეთთან ეკონომიკური ზრდის ტემპი შეიმჩნევა, მაგალითად, გაიზარდა ბრუნვის მოცულობა, ექსპორტიც და იმპორტიც, მაგრამ იგივე ხდება დანარჩენ ქვეყნებთანაც. მაგალითად, იანვარ-აპრილში ექსპორტი 22%-ით გაგვეზარდა, მათ შორის, რუსეთის ფედერაციასთან — 51%-ით. ამის ხარჯზე რუსეთის წილმა ჩვენს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში, დაახლოებით 2,6 პუნქტი შეადგინა. უნდა გავითვალისწინოთ, რომ რუსეთი გეოგრაფიული, გეოპოლიტიკური მოცემულობაა, რომელსაც ჩვენს ნება-სურვილზე ვერც გავაუქმებთ, ვერც დავხურავთ. დიახ, ისე ვერ მოვიქცევით, როგორც ბენდუქიძე ამბობდა: წარმოიდგინეთ, რომ რუსეთის ნაცვლად იქ ოკეანეაო. ამის საპასუხოდ ერთი დიდი ეკონომისტის სიტყვები მახსენდება: ჩვენ შეგვიძლია აბსტრაქციის ძალით კბილის ჯაგრისი ძუძუმწოვართა კლასს მივაკუთვნოთ, მაგრამ ამით მას სარძევე ჯირკვლები არ გამოუვაო. კი ბატონო, ჩვენ შეგვიძლია ცნობიერებაში რუსეთზე ვთქვათ, რომ არ არსებობს, მაგრამ ეს ხომ თავის მოტყუებაა. ეკონომისტის მოვალეობაა, რაციონალურად, რეალურად შეაფასოს ვითარება და ერთეულ დანახარჯზე, მეტი სარგებლის, შემოსავლის მიღებაზე იზრუნოს. სახელმწიფოც ამ პრინციპით ხელმძღვანელობს.

— საქართველო იმპორტდამოკიდებული ქვეყანაა და ლარი როცა მყარდება, წესით, იმპორტირებული პროდუქცია თუ არ გაიაფდება, არ უნდა გაძვირდეს მაინც. დღევანდელი ფასები რამდენად ლოგიკურია?

— ზოგადად, ფასს რამდენიმე გარემოება აყალიბებს. ერთი, ეს არის მიმდინარე ხარჯების სიდიდე — თვითღირებულება, მეორე კი — ის მოლოდინები, რაც ბიზნესსა და საზოგადოებას ფასებთან მიმართებით გააჩნია. ამიტომ ინფლაციის მაჩვენებელში რაციონალური თუ ირაციონალური მოლოდინების წილი ყოველთვის საკმაოდ მაღალია. თუ ჩვენ გვჯერა, რომ საქონელი გაიაფდება, მაშინ, ბუნებრივია, აღნიშნული საქონლის შეძენას არ ვიჩქარებთ და მის გაიაფებას დაველოდებით. ხოლო, თუ იმის შიში და განცდა გვაქვს, რომ ეს საქონელი შეიძლება გაძვირდეს, მაშინვე მარაგების შექმნას დავიწყებთ. შედეგად, წარმოიქმნება აჟიოტაჟი, რაც ფასების ზრდას კიდევ უფრო აჩქარებს. ამიტომ, ქართველი საზოგადოება ჯერ ისევ ზედმეტად ფრთხილობს — მისი დამოკიდებულება ეროვნული ეკონომიკისა და ვალუტის კურსის ცვლილებასთან მიმართებით, დიდწილად უნდობლობითაა განმსჭვალული. საშუალოვადიან პერსპექტივაში და კიდევ უფრო მეტი დროის განმავლობაში, ვალუტის ცვლილება, მეტწილად, ეკონომიკის რეალური სექტორის ზრდის დინამიკას უნდა უკავშირდებოდეს. მართალია, ფულადი ტრანზაქციები, უცხოური ინვესტიციები, „ეროვნული ბანკის“ პოლიტიკა და ა.შ. გავლენას ახდენს, მაგრამ მთლიანობაში ეროვნული ვალუტის კურსსა და ეკონომიკის ზრდას შორის ძალიან მაღალი კორელაცია არსებობს. ჩვენი ეროვნული ვალუტის კურსზე, ასევე, გავლენას ახდენს შიდა ამერიკული მიზეზებიც — აშშ-ში საბანკო კრიზისი, დოლარის დევალვაცია და ა.შ. მაგრამ თუ დავუშვებთ იმას, რომ გარე ფაქტორებში ცვლილებები არ არის და ქვეყნის ეკონომიკა ვითარდება, მაშინ ამ განვითარების ტემპი ეროვნული ვალუტის კურსის გამყარების საფუძველი უნდა იყოს.

— მოსახლეობა მაღალ ფასებსა და ეკონომიკურ პრობლემებზე წუხს. ეს რით აიხსნება?

— ეს ზოგადი ფაქტორების გამო მოხდა. ანუ, საქართველოში ჭარბი ფულადი მასა შემოვიდა, რასაც ჩვენთან შემოსული უცხოეთის მოქალაქეების გაზრდილი მოთხოვნა მოჰყვა. მათი გადახდისუნარიანობა საშუალო მაცხოვრებელზე გაანგარიშებით, რამდენჯერმე მაღალია, ვიდრე ჩვენი მოქალაქეების მსყიდველობითი უნარიანობა. პარალელურად, ფულის მასაც შემოვიდა, რამაც ეროვნული ვალუტა გაამყარა, მაგრამ კომერციული ბანკების შესაბამის ანგარიშებზე ამ თანხის მხოლოდ ნაწილი მოხვდა. სამომხმარებლო ბაზრაზე მოთხოვნა, დაახლოებით, 800 მილიონიდან მილიარდ დოლარამდეა. ანუ, ჭარბი მოთხოვნა გაჩნდა. აქ ჩამოსულ ხალხს სჭირდება საკვები, ჩასაცმელი, საცხოვრისი, მოგზაურობა, რამაც საქართველოს ეკონომიკაზე გავლენა ორგვარად მოახდინა — ერთი მხრივ, ხელი შეუწყო ჩვენი ეკონომიკის სწრაფად ზრდას. ეს ფაქტორი რომ არა, მეეჭვება, ორნიშნა ეკონომიკური ზრდა გვქონოდა, მაგრამ მეორე მხრივ, ამან უზრუნველყო ის, რომ ჩვენი ინფლაციის ტემპის შემცირება დაახლოებით 6-7 თვით დაგვიანდა. რაც განაპირობა რუსი ტურისტების რაოდენობის ზრდამ და უცხოეთიდან ფულადი ტრანზაქციების მატებამ.

— წელან რეალური სექტორის განვითარება ახსენეთ. ორნიშნა ეკონომიკური ზრდა რუსეთ-უკრაინის ომს დაუკავშირეს, თუმცა 2021-შიც ხომ გვქონდა ორნიშნა ზრდა. მიზეზი რეალური სექტორის განვითარებაა?

— 2022 წელს ეკონომიკის თითქმის ყველა სექტორში — წარმოების, მშენებლობისა და მომსახურების სფეროში, ზრდა დაფიქსირდა, განსაკუთრებით მომსახურების სფეროში. ზოგადად, მომსახურების სექტორი რომ ავიღოთ, ჩვენი ეროვნული პროდუქტის თითქმის 3/5 ამ სფეროში იქმნება. ღირებულებითი ფორმით მომსახურების სექტორის წილობრივი მონაწილეობა უფრო მაღალია, ვიდრე მწარმოებლური ანუ, ე.წ. ინდუსტრიული დარგებისა და აგრარული სექტორის.

— რატომ არ დებს ბიზნესი ინვესტიციებს რეალურ სექტორში, თუნდაც სოფლის მეურნეობაში?

— ეს საკითხი საბაზრო ეკონომიკის პრინციპს უკავშირდება. ნებისმიერი მწარმოებელი, ბიზნესმენი დაინტერესებულია იმით, რომ დაბანდებული კაპიტალი რაც შეიძლება სწრაფად დაუბრუნდეს და მოგება ნახოს. ყველაზე სწრაფი მოგება კი ვაჭრობაშია. სოფლის მეურნეობაში კლიმატური პირობებიც გასათვალისწინებელია — გაზაფხულზე მარცვალს რომ დასთეს, მოსავალს გვიან ზაფხულს ან შემოდგომაზე მიიღებ. ამას ემატება მომეტებული რისკ-ფაქტორებიც — შეიძლება გვალვა იყოს, ან წყალდიდობა და სტიქიამ ნათესები სრულად გაანადგუროს. ამის რისკი საკმაოდ მაღალია. ამიტომ, აგრარული სექტორი გაცილებით მაღალ რისკებთან არის დაკავშირებული, ვიდრე იგივე საფინანსო შუამავლობა და ა.შ. შედეგიც სახეზეა — აგრარული სექტორი ჩვენი ეკონომიკის ყველაზე სუსტი რგოლია.

— მსოფლიოში არასტაბილური ვითარებაა. სანქცირებული რუსეთი ცდილობს, საერთაშორისო ვაჭრობაში ამერიკული დოლარი აღარ გამოიყენოს. რუსეთ-ჩინეთის სავაჭრო ურთიერთობაში ჩინური იუანი გამოიყენება. რამდენად შესაძლებელია, დროთა განმავლობაში, სავაჭრო ოპერაციებიდან დოლარი გამოირიცხოს?

— თუკი დოლარს რაიმე საფრთხე ემუქრება, ეს უშუალოდ აშშ-იდან, მისი ხაზინიდან და იმ პოლიტიკიდან გამომდინარეობს, რასაც ამერიკის ხელისუფლება საერთაშორისო მასშტაბით ახორციელებს. მარკ ტვენის ცნობილ ნათქვამს თუ დავესესხებით: ინფორმაცია დოლარის მოსალოდნელი გარდაცვალების შესახებ რამდენადმე გაზვიადებულია. ის, ჯერ-ჯერობით, მთავარ საერთაშორისო სავალუტო ფუნქციას ინარჩუნებს. მართალია, ანგარიშსწორების მთლიან რაოდენობაში მისი წილი შემცირდა, თუმცა სიმყარეს ინარჩუნებს და უახლოეს პერიოდში საფრთხე არ ემუქრება.

თამარ შველიძე
555 23 28 24

აშშ და ჩინეთი ომის ზღვარზე

პოლიტიკური ვითარება მსოფლიოში ყოველდღიურად არაპროგნოზირებადი ხდება. მართალია, საერთაშორისო ფორუმები, შეკრებები ხშირად იმართება. საუბარი, ძირითადად, მილიტარიზაციაზე მიმდინარეობს, ცალკეული ქვეყნების მეთაურები ნებისმიერ სამშვიდობო ინიციატივას ბლოკავენ და არასერიოზულად უყურებენ.

გასულ კვირას პოლონელმა პოლიტიკოსებმა საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი „სიცრუის ოსტატად“ მოიხსენიეს, თითქოს რუსეთ-უკრაინის ომის შესაჩერებლად უკრაინის ტერიტორიების ნაწილის რუსეთისთვის გადაცემის იდეა შესთავაზა მხარეებს. რამდენად შეესაბამება სიმართლეს მაკრონის ინიციატივა, უცნობია. საფრანგეთის ხელისუფლებას ქვეყნის შიგნით უამრავი პრობლემა დაუგროვდა, პრეზიდენტის რეიტინგი კატასტროფულად დაბალია, მაგრამ ქვეყნის მეთაურის მსგავს კონტექსტში მოხსენიება სხვა ქვეყნის დაბალი რანგის პოლიტიკოსების მიერ, უხერხულია.

საიდუმლო არ არის, რომ რუსეთ-უკრაინის ომში პოლონეთს საკუთარი ინტერესები აქვს, ამას არც მალავენ და ღიად აფიქსირებენ. პოლონეთის პრეზიდენტის ანჯეი დუდას მიზანია, უკრაინის ხელისუფლება დაიქვემდებაროს და დასავლეთ უკრაინის ის ტერიტორიები დაიბრუნოს, რომლებიც მათ ეკუთვნოდათ მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე. მთავარი მიზანი „რეჩ პოსპოლიტას“ აღდგენაა, ამიტომაც ბელორუსის

ტერიტორიაზეც გეგმავენ საომარი მოქმედებების დაწყებას. საინტერესოა, რომ პოლონეთი უკვე აშკარად ჩაერთო რუსეთ-უკრაინის ომში, როგორც მხარე. თუმცა ნეიტრალიტეტს არც არასოდეს იცავდა, პირიქით, კონფლიქტის გაღრმავებისკენ მოუწოდებდა უკრაინის ხელისუფლებას. რას მოუტანს ევროპას მესამე ქვეყნის ომში ჩართვა, ძნელი სათქმელია. რუსეთის მხარე უკვე დარწმუნებით აცხადებს, რომ მათ ტერიტორიაზე, ბელგოროდის ოლქზე უკრაინის მხარის შეტევისას თავდამსხმელთა რიგებში პოლონელი სამხედროები იყვნენ.

კვლავ აქტუალურია უკრაინისთვის საბრძოლო შეიარაღების მიწოდება. პრეზიდენტი ვლადიმერ ზელენსკი კვლავ დაჟინებით ითხოვს, მიაწოდონ F-16 ტიპის გამანადგურებელი თვითმფრინავები. ამერიკის შეერთებული შტატების გაერთიანებული შტაბების ჯერ კიდევ მოქმედი მეთაურის, მარკ მილის შეფასებით, თვითმფრინავები ძვირია, მათ განსაკუთრებული მომსახურება და ინფრასტრუქტურა სჭირდება. უკრაინაში კი სამხედრო აეროდრომები, საიდანაც შესაძლებელია ფრენების განხორციელება, ფაქტობრივად, აღარ დარჩა. პრობლემაა, ასევე, პილოტების მომზადებაც. პროფესიონალი მფრინავების განცხადებით, მოკლე დროში რთულია პილოტების გადამზადება, მით უფრო, რომ F-16 განსაკუთრებული მანქანაა, მისი ექსპლუატაცია კი — რთული. თითოეულ მანქანას აეროდრომზე მომსახურებისთვის ათეულობით სპეციალისტი სჭირდება. უკრაინელებს კი ჰპირდებიან თვითმფრინავების მიწოდებას, მაგრამ ვადები უცნობია.

„...ვამაყობ, რომ ჩვენი ქვეყანა პირველი იყო, რომელმაც უკრაინას ლეტალური შეიარაღება მიაწოდა“, — განაცხადა ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა რიში სუნაკმა ქვეყნის პარლამენტში გამოსვლისას. მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ სუნაკს სურს, აჯობოს აშშ-ს უკრაინის მილიტარიზაციაში. თუმცა წარმოიქმნა პრობლემა: ბრიტანული პრესის ინფორმაციით, უკრაინისთვის უკვე გადაცემული ფრთოსანი რაკეტები ვადაგასული აღმოჩნდა, რაც ექსპლუატაციისთვის სხიფათო ყოფილა.

განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს უკრაინისთვის გადაცემული იარაღით „შავ ბაზარზე“ ვაჭრობა. ინტერნეტსაიტებზე უკვე ღიად სთავაზობენ მსურველებს ნებისმიერი სახის იარაღს, ადგილზე მიტანითაც კი. უცნობია, როგორ ხვდება საომარი ვითარებაში მყოფი ქვეყნიდან საბრძოლო იარაღის მოპარვა და გადაყიდვა. საქმე ის არის, რომ აღნიშნული შეიარაღების შეძენა ნებისმიერ მსურველს შეუძლია. გამყიდველები უარს არავის ეუბნებიან — ტერორისტულ დაჯგუფებებს თუ ნარკოკარტელების წარმომადგენლებს. ფასები რეალურთან შედარებით დაბალია. სამწუხაროდ, ქვეყნების მეთაურები და პოლიტიკოსების ნაწილი თვალს ხუჭავენ მათ მიერ მიწოდებული იარაღით „შავ ბაზარზე“ ღიად ვაჭრობაზე. უკრაინის მოსახლეობაში შარშან შეუზღუდავად დარიგებული უამრავი იარაღია, რომელიც არ კონტროლდება. ამ ინფორმაციით შეშფოთებულმა შვეიცარიის ხელისუფლებამ აკრძალა მათ მიერ წარმოებული იარაღის მესამე ქვეყნებისთვის, მათ შორის, უკრაინისთვის მიწოდება.

ევროპის ქვეყნების სამიტზე, რომელსაც მოლდოვამ უმასპინძლა, ზელენსკი აშკარად იმედგაცრუებულად გამოიყურებოდა. რიში სუნაკთან პირისპირ შეხვედრაზე იგი აშკარად არაადეკვატურად იქცეოდა, რაითიც შეაშფოთა ექსპერტები, თუმცა მისი არაადეკვატური ქცევის მიზეზი უცნობია. უფრო მეტიც, სერბეთისა და ლუსქემბურგის პრეზიდენტები ეზოში საუბრობდნენ, მათთან ზელენსკი მივიდა და სცადა მათ ლაპარაკში ჩართვა, მაგრამ ორივე პრეზიდენტმა ხელის მოძრაობით აჩვენა, გაჩუმებულიყო. რატომ მოექცნენ ცივად უკრაინელ კოლეგას, მართლაც დამაფიქრებელი და საინტერესოა. აღსანიშნავია, რომ მოლდოვაში არ ჩავიდა თურქეთის დელეგაცია. სამიტზე კვლავ დააფიქსირეს თავიანთი პოზიცია სერბეთის პრეზიდენტმა ალექსანდრ ვუჩიჩმა და უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ორბანმა. ისინი არ შეუერთდებიან ევროკავშირის მიერ რუსეთისთვის დაწესებულ სანქციებს. უნგრეთი განსაკუთრებით დაინტერესებულია რუსეთიდან ნავთობის შეძენით, თავისი ინტერესები აქვს სერბეთსაც.

„...თურქეთის საუკუნე დაიწყო“, — განაცხადა თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ ტაიფ ერდოღანმა გასულ კვირას საკუთარ ინაუგურაციაზე. ღონისძიება ანკარაში, პრეზიდენტის სასახლეში გაიმართა. ინაუგურაციას უამრავი სტუმარი ესწრებოდა, მაგრამ ჟურნალისტებმა ვერ დააფიქსირეს ღონისძიებაზე აშშ-ის ელჩის ყოფნა, რომელსაც არჩევნებამდე ერდოღანმა საკმაოდ მკვახედ მიმართაAდა უარი თქვა მასთან ურთიერთობაზე. მიზეზი ელჩის პრეზიდტნტობის ოპოზიციონერ კანდიდატთან ქემალ კირიჩდაროღლუსთან შეხვედრა გახდა, რაც ერდოღანმა შინაურ საქმეებში, არჩევნებში ჩარევის მცდელობად შეაფასა. ინაუგურაცია საკმაოდ პომპეზურად ჩატარდა. ერდოღანი უკვე ოფიციალურად შეუდგა მოვალეობის შესრულებას. დაასახელა მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობა, რომელიც მთლიანად განახლდა.

ვითარება კვლავ დაძაბული რჩება კოსოვოში სერბებსა და ალბანელებს შორის არსებული ურთიერთობის გამო. ინაუგურაციაზე მყოფმა ვუჩიჩმა პირად სთხოვა დახმარება ერდოღანს, გავლენა მოახდინოს კოსოვოელ ალბანელებზე. ანკარაში იმყოფებოდა ნატოს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი. ღონისძიების შემდეგ იგი ერდოღანს შეხვდა, რათა ალიანსში შვედეთის გაწევრიანებაზე დაეყოლიებინა. თუმცა უშედეგოდ. ექსპერტების შეფასებით, ერდოღანი დამოუკიდებელ პოლიტიკას განაგრძობს და საკუთარ გავლენას აძლიერებს.

პოლიტიკური დაპირისპირება ჩინეთსა და აშშ-ს შორის სამხედრო კონფლიქტს უახლოვდება. გასულ კვირას ორჯერ იყო ახლოს ორივე ქვეყნის ჯარი დაპირისპირებასთან. ჯერ ჩინეთის ავიაციამ გაიყვანა აშშ-ის სამხედრო თვითმფრინავი თავიანთი ქვეყნის საჰაერო საზღვრიდან, შემდეგ ყვითელ ზღვაში ორივე ქვეყნის სამხედროებმა გემებით სახიფათო მანევრები განახორციელეს. საბედნიეროდ, შეიარაღებული დაპირისპირების თავიდან აცილება მოხერხდა, მაგრამ როგორ განვითარედება მოვლენები მომავალში, უცნობია.

აშშ-ჩინეთის პოლიტიკური დაპირისპირება კარგად გამოჩნდა სინგაპურში, სადაც აღმოსავლეთ აზიის უსაფრთხოების საერთაშორისო ფორუმი გაიმართა. ღონისძიებაში ქვეყნების თავდაცვის მინისტრები მონაწილეობდნენ. ჩინეთის თავდაცვის მინისტრმა იაპონელ კოლეგას პროტოკოლის თანახმად ცივად ჩამოართვა ხელი. პენტაგონის შეფმა, ლოიდ ოსტინმა თან იახლა უკრაინის თავდაცვის მინისტრი ალექსეი რეზნიკოვი. რატომ, გაუგებარია. როდესაც ოსტინი სიტყვით გამოდიოდა, რეზნიკოვის სკამი ცარიელი იყო. ოსტინმა სცადა მისი საქციელის გამართლება — „ალბათ, მუშაობსო“, მაგრამ შეახსენა: „ალექსეი, აქ ვარ!“

ფორუმი აშშ-ჩინეთის მწვავე დისკუსიის ფონზე მიმდინარეობდა. მხარეები მკვეთრ განცხადებებს არ ერიდებოდნენ. ლი შანფუმ აშშ-ის წარმომადგენლებს მკვახედ მიმართა: „თქვენს საქმეს მიხედეთ!“ აზიის ქვეყნები შეშფოთებით ადევნებენ თვალს აშშ-ჩინეთის შორის დაძაბულობას, რადგან ორივე მხარე არ გამორიცხავს შეიარაღებულ დაპირისპირებას.

აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა შიდა ვაილის გაზრდის კანონს მოაწერა ხელი და დაამტკიცა. ორი დღით ადრე იგი კოლორადოს შტატში იმყოფებოდა, სადაც სამხედრო-საავიაციო აკადემიის კურსდამთავრებულებისთვის დიპლომების გადაცემას დაესწრო. სიტყვით გამოსვლის შემდეგ, ტრიბუნიდან გასვლისას მოულოდნელად წაიქცა და დაუხმარებლად ადგომა ვეღარ შეძლო. ამის შემდეგ, თეთრ სახლში დაბრუნებულმა, ვერტმფრენიდან ჩამოსვლისას კარის ტიხარს მიარტყა თავი... დამხვედრი ჟურნალისტებისთვის რომ ეჩვენებინა, ყველაფერი რიგზეაო, წაიცეკვა კიდეც. თეთრი სახლის ყოფილმა ექიმმა აღნიშნა მისი ჯანმრთელობის არასახარბიელო მდგომარეობა. ბაიდენის უშუალო კონკურენტს და წინამორბედს, დონალდ ტრამპს გულწრფელად შეეცოდა იგი და ყველას სთხოვა, აღარ იხუმრონ მასზე, რომელსაც ადრე თავად დასცინოდა... რას იზამ, ასეთი ყოფილა ბებერი კაცის, მით უფრო, პრეზიდენტის ცხოვრება.

გია ბურდული
551 71 27 07

მართლმსაჯულებასთან დაკავშირებით ევროკავშირის დავალება საქართველოს უკვე შესრულებული აქვს

დასავლეთმა საქართველოს ევროკავშირში მისაღებად ცნობილი 12-პუნქტიანი გეგმის შესრულება მოსთხოვა. ამ მოთხოვნებში განსაკუთრებული ადგილი უკავია სასამართლოს დამოუკიდებლობას.

ჩვენი პარტნიორები ანგაჟირებული მედიის წყალობით, საინფორმაციო საშუალებებიდან ლამის ყოველდღე გვახსენებენ, რომ თურმე სასამართლოს მიუკერძოებლობის პრობლემა გვაქვს და თუ მას არ გადავჭრით, საერთო ოჯახში აღარ მიგვიღებენ.

სამართლისთვის ზოგადი მსჯელობა, თუ მას არ ახლავს ფაქტები და ერთმანეთთან შეთანხმებული მტკიცებულებები, საკმარისი არ არის. ეს ყველაზე კარგად ჩვენი ქვეყნის პარტნიორებს ესმით, მაგრამ რატომღაც სააკაშვილი -გვარამიას დაპატიმრების გამო კანონის ეს პრინციპი დაავიწყდათ და ახლა საქართველოს ხელისუფლებისგან განსაკუთრებით მართლმსაჯულების საკითხის გამოსწორებას ითხოვენ.

დეტალურად გავეცანი ჩვენი მართლმსაჯულების მიუკერძოებლობის შესახებ უცხოელი პარტნიორების პრეტენზიებს და შევეცადე, გამერკვია, მართლაც ასე ცუდად გვქონდა თუ არა საქმე.

ამ პრობლემის შესახებ რამდენიმე დღე ვფიქრობდი. ფურცელზე ჩვენი მეგობრების მიერ წამოყენებული ბრალდების საპირწონედ კონტრარგუმენტებისა და მათთან დაკავშირებული ფაქტების მოძიებას შევუდექი. აღმოჩნდა, რომ მხოლოდ საერთაშორისო სოციალურისაძიებო ქსელის, „გუგლის“ დახმარებითაც კი მარტივად შეგიძლიათ დარწმუნდეთ, რომ საქართველოს ევროკავშირის "დავალება" მართლმსაჯულების სამართლიანობასთან დაკავშირებით, უკვე შესრულებული აქვს.

აი ფაქტებიც: 2020 წლის 11 მარტს საერთაშორისო ორგანიზაცია „მსოფლიო მართლმსაჯულების პროექტის“ (WJP) კანონის უზენაესობის ინდექსის მიერ გამოქვეყნდა დასკვნა-შეფასება საქართველოში მართლმსაჯულების მდგომარეობის შესახებ, სადაც შავით თეთრზე წერია, რომ კანონის უზენაესობის დაცვის კომპონენტში საქართველო, როგორც რეგიონის ლიდერი, აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის 14 ქვეყანას შორის პირველ ადგილს იკავებს.

ამავე ორგანიზაციის დასკვნის მიხედვით, საქართველოში სამოქალაქო საქმეთა კატეგორიის მართლმსაჯულება უფრო ხელმისაწვდომი და ეფექტიანია, ვიდრე იტალიაში, პოლონეთში,რუმინეთში, საბერძნეთში, უნგრეთსა და ჩეხეთში. ხაზგასმულია, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულება უფრო მიუკერძოებელი და კორუფციისგან თავისუფალია, ვიდრე სლოვენიაში, საბერძნეთში, უნგრეთში, ხორვატიასა და რუმინეთში.

საერთაშორისო ორგანიზაცია "IPSOS FRANCE"-ის კვლევის თანახმად, ევროპის კონტინენტის მასშტაბით, საქართველო მე-20 ადგილს იკავებს და წინ უსწრებს ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა: ბულგარეთი, უნგრეთი, თურქეთი, მოლდოვა, ჩრდილოეთ მაკედონია, ალბანეთი, სერბეთი, უკრაინა, ბოსნია-ჰერცოგოვინა და სხვა.

ჩვენი პარტნიორების ლოგიკას რომ გავყვეთ, საქართველოს მოსამართლეები თვიანთ გადაწყვეტილებებში თურმე თავისუფლები არ ყოფილან, პოლიტიკურად მოტივირებულ საქმეებს განსახილველად იმ მოსამართლეებს აწერენ, რომლებიც სახელმწიფოს მიმართ ანგარიშვალდებულები არიან. ალბათ, ევროპას დაავიწყდა მათ მიერ საქართველოში განხორციელებული მართლმსაჯულების „მესამე ტალღის“ პროგრამის შესახებ, რომელიც სასამართლოში საქმეთა ელექტრონული განაწილების ახალ სისტემას ეხება. ეს ნიშნავს, რომ, როდესაც საქმე სასამართლოს კანცელარიაში შედის კომპიუტერული ტექნიკის წყალობით, წინასწარ არცერთმა მოსამართლემ არ იცის, ის ვის დაეწერება, მათ შორის, პოლიტიკურად მოტივირებული საქმეც. ასე რომ, ის არგუმენტი, რომ სააკაშვილ-გვარამიას საქმის განხილვა სახელმწიფოს მიერ წინასწარ შერჩეულ მოსამართლეებს დაეკისრათ, არასწორი და საფუძველს მოკლებულია. თუ საქართველოში მოსამართლეთა დამოუკიდებლობა არ არსებობს და ამ დიდ ინსტიტუტს კლანი მართავს, მაშინ ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოცდილების მისაღებად თავისუფლად რატომღა დაბრძანდებიან სხვა მოსამართლეები? მათი აღიარებითი ჩვენებებიც მოვისმინეთ ოკეანის გაღმიდან, რომ მათ არჩევანს ვერავინ შეუშლიდა ხელს და დღემდე სამოსამართლეო მოღვაწეობას განაგრძობენ და ამის გამო ისინი არავის გაუკიცხავს.

როგორც ჩანს, საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატებს არასაკმარისი ინფორმაცია აქვთ ჩვენი ხელისუფლების, მათ შორის, სასამართლოს, როგორც ინსტიტუტის შესახებ. არაერთი დონორი აფინანსებს სასამართლოს საქმიანობის კვლევას საქართველოში, მაგრამ დიპლომატიურად რომ ვთქვათ, მხოლოდ ერთი მხარის, ამ შემთხვევაში, ოპოზიური ტელეარხების მოსმენას, ზოგჯერ სჯობს, ფაქტებს დაეყრდნონ და მათ მიერვე დაფინანსებული კვლევების დასკვნებს , რომლებიც მოქალაქეთა გამოკითხვის მეთოდითაა შედგენილი, მეტი ყურადღებით მიადევნონ თვალი.

ამ წერილის მომზადებისას ევროკავშირის მიერ გამართული ერთ-ერთი ღონისძიება გამახსენდა, რომელიც სულ რამდენიმე წლის წინათ თბილისის „ქორთიარდ მერიოტში“ გაიმართა. შეხვედრას საქართველოს იუსტიციის მაშინდელი მინისტრი, ქალბატონი თეა წულუკიანი და უმაღლესი საბჭოს წევრი მოსამართლეები ესწრებოდნენ. დისკუსიის შინაარსი სასამართლოს საქმიანობის შესახებ მოგვიანებით დასკვნის სახით გამოქვეყნდა და, სხვათა შორის, ახლაც სასამართლოს ყველა საიტზეა ატვირთული.

სასამართლოს დამოუკიდებლობაზე აღარ შევჩერდები. იგივე გახმაურებული საქმეების მოსამართლეებმა დღეისათვის არაერთი გამამართლებელი განაჩენი გამოიტანეს. მტკიცებულებათა სტანდარტი ის ინსტიტუტია, რომელიც სხვადასხვა ტრენინგებით ისევ დონორების დახმარებით ავითვისეთ: თუ პირი ნამდვილად დამნაშვეა, მას ვერავითარი იმუნიტეტი ვერ დაიცავს და რა გასაკვირია, თუ სააკაშვილი- გვარამიას საქმეში გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად ამგვარი ფაქტები უხვად იყო წარმოდგენილი. ამგვარი გაურკვევლობის ფონზე ნამდვილად აღარ მიკვირს საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის მიერ ევროკავშირის მიმართ ჩვეული პირდაპირობით ნათქვამი სიტყვები: მიგვიღეთ, ბატონებო, ევროკავშირში და დაამთავრეთ საქართველოში არსებული პოლარიზაციაო.

დაბოლოს, გვსურს, ევროპას შევახსენოთ, რომ მართლმსაჯულებასთან დაკავშირებით ევროკავშირის დავალება საქართველოს უკვე შესრულებული აქვს!

ლევან ჭიღლაძე

რომელ დღესასწაულზე ხარ დაბადებული

1 სექტემბერი –	ცოდნის დღე.
2 სექტემბერი –	ტაქსისტების დღე.
3 სექტემბერი –	ტერორიზმთან ბრძოლის დღე.
4 სექტემბერი –	ტელევიზორში გავიდა გადაცემა "რა? სად? როდის?".
5 სექტემბერი –	ნაგვის ურნის დაბადების დღე.
6 სექტემბერი –	ლომებმა ზიმბაბვეს წინამძღოლი შეჭამეს.
7 სექტემბერი –	ქათმების ფესტივალი (ვიეტნამი).
8 სექტემბერი –	ჟურნალისტების დღე.
9 სექტემბერი –	სილამაზის საერთაშორისო დღე.
10 სექტემბერი –	ბრჩხილების ფესტივალი (ბულგარეთი).
11 სექტემბერი –	ახალი წელი (ეთიოპია).
12 სექტემბერი –	დაიჭირეს ბანკების მძარცველი ბებია.
13 სექტემბერი –	გამოიგონეს კალმისტარი.
14 სექტემბერი –	სანიტარული სამსახურების დღე.
15 სექტემბერი –	თმის საღებავის დაბადების დღე.
16 სექტემბერი –	ოზონის შრის დაცვის საერთაშორისო დღე.
17 სექტემბერი –	მსოფლიოში პირველი იაღოველი გამოჩნდა.
18 სექტემბერი –	ესტონეთში გაიხსნა პირველი სუპერმარკეტი
19 სექტემბერი –	პირველი ინდიელი, რომელიც პარიზის პარკში ატრაქციონებზე დაჯდა.
20 სექტემბერი –	უთოს დაბადების დღე.
21 სექტემბერი –	პირველი ნახტომი პარაშუტით.
22 სექტემბერი –	საფრანგეთის პირველი რევოლუციიის დღე (1792).
23 სექტემბერი –	შემოდგომის დღესასწაული.
24 სექტემბერი –	მანქანათმშენებლების დღე.
25 სექტემბერი –	ზღვის საერთაშორისო დღე.
26 სექტემბერი –	ევროპული ენების დღე.
27 სექტემბერი –	ტურიზმის საერთაშორისო დღე.
28 სექტემბერი –	ატომის მეცნიერების დღე.
29 სექტემბერი –	თარჯიმნის საერთაშორისო დღე.
30 სექტემბერი –	ინტერნეტის საერთაშორისო დღე
1 ოქტომბერი –	მუსიკის საერთაშორისო დღე.
2 ოქტომბერი –	საცხოვრებლის საერთაშორისო დღე.
3 ოქტომბერი –	მოხუცების საერთაშორისო დღე.
4 ოქტომბერი –	ცხოველთა დაცვის საერთაშორისო დღე
5 ოქტომბერი –	მასწავლებლების დღე.
6 ოქტომბერი –	რუსეთ-თურქეთის ომის დასაწყისი.
7 ოქტომბერი –	ახალი წელი (გამბია).
8 ოქტომბერი –	პირველად შეიქმნდა ამერიკის საფონდო ბირჟა(1896).
9 ოქტომბერი –	კონვერტის დაბადების დღე.
10 ოქტომბერი –	ფსიქიურად დაავადებულების დღე.
11 ოქტომბერი –	სტიქიების შემცირების და თავდაცვის საერთაშორისო დღე.
12 ოქტომბერი –	ინგლისელმა ტურისტმა სამგზავრო გემი თავის თავთან ერთად ჩაძირა.
13 ოქტომბერი –	გრინვიჩი დამტკიცებული იქნა, როგორც ნულოვანი მერიდიანის ადგილმდებარეობა (1884).
14 ოქტომბერი –	ვირების დღესასწაული (უგანდა).
15 ოქტომბერი –	სურსათ-პროდუქტებზე მომუშავეთა დღე.
16 ოქტომბერი –	სიამოვნების საერთაშორისო დღე.
17 ოქტომბერი –	ნარკოტიკების განადგურების საერთაშორისო დღე.
18 ოქტომბერი –	ალიასკის დღე (აშშ).
19 ოქტომბერი –	ჯონ ადამსის დაბადების დღე (აშშ).
20 ოქტომბერი –	გოგრის დღე.
21 ოქტომბერი –	რევოლუციის დღე (სომალი).
22 ოქტომბერი –	თხევადი საფნის დაბადების დღე.
23 ოქტომბერი –	რეკლამაზე მომუშავეთა დღე.
24 ოქტომბერი –	გაერთიანებული ერების საერთაშორისო დღე.
25 ოქტომბერი –	საპოჟნიკის დღე (რუსეთი).
26 ოქტომბერი –	მიწის დაკანონების დღე.
27 ოქტომბერი –	კბილის ჯაგრისის დაბადების დღე.
28 ოქტომბერი –	შოკოლადის დაბადების დღე.
29 ოქტომბერი –	ქრისტოფერ კოლუმბის დაბადების დღე.
30 ოქტომბერი –	პოლიტიკურ რეპრესიებში დაღუპულების მოსახსენებელი დღე.
31 ოქტომბერი –	ჰელოუინი (აშშ).

ყველაფერი მზადაა 21 წლამდე ნაკრებთა ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატისთვის

„პირველ რიგში, მოგესალმებით ყველას, ძვირფასო, სახელოვანო ვეტერანო სპორტსმენებო, ფეხბურთელებო, პარლამენტის, მთავრობის წევრებო, ყველას მოგესალმებით, მივესალმები ჩვენს ქუთაისს და ქუთაისელებს.

მოგეხსენებათ, ჩვენ ვემზადებით ძალიან მნიშვნელოვანი ღონისძიებისთვის, - ეს არის 21 წლამდე ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატი. 21 ივნისს საქართველო-პორტუგალიის თამაში გაიმართება და ჩვენი ქვეყანა არის სრულად მზად, რომ ღირსეულად, უმაღლეს დონეზე ჩავატაროთ ეს ჩემპიონატი. რა თქმა უნდა, ეს ჩვენთვის იყო ძალიან დიდი გამოწვევაც, ამავე დროს არის ძალიან დიდი პატივი, ვუმასპინძლოთ ამ მეტად მნიშვნელოვან ღონისძიებას. ჩვენ სულ რაღაც 1 წელიწადში, უფრო ნაკლებ დროში, ჩავუტარეთ რეაბილიტაცია 10 ობიექტს და თქვენ ნახეთ შესანიშნავი, ახალი, სრულად განახლებული ქუთაისის რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონი, რომელიც პრაქტიკულად ახლიდან ავაშენეთ. მოეწყო და რეალურად უეფას სტანდარტების მიხედვით გაკეთდა ყველაფერი აქ. მინდა მადლობა გადავუხადო მშენებელ კომპანიას, ყველას, ბატონი ირაკლი ქარსელაძის უწყებას, მუნიციპალური განვითარების ფონდს, ყველას, ვინც ამ ძალიან მნიშვნელოვან პროექტში იყო ჩართული. 10 ობიექტს ჩავუტარეთ რეაბილიტაცია, 115 მლნ ლარი დაიხარჯა ამ პროექტების განხორციელებისთვის. თბილისში, მე დღეს დილით ვიმყოფებოდი, მოვინახულეთ მიხეილ მესხის სახელობის სტადიონი და იქაც, ანალოგიურად, სრულად განახლდა სტადიონი. აქ თქვენ ხედავთ, რომ ეს არის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სტადიონი. 35 მლნ ლარი დაიხარჯა ამ ყველაფერში, თბილისში 32 მლნ ლარი დაიხარჯა, თუ არ ვცდები, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის გასაახლებლად და მნიშვნელოვანია, რომ ეს დარჩება ჩვენს ქვეყანას, მომავალ თაობებს. ამას სჭირდება ახლა შენარჩუნება, განვითარება და ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ ჩვენმა მომავალმა თაობებმა, ჩვენმა ახალგაზრდებმა გამოიყენონ ეს ყველაფერი.

მინდა მოგილოცოთ, მადლობა გადავუხადო ჩვენს მინისტრს, ირაკლის, ყველას, ვინც ჩართული იყო ამ პროექტის განხორციელებაში. მინდა მადლობა გადავუხადო მშენებელ კომპანია „დაგის“ და ფეხბურთის ფედერაციას. გილოცავთ, საქართველო არის მზად, რომ ვუმასპინძლოთ ევროპის ჩემპიონატს ფეხბურთში,“ - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

როგორც პრემიერმა აღნიშნა, ეს არის მხოლოდ დასაწყისი და კიდევ სხვა მასშტაბური პროექტები არის გეგმაში.

„მე ვიცი ძალიან მდიდარი ტრადიციების შესახებ, რომლებიც არსებობს ამ ქალაქში. ფეხბურთი ძალიან ბევრ რამეს ნიშნავს ჩვენთვის და განსაკუთრებით ქუთაისისთვის. ეს არის მხოლოდ დასაწყისი. ჩვენ კიდევ სხვა მასშტაბური პროექტები გვაქვს გეგმაში. ჩვენ დღეს დავათვალიერებთ ასევე ოლიმპიური სტანდარტების ახალ საცურაო აუზს, რომელიც ჩვენ დაახლოებით 2 წელიწადში დავასრულეთ. მშენებლობა დავიწყეთ 2021 წლის 9 ივნისს და დღეს შეგვეძლება, რომ ერთობლივად გავხსნათ ეს ახალი საცურაო აუზი.

სხვა მნიშვნელოვანი პროექტებიც ხორციელდება ქუთაისში. განახლებული რეგიონის ფარგლებში, ჩვენ ჩავუტარეთ რეაბილიტაცია ძალიან მნიშვნელოვან ობიექტებს, მაგრამ ახლა ჩვენ ვიწყებთ კიდევ უფრო მასშტაბურ პროექტს, - ჩვენი ისტორიული ქუთაისის, ისტორიული უბნების რეაბილიტაციას. 200 მილიონი გვაქვს ჩასმული წელს. გვინდა, რომ 10 ქალაქში დავიწყოთ განახლების სამუშაოები. მიმდინარეობს პროექტზე მუშაობა და წელსვე დავიწყებთ სამუშაოებს.

ასე რომ, ჩვენ ეტაპობრივად ვუვლით ქალაქებს, ვალამაზებთ და გვინდა, რომ ჩვენი სახელმწიფო, ჩვენი ქვეყანა გარდავქმნათ რეალურად ევროპული ტიპის, თანამედროვე, მოვლილ, ლამაზ ქალაქებად, რაიონებად, სოფლებად. ეს არის ჩვენი საერთო მიზანი. რაც მთავარია, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი შეუძლებელი იქნებოდა, რომ არ ყოფილიყო მშვიდობა, მეგობრებო, დამეთანხმებით. მშვიდობა არის მთავარი. ჩვენ ვახერხებთ და შეინარჩუნეთ მშვიდობა, სტაბილურობაც, განვითარებაც გვაქვს, და ეს ყველაფერი, რაც შევძელით, რა თქმა უნდა, არის მშვიდობის დამსახურება და ჩვენი სწორი პოლიტიკის დამსახურება. კიდევ ერთხელ გილოცავთ და გისურვებთ გამარჯვებას. გამარჯვებას ვუსურვებ ჩვენს ფეხბურთელებს, ჩვენს სპორტსმენებს“, - განაცხადა პრემიერმა.

უეფას სტანდარტების შესაბამისად განახლდა ქუთაისის რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონი. ფაქტობრივად, თავიდან აშენდა სტადიონის ადმინისტრაციული შენობა, რომელიც სრულად აღჭურვილია სპორტული და აუცილებელი ინფრასტრუქტურით.

სტადიონი აღჭურვილია უეფას სტანდარტის ბალახის საფარით და შესაბამისი სარწყავ-სადრენაჟე სისტემით.

სტადიონზე მოეწყო გაგრილების, გათბობის, წყალმომარაგების, წყალარინებისა და უსაფრთხოების სისტემები. დამონტაჟდა სტადიონის სისტემა, გახმოვანებისა და უსაფრთხოების ახალი სისტემები, ახალი სკამები, ლედსარეკლამო კედლები და სხვ. საქართველოში უეფას 21 წლამდე ნაკრებთა ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატისთვის მზადების ფარგლებში, სტადიონზე შეიქმნა ისეთი სტანდარტის ინფრასტრუქტურა, რომელიც ხელს შეუწყობს ქართული ფეხბურთის განვითარებას და ახალგაზრდების სპორტით დაინტერესებას.

სამუშაოების ღირებულება დაახლოებით 35 მილიონი ლარია.

პრემიერ-მინისტრთან ერთად განახლებულ სტადიონზე იმყოფებოდნენ აღმასრულებელი, საკანონმდებლო და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები.

იყიდება ბინა საბურთალოზე, მინდელის 12, 68.3კვ. მწვანე კარკასი, დასრულებულ და შესახლებულ „დონა პალასის“ კორპუსში. ტელ: 514-38-77-38

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი

შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“

მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა 599 03 43 06

ნომრის რედაქტორი: თამარ ბერძენიშვილი 555 33-44-14

სარედაქციო კოლეგია: თამარ ბერძენიშვილი (გამომცემელი); თამარ შველიძე, გია ბურდული, ზურაბ ოშხერელი, ნინო დაუშვილი, ნონა ქარქაშაძე, ლევან ჭიღლაძე (სამართალი), ლევან ბოჭორიშვილი (დამკაბადონებელი), ბელა გველესიანი (ლიტერატურული სტილი და კორექტურა); ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი) 599 58 72 50.

http://www.saertogazeti.ge

მის:. თბილისი, ა. წერეთლის გამზ.103;
ტელ.: 593 44-04-01; 234-45-35 (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99